საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№8 (432)
7 - 13 მარტი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე გველაპარაკებიან, მაგრამ დამოკიდებულები და თავისუფლება-წართმეულები ვართ» 8

## იაკობი და იაკობინელები 4



ვინ და რა ძალები ლობირებენ დღეს ეკლესიაში პროდასავლურ «ლიბერალურ» თარეშს

## სანახაობა პურის სანაცვლოდ



ხელისუფლებამ მრავალშვილიან დედებს ელტონ ჯონი არჩია 13

## კახა კალაძე გიგა ბოკერიას გაურიგდა? 5



„როდესაც კალაძემ „ევროპულ საქართველოს“ კონსტრუქციული ოპოზიცია უწოდა, ამით საკმაოდ მძიმედ შეურაცხყო ისინი, ვინც სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდა“



## საოცნებო ოდისეა — ხულოს მეტროდან ხაშურის აეროპორტში 2

## გახვრეტილი ქოლგა 7

„ის, რასაც დღეს ქმნიან პოლონეთსა და რუმინეთში, ალასკაზე და რის შექმნასაც გეგმავენ სამხრეთ კორეასა და იაპონიაში, არის რაკეტსაწინა-აღმდეგო თავდაცვის „ქოლგა“ და ეს „ქოლგა“ ნახვრეტებიანია“



## ეს არ არის მუქარა, ეს არის გაფრთხილება ამერიკის გოშიებისთვის 6



## ტრანსგენდერთა ოცნება: «თაიმ ჩეინჯ, ფიფლ ჩეინჯ», ანუ კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს ლგბტ-ზაციის გზაზე 6

ტრანსგენდერები ბავშვის შვილად აყვანის უფლებას მოითხოვენ

## «სერგო თეთრაძის მოსამართლეს უვადოდ რომ დანიშნავ, სამართლიანობაზე რთულია საუბარი» 3

## ამბავი «სასტიკად ნაწამები» მამებისა და შვილთა ვირეშმაკობისა! 12







## «თუ საპროტესტო გამოსვლები ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, თურქეთი ცერემონიებს არ დაიწყებს» 10



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ კანონის ამოქმედების თავი არ გაქვს, ის არ უნდა მიიღო. თუ თანაგუნდელების შეკავება არ შეგიძლია, ქვეყნის მართვის პრეტენზია არ უნდა გქონდეს. ლანჩხუთის ყოფილ გამგებელს ხელშეკრულება საკუთარ თავთან ჩუმად არ დაუდია, 99%-იანი ალბათობით, ინფორმაციას ამის შესახებ ზედა ეშელონებშიც ფლობდნენ, მაგრამ ურუშაძის შეჩერება, როგორც ჩანს, აზრადაც არ მოსვლიათ.**

# საოცნებო ოდისეა — ხულოს მეტროდან ხაშურის აეროპორტში

**„როდესაც ზიხარ უფულოდ / და არ გაქვს შოვნის შანსები, / არც მეგობრები გაწუხებს / და აღარც ძველი ნაშები“, — ეს ლანჩხუთის ყოფილი გამგებლის, ზაზა ურუშაძის, ლექსია და მას დღეს ეპიგრაფად გამოვიყენებთ, იმიტომ, რომ ურუშაძე სკანდალში გაეხვია, ხოლო მისი შემოქმედება კარგად ასახავს საშუალო სტატისტიკური სახელმწიფო მოხელის შინაგან სამყაროს (რუსთაველის ან შექსპირის ციტირება ამ შემთხვევაში უადგილოა).**

**ხაშურსა და ხულოში საკრებულოებმა თავიანთი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არარსებულ მეტროპოლიტენის სადგურებსა და აეროპორტებში დასუფთავების მოსაკრებელი დააწესეს: ხულოში ერთ კვადრატულ მეტრზე წელიწადში — 6 ლარის ოდენობით, ხაშურში კი — სულ რაღაც 4 თეთრის. ორივე რაიონში, სავარაუდოდ, უბრალოდ, დააკოპირეს თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პაკეტი და ისე მიიღეს დადგენილებები, რომ კაციშვილს არ წაუკითხავს. ეს ჩვენი ხელისუფლების ზოგადი მდგომარეობის საუკეთესო ინდიკატორია**

„ჩაშვებას და დაბეზღებას არავინ არ მოგიწონებს, / სხვის კაბინეტს და მაგიდას ნუ აუღებ შენ ზომებს“ (ურუშაძის ლექსების კრებულიდან „გურიაში გურულად“), მაგრამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეს მოწოდება, როგორც ჩანს, არ გაითვალისწინა და გამოაქვეყნა დასკვნა, რომლიდანაც ირკვევა, რომ ურუშაძემ ლანჩხუთის გამგეობას საკუთარი და მამის კუთვნილი ავტომანქანები მიაქირავა. ამ დოკუმენტში ნათქვამია: „2015-2016 წლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარდა, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად იყენებს კერძო პირებისგან იჯარით აყვანილ ავტომობილებს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის გამგებელი სარგებლობს 2 ავტომობილით, რაზეც გაფორმებული არის საიჯარო ხელშეკრულებები. აქედან ერთი ავტომობილი გამგებლის (ზაზა ურუშაძის) საკუთრებაა, ხოლო მეორე ხელშეკრულება გაფორმებულია მუნიციპალიტეტსა და ფ/პ ილია ურუშაძეს შორის“.

აქვე შეგვიძლია კიდევ ერთი ციტატა მოვიყვანოთ საქართველოს კანონიდან „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“, მუხლი 10, პუნქტი „ბ“: „საჯარო მოსამსახურეს, პირადი ინტერესიდან გამომდინარე, ეკრძალება... დადოს ქონებრივი გარიგება იმ საჯარო დაწესებულებასთან, სადაც მუშაობს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა“. წერტილს ამ საქმეში, ალბათ, სასამართლო დასვამს, მაგრამ ერთი შეხედვით ჩანს, რომ გამონაკლის შემთხვევაზე საუბარი ზედმეტია. საინტერესოა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი საჭიროებისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობამ 2016 წელს მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას სწორედ ორი ერთეულით გადააჭარბა.

იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მუნიციპალიტეტს მანქანის მოვლა-პატრონობის ხარჯები უნდა დაეფარა. აუდიტის დასკვნაში ნათქვამია, რომ ურუშაძემ ბიუჯეტის ხარჯზე საკუთარ მანქანას საბურავები შეუცვალა, გამოცვალა ზეთი, ანტიფრიზი და სხვ. ალბათ, დროა, ყოფილი გამგებლის კიდევ ერთი ლექსი გავიხსენოთ: **„მშიერ კაცზე ვარესი ამ ქვეყნად არაფერია, / საცოდავ ხალხის ყურებით მეც დამეკარგა ფერია“**.

აქ ბუნებრივად შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რა გაუჭირდა ისეთი, რომ უაღრესად პრიმიტიულ კომბინაციაში ჩაერთო, რომელიც აუცილებლად გაიშიფრებოდა? 2017 წლის დეკლარაციის თანახმად, ურუშაძეს მხოლოდ „თიბი-სი“ ბანკის ანგარიშზე 29 ათასი დოლარი ჰქონდა, მაგრამ საბურავები მაინც ბიუჯეტის ხარჯზე გამოცვალა. ამ თემაზე „გურია თუდეისთან“ საუბრისას, ურუშაძემ საინტერესო კითხვა დასვა: „ის ჯობდა, გამგებლად როგორც კი დავინიშნე, შავი „ტოიოტას“ 90-ათასიანი ჯიპი შემეძინა, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში მოხდა?“

შესაძლოა, ყოფილ გამგებელს არ ეყო გამჭრიახობა და გამოცდილება იმისთვის, რომ თავისი ძველი „ფოლქსვაგენის“ რემონტი შეენიღბა, თორემ მისი კოლეგები გაცილებით დახვეწილი სქემების მეშვეობით ბიუჯეტიდან შეუდარებლად დიდი თანხებს ამოქაჩვას ახერხებენ. ურუშაძე კი, სავარაუდოდ, პოეტური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ვერ ჩასწვდა ამ იურიდიულ სირთულეებს, უბრალოდ, ადგა და საკუთარი თავისგან საკუთარი ავტომობილი იქირავა.

საკადრო პოლიტიკა ბიძინა ივანიშვილის აქილევსის ქუსლია. რატომ დაამტკიცა გამგებლის პოსტზე იმ კაცის კანდიდატურა, რომელმაც ცხოვრება მუზების გარემოცვაში უნდა გაატაროს? დაახლოებით ასე:

„გვიან ღამით სასტუმროში გავიცანი ორი ქალი —
ერთი შავგვრემანი იყო, მეორე კი — ძაან შავი.
შავი, მაგრამ მკერდი ვარგი, მაღალი და ფეხიც სარგი.
შავგვრემანიც კარგი იყო — თვალციმციმა და ტანადი.
შებმა ცოტა გამიჭირა, ბოლოს მოხდა საქმე კარგი,
ჩემს მაგიდას შემოუსხდნენ შავიცა და შავგრემანიც.
გამისწორდა, რომ შევხედე, როგორ შევძელ ეს ამბავი,
მაგიდასთან სამნი ვზივართ: მე მარტო და ორი ქალი“

(ზ. ურუშაძე „მე მარტო და ორი ქალი“).

ავტორს ასეთი ლექსიც აქვს: „რუსის ქალი, მართლა ქალი, დაგვავიწყდა, სადღა არი“... მისი წაკითხვის შემდეგ ზოგი შეიძლება აცრემლდეს და თქვას: „რა გახდა ეს საბურავები.... შევუნდოთ...“ მაგრამ არ გამოვა ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი: კანონი კანონია. არის კიდევ ერთი დამამძიმებელი გარემოებაც. ურუშაძე, თავის დროზე, მწვავედ აკრიტიკებდა ძველ რეჟიმს, 2013-ში უკრაინაში პრესკონფერენციაც კი მოაწყო, ხოლო 2015-ში აპირებდა, საკუთარი ხარჯებით დაებეჭდა და უკრაინაში გაევრცელებინა ბუკლეტი სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ. ახლა სააკაშვილი იტყვის: ხომ ვამბობდი, საქართველოში კორუფცირებულები, საბურავების ქურდები მებრძვიანო. უბრალოდ, არ შეიძლება მარჯვენა ხელით სამართლიანობის აღდგენის დიად იდეას ეპოტინებოდე, ხოლო მარცხენა ხელით ბიუჯეტის ხარჯზე საბურავებს ცვლიდე.

**ლანჩხუთიდან შეგვიძლია ხაშურში ან ხულოში გადავინაცვლოთ. პრინციპში, სულ ერთია, სად, რადგან ორივე რაიონის საკრებულოებმა თავიანთი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არარსებულ მეტროპოლიტენის სადგურებსა და აეროპორტებში დასუფთავების მოსაკრებელი დააწესეს: ხულოში ერთ კვადრატულ მეტრზე წელიწადში — 6 ლარის ოდენობით, ხაშურში კი — სულ რაღაც 4 თეთრის. ორივე რაიონში, სავარაუდოდ, უბრალოდ, დააკოპირეს თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პაკეტი და ისე მიიღეს დადგენილებები, რომ კაციშვილს არ წაუკითხავს. ეს ჩვენი ხელისუფლების ზოგადი მდგომარეობის საუკეთესო ინდიკატორია.**

— ძვირფასო, გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა ხულოს მეტროში? და უძილო ღამე ხაშურის აეროპორტში, როდესაც ზაზა ურუშაძის ლექსს გიკითხავდი: „შავი ადესა ღვინოა გურული, არომატული, / მართლა თუ ვინმეს არ მოსწონს, მაშინ თავი აქ დარტყმული“...

მკვლელებისა და სადისტების მმართველობა ერის ღირსებისთვის შეურაცხმყოფელია, თუმცა, ალბათ, არავინ იტყვის, რომ აფერისტებისა და კრეტინების მმართველობა მას ღირსებას მატებს. ალბათ, მოვა დღე, როდესაც ამ დასკვნამდე ამომრჩეველთა კრიტიკულად დიდი რაოდენობა მივა და საკუთარ აზრს, როგორც საარჩევნო უბნებზე, ისე საპროტესტო აქციებზე გამოხატავს. შესაძლოა, ხელისუფლება გრძნობს, რომ მწვავე პროცესები შეიძლება მალე დაიწყოს და ამისთვის წინასწარ ემზადება. ინიცირებულია ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ან მისი სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება „გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარიდან 4000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით“. კანონპროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ ამჟამად მოქმედი სანქცია „შეუსაბამოა ნორმის მიზანთან და სამართალდარღვევის შემაკავებელ ფუნქციას ეფექტიანად ვერ ასრულებს“.

ალბათ, ყველას გვახსოვს, როგორ იყენებდა ე.წ. დაუმორჩილებლობას ოპოზიციონერი აქტივისტების დასასჯელად სააკაშვილის რეჟიმი — რა საზიზღრად იქცეოდნენ მაშინ პოლიციელები და მოსამართლეები, მაგრამ ახალი ხელისუფლების შემთხვევაში მართლა გაუგებარია, ვის შეკავებას ვერ ახერხებს ის და რა საჭიროა ჯარიმის გაზრდა, ამიტომ შეიძლება გაჩნდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლება წინმსწრებ ზომებს იღებს.

კიდევ ერთი სიახლე: **საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, დაჯარიმდება 500 ლარიდან 1000 ლარამდე ან... ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით**. ტოტალური გინება ქუჩაში ამაზრზენია, მაგრამ, ალბათ, ამ საკანონმდებლო ინიციატივასაც ეჭვის თვალით უნდა შევხედოთ. ჯერ ერთი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში უკვე არსებობს 166-ე მუხლი (ჯარიმა 100 ლარამდე, ხოლო ადმინისტრაციული პატიმრობა 90 დღემდე). **როდესაც პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი პარლამენტში იგინებოდა, არავის მოსვლია აზრად მის წინააღმდეგ ეს მუხლი აემოქმედებინა. რეალურად ის მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც შემთხვევა ექსტრაორდინალურია ან პოლიცია ვიღაცას გადაეკიდა.** ჩვენ ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ მის გამოყენებას უკმაყოფილოთა წინააღმდეგ. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეს, რომელსაც იმის ფულიც კი არ აქვს, ანტიფრიზი რომ გამოცვალოს და ზ. ურუშაძის ლექსების კრებული შეიძინოს, სურს, ხელისუფლების პოლიტიკა შეაფასოს. როგორც საველე გამოკვლევა ცხადყოფს, ასეთი მოქალაქეების უმრავლესობა მეორე წინადადებაში ცხრასართულიან გინებაზე გადადის და ამას, ალბათ, ობიექტური მიზეზები აქვს. არის კიდევ ერთი ფაქტორი: ბევრი ახალი, უდავოდ კარგი ნორმა არ მუშაობს და ეს ხელს უწყობს კანონის მიმართ აგდებულ დამოკიდებულებას. გამკაცრდა სანქციები ნაგვის დაყრაზე, ხმაურზე, შენობაში მოწევაზე (1 მაისიდან უფრო გამკაცრდება), მაგრამ 99%-ის შემთხვევაში დარღვევები უგულვებელყოფილია. თბილისი კლავინდებურად არათუ არაევროპულ, არამედ ანტიევროპულ ქალაქად რჩება.

თუ კანონის ამოქმედების თავი არ გაქვს, ის არ უნდა მიიღო. თუ თანაგუნდელების შეკავება არ შეგიძლია, ქვეყნის მართვის პრეტენზია არ უნდა გქონდეს. ლანჩხუთის ყოფილ გამგებელს ხელშეკრულება საკუთარ თავთან ჩუმად არ დაუდია, 99%-იანი ალბათობით, ინფორმაციას ამის შესახებ ზედა ეშელონებშიც ფლობდნენ, მაგრამ ურუშაძის შეჩერება, როგორც ჩანს, აზრადაც არ მოსვლია. კიდევ ერთი ციტატა ზ. ურუშაძის შემოქმედებიდან:

„რესტორანში ქეიფს რა სჯობს,
თუ გვერდით გყავს ორი ქალი.
სახელები არ მიკითხავს
სად წამივლენ, აქ არ არის?
ქეიფს ბოლო აღარ უჩანს,
სმას და ჭამას — არეალი.
ოჰ, რა კარგად მოვილხინეთ,
ვფიქრობ, რომ ვთქვა ნაფიქრალი
და ნომრისკენ წავიყვანო
შავიცა და შავგრემანიც.
მოვიხედე და რას ვხედავ,
მაგიდასთან არვინ არი.
მიმტანი კი გვერდზე მიდგას
ჩეკით ხელში, ვაი ბრალი“.

ადრე თუ გვიან საზოგადოება გაიღვიძებს და გათავხედებული ჩინოვნიკების თავგადასავალი, სავარაუდოდ, სწორედ ასე, ბალთასარის ნადიმის მსგავსად, მოულოდნელად და სევდიანად დასრულდება.

„როგორც ჩანს, ამ კატეგორიის ადამიანებს, რაღაცის უნდა ეშინოდეთ, ბოროტებას რომ არ ემსახურონ, თორემ სინდისი და მორალი მათთვის უცხოა. მე, უბრალოდ, გული იმაზე მწყდება, რომ ამდენი ბრძოლის, ამდენი უბედურების შემდეგ ხალხმა, ვერც ერთმა ჩვენგანმა, ვერ მივიღეთ ის, რისთვისაც ბევრმა თავი გაწირა. მაინც ვერ დამკვიდრდა საქართველოში, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც, ის სამართლებრივი პრინციპები, რომლებისთვისაც წლების განმავლობაში ყველა ერთად ვუპირისპირდებოდით სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს“.

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ია მეტრეველი:

# სერგო თეთრაძის მოსამართლეს უვადოდ რომ დანიშნავ, სამართლიანობაზე რთულია საუბარი

## რას შეცვლის ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის აღიარება?

**ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეში ბრალდებული კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ზურაბ ბაქრაძე, რომელიც 2013 წლიდან საზღვარგარეთ იმყოფებოდა და ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებოდა, რამდენიმე დღის წინათ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს ქართველმა სამართალდამცველებმა. უფრო ადრე კი მან ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში რობაქიძის დაღუპვაში მისთვის წარდგენილი ბრალი აღიარა და საქმის გაყალბების დეტალებზე ისაუბრა. როგორც ირკვევა, ბარამიძე საქართველოში ჩვენების მისაცემად და გამოძიებასთან სათანამშრომლოდ ჩამოვიდა, სანაცვლოდ კი სასამართლოსგან სასჯელის შემსუბუქებას ითხოვს. მისი ადვოკატი არც იმას გამორიცხავს, რომ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს. მისივე განმარტებით, დაცვის მხარე უახლოეს პროცესზე აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხსაც დააყენებს...**

**იმ გარემოებამ, რომ სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გახმაურებულ საქმეზე ბრალს აღიარებს, ბუნებრივია, ისევ გააჩინა სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. განცდა, რომ დამნაშავეები ამდენი წლის შემდეგ კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან, გარდაცვლილის ოჯახსაც აქვს, თუმცა რამდენად პრინციპული და თანმიმდევრული იქნება მართლმსაჯულება ამ შემთხვევაში, დრო გვიჩვენებს.**

**რას შეცვლის რეალურად ზურაბ ბარამიძის აღიარება და რა მოლოდინი აქვს 2004 წლის 24 ნოემბერს სააკაშვილის რეჟიმის მიერ ქუჩაში მოკლული ბუტა რობაქიძის ოჯახს? — „საქართველო და მსოფლიოს“ ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი ესაუბრება.**

**— ქალბატონო ია, კრიმინალური პოლიციის ყოფილმა უფროსმა ზურაბ ბაქრაძემ მცირე ხნის წინათ ბრალი აღიარა და, ფაქტობრივად, ფარდა აჰხადა რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულს. რა რეაგირება ექნება ამაზე მართლმსაჯულებას და რას ელოდებით?**

— თავისთავად ის ფაქტი, რომ ძალოვანი უწყების იმჟამინდელი მაღალჩინოსანი, რომელიც ამ საქმის გაყალბების უშუალო მონაწილეა, ასეთ ჩვენებას იძლევა, ცხადია, ოპტიმიზმის საფუძველს მიჩენს, მაგრამ რა მოხდება მომავალში და როგორ წარიმართება პროცესი, ჯერ ძნელი სათქმელია. ისე, **საქმე ბაქრაძის ჩვენების გარეშეც მიდიოდა ბოლოსკენ, იმიტომ, რომ ჩვენი მხრიდან უკვე 85 მოწმეზე მეტი დაიკითხა და ყველა ერთსა და იმავეს ადასტურებს, ანუ ყველა ამბობს, რომ იარაღი იქ არ იყო და შემდეგ მიიტანეს. შესაბამისად, ის ხუთი პირი, რომელთა მიმართაც საქმე აღიძრა, რა თქმა უნდა, პასუხისგებაში მიეცემიან, თუმცა ბაქრაძის ჩვენებამ საბოლოო წერტილი დაუსვა ყველაფერს და ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისი აღიარება.** დანარჩენი ვნახოთ, რა იქნება. ველოდები კიდევ უფრო მეტ დეტალს, ვინაიდან ტელეეთერში ბაქრაძემ თქვა, რომ არ უნდოდა, გამოძიებისთვის ხელი შეეშალა და, როცა ჩამოვიდოდა, გაცილებით მეტს იტყოდა...

**— გურამ დონაძის ნათქვამი, რომ ის არანაირ გაყალბებაში არ მონაწილეობდა, გაბათილდება ამ აღიარებით?**

— **გურამ დონაძე**, რა თქმა უნდა, თავიდანვე ცრუობდა და, საერთოდ, ვინმეს თუ სჯეროდა მისი, არ ვიცი. ის კი არა, თავის დროზე, როცა საზღვარგარეთ გაიქცა, წერილიც გამოგზავნა და შემდეგ ეს წერილი პრესაშიც გამოქვეყნდა, რომ თურმე იმ დროს, როცა დანაშაული მოხდა, საერთოდ არ იმყოფებოდა საქართველოში. წარმოიდგინეთ, რამხელა ტყუილს ამბობდა. მერე კი, როცა ხელისუფლება შეიცვალა, ის და **მიქაძე** საზღვარგარეთ გაიქცნენ.

**— რას იტყვით იმ კადრებზე, რომლებიც დონაძემ გაავრცელა და ამტკიცებდა, რომ დამონტაჟებული არ იყო?**

— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მოგეხსენებათ, **სააკაშვილი** ერთი წლის განმავლობაში კიდევ იყო პრეზიდენტი. სწორედ იმ პერიოდში დონაძემ, სააკაშვილისა და **კუბლაშვილის** ხელშეწყობით, საზღვარგარეთ ფირი გააყალბა და შემდეგ ეს ფირი ატრიალა. მეტიც, კუბლაშვილის სასამართლომ იკადრა და, მიუხედავად იმ მტკიცებულებებისა, რომლებიც არსებობდა, გირაოთი გაათავისუფლა დაკავებულები, თუმცა ახლა უკვე წყალი შეუდგა მათ ტყუილებს და ბაქრაძის აღიარება ამის ნათელი დასტურებია. მე, როგორც ვიცი, სხვა მოწმეებიც არსებობენ...

**— თქვით, რომ საქმე ისედაც დასასრულისკენ მიდიოდა და უამრავი მოწმის ჩვენება ადასტურებს პასუხისგებაში მიცემული პირების ბრალს. იმ მართლმსაჯულების პირობებში, რომელმაც გიგი უგულავას ობიექტური განაჩენი ვერ გამოუტანა და, რაც გამოუტანა, ისიც თურმე უკვე მოხდილმა სასჯელმა შთანთქა, გაქვთ კი სამართლიანობის იმედი?**

— დღეს აღშფოთებულნი ვართ იმ მოსამართლეების არაკეთილსინისიერი საქმიანობითა და უპრინციპობით, რომლებსაც, წლებია, ვერ გამოაქვთ ობიექტური განაჩენი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას თავისი მიზეზი აქვს... თუნდაც **სერგო თეთრაძის** საქმე ავიღოთ. კაცმა სამშობლოს ღალატი, რომელსაც სწამებდნენ, სიცოცხლის ფასად არ



**«ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მოგეხსენებათ, სააკაშვილი ერთი წლის განმავლობაში კიდევ იყო პრეზიდენტი. სწორედ იმ პერიოდში დონაძემ, სააკაშვილისა და კუბლაშვილის ხელშეწყობით, საზღვარგარეთ ფირი გააყალბა და შემდეგ ეს ფირი ატრიალა. მეტიც, კუბლაშვილის სასამართლომ იკადრა და, მიუხედავად იმ მტკიცებულებებისა, რომლებიც არსებობდა, გირაოთი გაათავისუფლა დაკავებულები, თუმცა ახლა უკვე წყალი შეუდგა მათ ტყუილებს და ბაქრაძის აღიარება ამის ნათელი დასტურია»**

აღიარა და საშინელი სიკვდილით მოკლეს. დღეს კი მისი მოსამართლეები უვადოდ ინიშნებიან. მხედველობაში მყავს სააკაშვილის რეჟიმისდროინდელი მოსამართლეები, რომლებიც პირდაპირ იმართებოდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ. ამაზე დიდი შეურაცხყოფა ხალხის, მე არ ვიცი. ვერ ვხვდები, რატომ აკეთებენ ამას. რაც შეეხება კონკრეტულად **გიგი უგულავას, როგორც ვიცი, მას რამდენიმე მილიონის გაფლანგვას თუ მითვისებას ედავებიან. მერიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფო უწყების რიგითმა თანამშრომელმა ასი ლარი რომ მოიპაროს, გადააყოლებენ და უგულავას და მისნაირებს რატომ მიუტევებენ მილიონების მითვისებას, არ მესმის.**

**— იმიტომ ხომ არა, რომ დღევანდელ ხელისუფლებაშიც არიან მსგავსი ადამიანები?**

— არ ვიცი, ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ სასამართლო რომ არ არის ის, რაც უნდა იყოს და რისთვისაც ვიბრძოდით, ფაქტია. ან რა რეფორმასა და სამართლიანობაზეა საუბარი, ერთადერთი შვილი მომიკლეს — უდანაშაულო, მოსამართლე კიდევ სამი-ოთხი თვით გადადებდა ხოლმე პროცესს. ჯვარს ვეცვი, რასაც ჰქვია. ადამიანის წამება ამაზე მეტი რა გინდა?! დედაჩემი ისეთ საშინელ დღეშია ამ სასამართლოების გამო, რომ მდგომარეობიდან ვერ გამომყავს. როგორია, ჭრილობაში მუდმივად ხელს რომ გიფათურებენ?! თუმცა ბოლო პერიოდში მოსამართლემ შეცვალა პოზიცია და უკვე კვირაში ორჯერ ნიშნავს პროცესებს. არ ვიცი, ალბათ, ადამიანობამ გაიღვიძა და მიხვდა, რეალურად ვისთან გვქონდა საქმე.

**— ზურაბ ბაქრაძის ადვოკატმა განაცხადა, რომ მის დასაცავს, შესაძლოა, საპროცესო შეთანხმება გაუფორმონ. თქვენი აზრით, სამართლიანი იქნება ეს?**

— თუ ის გამოძიებას რამე მნიშვნელოვან ინფორმაციას მიაწვდის და ეს ინფორმაცია მართლმსაჯულებას დაეხმარება სამართლიანი განაჩენის გამოტანაში, წინააღმდეგი არ ვიქნები. ყოველ შემთხვევაში, ამ ადამიანს, თუ ის მართლა აღიარებს ბრალს და სინდისის ქენჯნას განიცდის, ღირსების რაღაც ნატამალი ჰქონია, განსხვავებით იმ არაადამიანებისგან, რომლებიც არათუ სინანულს გამოხატავენ, კიდევ აქეთ გაწვებიან და ცდილობენ, მორალურად გაგანადგურონ.

**— თქვით, რომ სააკაშვილის რეჟიმისდროინდელი პოლიტიკურად ანგაჟირებული მოსამართლეები დღეს უვადოდ ინიშნებიან. დაგვიკონკრეტეთ თქვენი პოზიცია: რაზე მიუთითებს ეს ფაქტი, ხელისუფლებას საბოლოოდ დაკარგული აქვს განცდა, რომ ხალხმა თავის დროზე სამართლიანობის აღდგენის დაპირებით აირჩია?**

— ხელისუფლების წარმომადგენლებმა თქვეს, — ჩვენ არ ვერევით და მოსამართლეების დანიშვნის პროცესი დამოუკიდებლად მიდისო.

**— და გჯერათ, რომ ასეა?**

— ცხადია, ამის დაჯერება ყველას გვიჭირს. ჩემთვის ეს მიუღებელი და შეურაცხმყოფელია, მეტი რა გითხრათ. **სერგო თეთრაძის მოსამართლეს უვადოდ რომ დანიშნავ, სამართლიანობაზე ცოტა რთულია საუბარი. თუმცა მე ყველაზე მეტად ის მიკვირს, თვითონ ამ მოსამართლეებმა როგორ მისცეს თავიანთ თავს მორალური უფლება, უვადოდ დაენიშნათ.**

**— იმიტომ ხომ არ გაბედეს ეს, რომ ყველანაირი წნეხი, ფაქტობრივად, მოხსნილი აქვთ, როგორც საზოგადოების, ისე ოპოზიციისა და უფლებადამცველებისგან?**

— ალბათ, ესეც არის. როგორც ჩანს, ამ კატეგორიის ადამიანებს რაღაცის უნდა ეშინოდეთ, ბოროტებას რომ არ ემსახურონ, თორემ სინდისი და მორალი მათთვის უცხოა. მე, უბრალოდ, გული იმაზე მწყდება, რომ ამდენი ბრძოლის, ამდენი უბედურების შემდეგ ხალხმა, ვერც ერთმა ჩვენგანმა, ვერ მივიღეთ ის, რისთვისაც ბევრმა თავი გაწირა. მაინც ვერ დამკვიდრდა საქართველოში, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც, ის სამართლებრივი პრინციპები, რომლებისთვისაც წლების განმავლობაში ყველა ერთად ვუპირისპირდებოდით სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პროპაგანდა, რომელსაც კონკრეტული სასულიერო პირი, ამ შემთხვევაში — მეუფე იაკობი, სხვა დანარჩენ პროდასავლურ სასულიერო პირებთან ერთად, ბოლო პერიოდში პირნათლად ემსახურება, მოსახლეობის დაზაფრვისა და დატერორების კოეფიციენტით იაკობინელების „დიდ ტერორს“ მაინცდამაინც არ ჩამოუვარდება. პირიქით, თუ გავითვალისწინებთ, რომ პროდასავლური პროპაგანდაც გაშმაგებით ნადირობს „რუსეთუმეებზე“, „ამხელს“ და „ააშკარავებს“ მათ დაუნდობლად, ხოლო ვინც დასავლეთს — ამერიკასა და ევროპას — ეჭვის თვალით უყურებს, მაშინვე ქვეყნის მტრად რაცხავს. მსგავსება იმ რეპრესიებსა და თანამედროვე ლიბერალურ ტერორს შორის ძალიან დიდია. როგორც ჩანს, სწორედ ამ წნეხსა და ზეწოლას ვერ გაუძლო თავის დროზე ვაშინგტონში ვიზიტით მყოფმა მეუფე იაკობმა.**

# იაკობი და იაკობინელები

**იაკობინელები (ფრანგ. — Jacobins) — ასე ეწოდებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში მაქსიმილიან რობესპიერის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ კლუბს, რომელმაც მონარქიის დამხობის შემდეგ ძალაუფლება ერთპიროვნულად ჩაიგდო ხელში და „რევოლუციის მტრების“, ანუ „არაკეთილსაიმედო პირთა“ განადგურების მოტივით სრულიად საფრანგეთში ფართომასშტაბიანი რეპრესიები დაიწყო. ჯამში, ყოველგვარი ახსნა-განმარტების, გასამართლებისა და ბრალის დამტკიცების გარეშე, 35 ათასზე მეტი ადამიანი აიყვანეს გილიოტინაზე; „მავნებლობაში ამხილეს“ და ქონება ჩამოართვეს ათიათასობით მოქალაქეს, რომელთა დიდი ნაწილიც სრულიად უდანაშაულო იყო. დასმენა, მიყურადება და „გამოაშკარავება“ „რევოლუციურ სიქველედ“ გამოაცხადეს; „დიდი ტერორი“, ფაქტობრივად, ყველა ფენას, პოლიტიკურ ჯგუფსა და მხარეს შეეხო. ბოლოს, მართალია, რობესპიერმაც გილიოტინაზე დაასრულა სიცოცხლე, მაგრამ შიში და უნდობლობა, რომელიც ქვეყანაში მისმა სისასტიკემ გააჩინა, ხალხს კიდევ დიდხანს გაჰყვა. რევოლუციის გმირი უსამართლობისა და დაუნდობლობის სიმბოლოდ იქცა, ტერმინი „იაკობინელები“ კი სამუდამოდ დაუკავშირდა რეპრესიებს, ტერორსა და ბოროტებას.**



მეუფე იაკობი

## ვინ და რა ძალები ლობირებენ დღეს ეკლესიაში პროდასავლურ «ლიბერალურ» თარეშს

რაც შეეხება სათაურში ნახსენებ იაკობს, ცხადია, მას იაკობინელებთან და მით უფრო, მათ მიერ განხორციელებულ ავადსახსენებელ რეპრესიებთან პირდაპირ არაფერი აკავშირებს, მაგრამ პროპაგანდა, რომელსაც კონკრეტული სასულიერო პირი, ამ შემთხვევაში — **მეუფე იაკობი**, სხვა დანარჩენ პროდასავლურ სასულიერო პირებთან ერთად, ბოლო პერიოდში პირნათლად ემსახურება, მოსახლეობის დაზაფრვისა და დატერორების კოეფიციენტით იაკობინელების „დიდ ტერორს“ მაინცდამაინც არ ჩამოუვარდება. პირიქით, თუ გავითვალისწინებთ, რომ პროდასავლური პროპაგანდაც გაშმაგებით ნადირობს „რუსეთუმეებზე“, „ამხელს“ და „ააშკარავებს“ მათ დაუნდობლად, ხოლო ვინც დასავლეთს — ამერიკასა და ევროპას — ეჭვის თვალით უყურებს, მაშინვე ქვეყნის მტრად რაცხავს. მსგავსება იმ რეპრესიებსა და თანამედროვე ლიბერალურ ტერორს შორის ძალიან დიდია. როგორც ჩანს, სწორედ ამ წნეხსა და ზეწოლას ვერ გაუძლო თავის დროზე ვაშინგტონში ვიზიტით მყოფმა მეუფე იაკობმა, როცა განაცხადა, რომ ამერიკა ჩვენი მხსნელია. ციტატა: „ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და მას ჩვენთვის არ უღალატია. ჩვენი თავისუფლების გამო, რამდენი წელია, რუსეთი ღიად გვეომება, ამიტომ ამერიკის მხარდაჭერა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.

თუმცა ეს განცხადება ერთადერთი არ იყო, რომლითაც „ლიბერალური მედიის“ მიერ წლების წინათ „რუსეთის აგენტად“ შერაცხილმა მეუფემ ყველა გააოცა, მცირე ხნის შემდეგ იგი კვლავ ესტუმრა ამერიკას და დითირამბები არც მაშინ დაიშურა. შემდეგ ამას მოჰყვა მთელი კამპანია დასავლეთის სადიდებლად, ევროინტეგრაციის ისტორიულ არჩევანად გამოცხადებად და ა.შ. საკვირველი კი ამ ყველაფერში იყო ის, რომ დასავლური პროპაგანდის ინსტრუმენტად სხვა სასულიერო პირებიც იქცნენ, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც მანამდე სწორედ დასავლეთსა და თანამედროვე დასავლური ლიბერალიზმის მანკიერებებს ამხელდნენ...

მცირე ხნის წინათ საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების ტაძრის წინამძღვარმა, **დეკანოზმა კახაბერმა (გოგოტიშვილმა)** მედიასთან განაცხადა, რომ ვიზალიბერალიზაცია დიდი მონაპოვარია საქართველოსთვის და ჩვენ ამ მონაპოვრის დაკარგვის უფლება არ გვაქვს. ციტატა: „ვიზალიბერალიზაცია ნამდვილად დიდი მონაპოვარია საქართველოსთვის და ჩვენ არ გვაქვს უფლება, ვიაზროვნოთ არასახელმწიფოებრივად, იმიტომ, რომ ერთია, რა მჭირდება მე, პირადად, და მეორე — რა სჭირდება ჩვენს ქვეყანას. ეს ქვეყნისთვის არის დიდი მონაპოვარი, ძალიან დიდი საშუალება ევროპასთან კავშირის. შესაბამისად, ამის დარღვევა და სანქციები ჩვენი ქვეყნისთვის იქნება ძალიან დიდი დანაშაული კონკრეტული პიროვნებებისა, რომლებიც დაარღვევენ ვიზალიბერალიზაციის რეჟიმს“.

როგორც ხედავთ, **ამ განცხადების ავტორს მთავარ პრობლემად ის კი არ მიაჩნია, რომ ვიზალიბერალიზაციის შედეგად საქართველო მოსახლეობისგან იცლება და ხალხი მასობრივად მიდის ევროპაში შავ მუშად, არამედ ის, რომ ამ მასობრივი გადინების გამო „უდიდეს მონაპოვარს“ შეიძლება საფრთხე შეექმნას. მეტიც, დეკანოზი არ მალავს, რომ საპატრიარქო ჩართულია კამპანიაში, რომლის მიზანიც მოსახლეობის „ინფორმირება“ და „გაცნობიერებაა“ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის სიკეთეში, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ის, ფაქტობრივად, უერთდება „ლიბერალების“ პროდასავლურ პროპაგანდას და საზოგადოებას სიტყვასიტყვით უმეორებს ყელში ამოსულ რიტორიკას: „ევროპის იქით გზა არ გვაქვს“, „ევროკავშირი ჩვენი ბუნებრივი სივრცეა“...**

ეს ყველაფერი, ალბათ, იმაზე მეტყველებს, რომ ეკლესიაში, საპატრიარქოში უკვე ბევრია სუბიექტი, მათ შორის, სასულიერო პირებიც, რომელთა მეშვეობით ლიბერალური ტერორი ცდილობს, წყალი შეუყენოს ქართული სულიერებისა და ეროვნული იდენტობის მთავარ ბასტიონს. ეკლესიის გახლეჩვისა და მასში პროდასავლური ბანაკის შექმნის ეს ღია მცდელობა სულ უფრო აშკარაა. ამ პროცესის პარალელურად კი საზოგადოება რიგი სასულიერო პირების იდეოლოგიური მეტამორფოზის მომსწრეა...

არის თუ არა „დიდი“ და მნიშვნელოვანი მონაპოვარი საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაცია, რა მოუტანა მან ჩვენს ქვეყანას ერთი წლის თავზე და რა პროცესები მიდის ეკლესიის წიაღში? „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის სასულიერო პირებს დაუკავშირდა.



### „ვიზალიბერალიზაცია თავიდან ბოლომდე იყო ფარსი ამ ხელისუფლებისა, რომელმაც ვერაფერი გააკეთა ქვეყნისთვის“

**მამა გურამი (გამცემლიძე),** დიღმის სამი მღვდელმთავრის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი:

— დავიწყოთ იმით, რომ მოსახლეობის მასობრივი გადინება ევროპის ქვეყნებში და არა მხოლოდ ევროპის, მანამდეც მიმდინარეობდა, სანამ ვიზალიბერალიზაცია მოხდებოდა. მან, უბრალოდ, კიდევ უფრო გაამარტივა ეს პროცესი და ახლა, ბუნებრივია, უფრო მეტ ადამიანს ეძლევა ქვეყნის დატოვების საშუალება. ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება და ახალს ამ საკითხზე ვერაფერს გეტყვით. საზოგადოდ, ამ ვიზალიბერალიზაციაში არც კარგია რამე და არც ცუდი, გინდ ყოფილა, გინდ არა. ყოველ შემთხვევაში საქართველოსა და ქართველი ხალხის სასიკეთოდ რომ არ კეთდება დღეს არაფერი, ცხადია. ეს მანამ ასე იქნება, სანამ ხელისუფლება არ გვეყოლება ეროვნული და მართლმადიდებლური აზროვნების.

**— გარკვეული სასულიერო პირები დაუფარავად აცხადებენ, რომ ვიზალიბერალიზაცია „დიდი მონაპოვარია“. თქვენ არ ეთანხმებით?**

— მე ასე არ ვფიქრობ. ისე, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ჩვენი მოქალაქე წესიერად უნდა მოიქცეს ყველგან, რომელ ქვეყანაშიც უნდა იყოს, მაგრამ მონაპოვარს რაც შეეხება, ვიზალიბერალიზაციის ამგვარი შეფასება გადაჭარბებული მგონია. ჩემი აზრით, **მონაპოვარი იქნება ის, რომ ქართველი კაცი საქართველოში იყოს, ქართულად ფიქრობდეს, აზროვნებდეს, სამსახური ჰქონდეს და თავის ქვეყანას გამოადგეს.** სხვა რა გითხრათ, მე არ მინახავს, ევროპაში წასული ვინმე კარგად ცხოვრობდეს და, ესენი მონაპოვარს რას ეძახიან, არ ვიცი. იმას თუ გულისხმობენ, რომ საელჩოებში არ უწევთ ჩვენს მოქალაქეებს შესვლა და პირდაპირ უშვებენ იქ სამათხოვროდ, არ ვიცი. მეტი „მონაპოვარი“ მე არაფერი დამინახავს. ვიზალიბერალიზაცია თავიდან ბოლომდე იყო ფარსი ამ ხელისუფლებისა, რომელმაც ვერაფერი გააკეთა ქვეყნისთვის და ამით უნდათ, რაღაც პოლიტიკური ქულები დაიწერონ მომავალი არჩევნებისთვის.



### „სჯობს, ხალხს აქ შეუქმნან სამუშაო ადგილები და აქ დაასაქმონ, მსოფლიოში მათხოვრებად რომ არ გვიცნობდნენ“

**მამა გიორგი (რაზმაძე), ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი:**

— სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს. **მონაპოვარია ის, რომ ქვეყანა ცარიელდება და ქართველები შავ მუშებად, ფაქტობრივად, მონებად მიდიან ევროპაში?!** ვფიქრობ, ეს არის კიდევ ერთი მცდელობა, რომ ხალხს თვალში ნაცარი შეაყარონ და საზოგადოების რაღაც ნაწილი მაინც დაარწმუნონ ამ ტყუილში. **სჯობს, ხალხს აქ შეუქმნან სამუშაო ადგილები და აქ დაასაქმონ, მსოფლიოში მათხოვრებად რომ არ გვიცნობდნენ, თუმცა ფაქტია, რომ ძლიერი და წელში გამართული ქართული სახელმწიფო არც ერთ ცისფერ კომისარს არ აძლევს ხელს.**

რაც შეეხება იმას, რომ ევროკავშირთან დაახლოება თურმე დიდ ეკონომკურ სარგებელს მოგვიტანს, მათ რომ საქართველოს ეკონომიკური წინსვლა უნდოდეთ, პირველ რიგში, ბაზარს გაგვიხსნიდნენ და მრეწველობის განვითარებაში დაგვეხმარებოდნენ. უვიზოდ რომ გვიშვებენ ევროპაში, ეს რეალურად ხელშეწყობა არ არის. ვისაც საშუალება ჰქონდა, ის მანამდეც მიდიოდა; და დღეს ვინ მიდის? — დამშეული, გაღატაკებული ხალხი, რომელიც მზად არის, იქ მათხოვრულ ანაზრაურებაზე დღედაღამ იმუშაოს...

**— რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ბოლო პერიოდში ზოგიერთი სასულიერო პირიც აქტიურად მონაწილეობს პროდასავლურ ლიბერალურ პროპაგანდაში, რომლის მიზანიც ევროკავშირთან დაახლოების მხოლოდ დადებით კონტექსტში წარმოჩენაა. როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის ეს გარკვეული ძალების მხრიდან ეკლესიაში დაპირისპირების გაჩენის ირიბი მცდელობა?**

— რა თქმა უნდა, ლიბერალური ძალები, უკვე დიდი ხანია, ცდილობენ, რომ ეკლესიის წიაღშიც ჰყავდეთ თავიანთი ინტერესების გამტარებლები. სწორედ ასეთ სასულიერო პირებს აგზავნიან ხოლმე ისინი დასავლეთში სხვადასხვა ღონისძიებაზე და მერე, რასაც კარნახობენ, იმ განცხადებებს აკეთებინებენ იქიდან. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა, ანუ, **როგორც ჩვენი პრეზიდენტი მუშაობს მიკროფონად ევროპელებისთვის, ისე არიან.** ისე, მონაპოვარზე როცა საუბრობენ, იმაზე რატომ არაფერს ამბობენ, ჩვენი უამრავი მოქალაქე ისრაელიდან უკან რომ გამოაბრუნეს? ესეც მონაპოვარია? ან **რატომ იმაზე არ იღებენ ხმას, რომ სასულიერო პირებს, როგორც პოტენციურ კანონდამრღვევებს, ისე უყურებენ და იმ მიზეზით, რომ თურმე მათ ისრაელში დარჩენა უნდათ, აეროპორტიდანვე აბრუნებენ? რამდენი სასულიერო პირი ჩავიდა ისრაელში და უკან გამოაბრუნეს, თანაც იცით, ეს ყველაფერი რა შეურაცხმყოფელი ფორმით კეთდება? იგივე ხდება თურქეთშიც: ანაფორიანს რომ დაინახავენ საზღვარზე, ისე უყურებენ, თითქოს ტერორისტია.** ეს რა, არ არის სალაპარაკო?! ან ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები კათოლიკებთან რომ მიაბრძანეს და **ჯუზეპე პაზოტო** სურათებს აქვეყნებდა სოციალურ ქსელში, ეს არ არის სამარცხვინო ფაქტი, ეს არ იყო ქეთევან დედოფლის მეორედ წამება?! რატომ არ ჰქონდათ რეაქცია?!

რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციას, ეს ჩვენ გვგონია, რომ რაღაცას მივაღწიეთ და ავშენდით, თორემ მათთვის, ევროპელებისთვის, ეს არაფერს ნიშნავს. ძაღლს რომ ძვალს გადაუგდებენ და ჰგონია, გემრიელი ლუკმა ერგო, ასე ვართ... მოვიდნენ და ამაზე ილაპარაკონ იმ სასულიერო პირებმა, რომლებიც რაღაც მონაპოვარზე საუბრობენ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ქართული ოცნების“ პოლიტიკის ნაყოფია „ევროპული საქართველოს“ აღზევება, ვანო ზარდიაშვილის გაყოყოჩება და 48 მილიონის გაფლანგვაში ბრალდებული მაღალჩინოსნების ფაქტობრივი გათავისუფლება პასუხისმგებლობისგან.**

პანოპტიკუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კახა კალაძე გიგა ბოკერიას გაურიგდა?

**28 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, დედაქალაქის ყოფილი მერი გიგი უგულავა 48 მილიონის გაფლანგვის საქმეზე დამნაშავედ ცნო და 1 წლით და სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა. მიუხედავად ამისა, უგულავა ციხეში არ მოხვდება, რადგან ეს განაჩენი უკვე მოხდილმა სასჯელმა შთანთქა და შესაბამისად, სასჯელი უგულავას მოხდილად ჩაეთვალა. ამ ფაქტმა გააღიზიანა საზოგადოების ნაწილი, ამიტომ მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვერსიები „ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ გარიგების თაობაზე.**





## როდესაც კალაძემ «ევროპულ საქართველოს» კონსტრუქციული ოპოზიცია უწოდა, ამით საკმაოდ მძიმედ შეურაცხყო ისინი, ვინც სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდა

ბრალი ამ საქმეზე მერიის ყოფილ თანამშრომლებს 2013 წლის ივნისში წარუდგინეს. მათ შორის იყვნენ თბილისის განვითარების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი **გიორგი საბანაძე,** მერის ყოფილი მოადგილე **დავით ალავიძე**, შესყიდვების სამსახურის ყოფილი უფროსი **ალექსი თაბუაშვილი**, ძველი თბილისის ყოფილი გამგებელი **დავით ავალიანი** და მისი მოადგილე **დიმიტრი ჩხეიძე**. ეს უკანასკნელი სასამართლომ გაამართლა. უგულავას კი ბრალი ამ საქმეზე 2013 წლის დეკემბერში წარუდგინეს.

პროკურატურის მტკიცებით, თბილისის განვითარების ფონდში აკუმულირებული თანხა „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო დაფინანსებისთვის გამოიყენებოდა. საუბარი ორ ეპიზოდზეა. პროკურატურის განცხადებაში ნათქვამია, რომ გიგი უგულავამ, **„მერიის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, შეიმუშავა დანაშაულებრივი სქემა, აიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი თანხით 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო ხარჯების დასაფინანსებლად.**

**2011 წლის ნოემბერში, მერიის მაღალჩინოსნების მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, ქ. თბილისის მერის — გ.უ-ს (რა საჭიროა ამ შემთხვევაში ინიციალების გამოყენება?! — ავტ.) დავალებით, „თბილისის განვითარების ფონდში“ ფიქტიურად გაფორმებული 719 შენობის კვლევის სპეციალისტისთვის დამზადდა პლასტიკური სახელფასო ბარათები, რომლებიც რეალურად წარმოადგენდნენ არა ფონდის თანამშრომლებს, არამედ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს. დამზადებულ პლასტიკურ ბარათებზე უკანონოდ ირიცხებოდა აიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი თანხა, რაც წინასაარჩევნოდ გაწეული პარტიული საქმიანობის სანაცვლოდ ხელფასის სახით ურიგდებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ აქტივისტებს — უბნის უფროსებსა და მიკრო კოორდინატორებს. ამ გზით 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით პარტიული ინტერესებისთვის მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა აიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი 13 852 497 ლარი.**

**მოგვიანებით, 2012 წლის ივნისიდან ოქტომბრის ჩათვლით, გ.უ.-ს დავალებით, პარტიული აქტივისთვის დასარიგებელი სახელფასო თანხა აიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ ანგარიშიდან საბანკო ჩეკების გამოყენებით გამოჰქონდათ დანაშაულთან კავშირში მყოფ სხვა პირებს, რომელიც კოორდინატორების რაოდენობის მიხედვით ეტაპობრივად ხელზე გადაეცემოდა პარტიის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, ხოლო მათი მეშვეობით უშუალოდ პარტიულ აქტივისტებს. აღნიშნული გზით მართლსაწინააღმდეგოდ გაიფლანგა აიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ კუთვნილი 34 328 463 ლარი“.**

პროკურატურის მტკიცებით, მთლიანად გაიფლანგა 48 180 960 ლარი.

ქვეყანაში, სადაც მოქალაქეები წლობით სხედან ციხეში ქათმის ან ჯართის მოპარვისთვის, საზოგადოების ნაწილი უგულავასთვის გამოტანილ განაჩენს აღიქვამს, როგორც უპრეცედენტოდ რბილს. უფრო მკაცრად არც საქმის სხვა ფიგურანტები დასჯილან — მაქსიმალური „სროკი“ წელიწადი და ორი თვეა (თანაც პირობითი). გამონაკლისია „განვითარების ფონდის“ ყოფილი ხელმძღვანელი **გიორგი საბანაძე.** მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ საქმე ისაა, რომ საბანაძე საქართველოში არ იმყოფება. ჯერ კიდევ 2013 წლის ოქტომბერში მისი ადვოკატი ამბობდა, რომ მან უნგრეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო.

განაჩენის გამოტანის შემდეგ გამოქვეყნებულ განცხადებაში პროკურატურამ აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას დასაბუთებული განაჩენის ჩაბარების შემდგომ სააპელაციო წესით გაასაჩივრებს, მაგრამ ამან გაღიზიანებული მოქალაქეები ვერ დაამშვიდა. ისინი, უპირველესად, სოცქსელებში გარიგებაზე საუბრობდნენ და საილუსტრაციოდ კახი კალაძის 26 თებერვლის განცხადებაც მოჰყავდათ: **„ჩვენ უნდა გავყოთ ოპოზიცია, ერთია მარგინალური, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენს, და მეორეა „ევროპული საქართველო“. ჩვენ „ევროპულ საქართველოსთან“ ვთანამშრომლობთ, რადგან კონსტრუქციულები არიან. დესტრუქციულ, მარგინალურ ძალასთან არ ვაპირებთ არანაირ თანამშრომლობას“.**

იმაზე, რომ „ნაცმოძრაობა“ მარგინალურია, საქართველოში იშვიათად დავობენ, მაგრამ, **როდესაც კალაძემ „ევროპულ საქართველოს“ კონსტრუქციული ოპოზიცია უწოდა, ამით საკმაოდ მძიმედ შეურაცხყო ისინი, ვინც სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდა.** ამ ადამიანებმა მკაფიოდ გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება სოცქსელებში. ისინი უარს ამბობენ იმაზე, რომ „ევროპული საქართველო“ ლეგიტიმურ ოპოზიციურ ძალად განიხილონ და მითუმეტეს კონსტრუქციულს ვერ უწოდებენ. „ევროპული საქართველოს“ ლიდერები წარმოადგენდნენ სააკაშვილის რეჟიმის განუყოფელ ნაწილს მაშინ, როდესაც ის წამებით კლავდა სანდრო გირგვილიანსა და ასობით სხვა ახალგაზრდას, არბევდა მიტინგებს, უვარდებოდა ტელეკომპანიებს და ქვეყანას ძარცვავდა, როგორც ეს, მაგალითად, „თბილისის განვითარების ფონდის“ ეპიზოდში მოხდა. ამ ადამიანების თვალში „ევროპული საქართველო“ არსებითად დანაშაულებრივი დაჯგუფებაა და ისინი ვერასოდეს გაიზიარებენ კახა კალაძის მოსაზრებას. მეტიც, შეიძლება გაუხსენონ თბილისის ახალ მერს, რომ ის სააკაშვილის რეჟიმს მაშინ კი არ დაპირისპირებია, როდესაც ის უდანაშაულო მოქალაქეებს დაერია, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც საფრთხე მის ინტერესებს შეექმნა.

**ხელისუფლებას, სავარაუდოდ, სურს, რომ „ევროპულმა საქართველომ“ მისთვის იგივე როლი შეასრულოს, რაც „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ — სააკაშვილისთვის, ანუ მარიონეტული, ე.წ. კონსტრუქციული ოპოზიციის, რომლიც უარს ამბობს რევოლუციურ სცენარზე და ხელისუფლების რადიკალ ოპონენტებს ხმების 7-8% ართმევს.** მან შეიძლება მწვავედ გააკრიტიკოს მთავრობა უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრაზე, მაგრამ, ამავე დროს აგრძნობინოს მათ, რომ მოქმედ ხელისუფლებას ამ ეტაპზე ალტერნატივა არ აქვს. ამ როლის შესრულებისთვის „ევროპული საქართველოს“ ლიდერები, სავარაუდოდ, მიიღებენ რამდენიმე თბილ სავარძელს პარლამენტში, ბიზნესების ხელშეუხებლობას და გარანტიებს სამართლებრივი დევნისგან. **უგულავას ძალიან რბილი განაჩენი გამოუტანეს, ხოლო ბოკერიას მიერ უშიშროების საბჭოს თანხების საეჭვო განკარგვა, რომელზეც 2013 წელს ამდენს საუბრობდნენ, როგორც ჩანს, ყველას დაავიწყდა.**

ხელისუფლება, ალბათ, მიიღებს ისეთ „კონსტრუქციულ ოპოზიციას“, როგორიც სურს, თუმცა ამის გამო შეიძლება არაერთი ამომრჩეველი დაკარგოს. „ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ინდიკატორი გახდება შუალედური არჩევნები ვანი-ხონის მაჟორიტარულ ოლქში. ვრცელდება დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ ხელისუფლებამ იქ შეიძლება ძალიან სუსტი კანდიდატი წარადგინოს, რათა არჩევნები გიგი უგულავამ მოიგოს, რომლის კანდიდატურა „ევროპულმა საქართველომ“ დიდი ზარზეიმით, ყრილობაზე დაასახელა. ეს, ალბათ, არ მოხდებოდა, პარტიის ლიდერებს ამ არჩევნებიდან გარკვეული სარგებლის მიღების იმედი რომ არ ჰქონდეთ. **უგულავამ შეიძლება წააგოს, რადგან სიძულვილი სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენელთა მიმართ საზოგადოებაში ძალიან დიდია, მაგრამ გამორიცხული არაა, მეორე ადგილისთვის, „ვერცხლის მედლისთვის“ ბრძოლაში დამაჯერებლად დაამარცხოს „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი (თუ სააკაშვილი მას საერთოდ დააყენებს). ეს წაადგება „ევროპული საქართველოს“ ძალისხმევას, მთავარ ოპოზიციურ ძალად წარმოჩინდეს. უგულავა მიიღებს წინასაარჩევნო ტრიბუნას, რაც დაეხმარება მას, ამომრჩეველთა წინაშე წარდგეს, როგორც ჩვეულებრივი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი და არა მილიონების მითვისება-გაფლანგვისთვის გასამართლებული დამნაშავე.**

**არაფერია გასაკვირი იმაში, რომ „ქართული ოცნება“ „ევროპულ საქართველოსთან“ თანამშრომლობს. ის, რომ მას ყველა მორალური ბარიერი მოხსნილი აქვს, ნათლად მას შემდეგ გამოჩნდა, როცა მან საპარლამენტო სიაში ვანო ზარდიაშვილი შეიყვანა და ის ერთ-ერთ თავის „სახედ“ აქცია.** როდესაც ის თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერად მუშაობდა, მანდატურები ბრალს დებდნენ, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო მათზე ზეწოლას ახდენდა, უზრუნველყოფდა მათ მომზადებას ოპოზიციის აქციების დასარბევად; ხოლო როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, არწმუნებდა, რომ „ნაცმოძრაობა“ მალე დაბრუნდებოდა. ზარდიაშვილს ხშირად უწოდებენ ზონდერს, ხოლო მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა **ირმა ნადირაშვილმა** უთხრა: „თქვენ იყავით იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილის მდივან-რეფერანტი, შემდეგ — გიგი უგულავას კანცელარიის გამგე, შემდეგ იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილის რეკომენდაციით დაგნიშნეს საქალაქო სასამართლოს აპარატის უფროსად, შემდეგ ბიძინა ივანიშვილის მე-9 არხი გვიყვებოდა, როგორ აგზავნიდით ძალით „ნაციონალური მოძრაობის“ მიტინგებზე ადამიანებს და, ვინც არ გემორჩილებოდათ, სამსახურიდან აგდებდით. ამიტომ, გულწრფელად მინდა გკითხოთ: რა უფრო სასაცილოა, რომ მე, ვინც არ ვემიჯნები საკუთარ წარსულს, პირიქით ვამაყობ საკუთარი წარსულით და მომავლის განსხვავებული ხედვის გამო ვარ „ევროპულ საქართველოში“, თუ თქვენ მანდ, „ქართული ოცნების“ მოწინავე რიგებში, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს რომ იცავთ და დამოუკიდებელ სასამართლოზე გველაპარაკებით?“

გასულ კვირას ზარდიაშვილმა თავი კიდევ ერთხელ შეგვახსენა, როდესაც საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს უთხრა: „თქვენ იმ ხის ნაყოფი ხართ, რომელმაც საერთოდ არ იცის, რა არის სახალხო დამცველი“. ძნელი სათქმელია, რომელი ხის ნაყოფია ზარდიაშვილი, რომელიც 2017 წლის მაისში პარლამენტში სახალხო დამცველს ასე მიმართავდა: „ბატონო უჩა, რელსებს ასცდით, ხომ ხვდებით… აბსოლუტურად სხვა ბოსტანში გადახვედით და იქიდან აფასებთ სიტუაციას“. ზარდიაშვილი განვლილ პერიოდში აშკარად „გაიზარდა“, არა რელსებსა და ბოსტანზე, არამედ ხეებზე საუბრობს, რაც, ალბათ, ბიძინა ივანიშვილისა და მისი დენდროლოგიური ჰობის გავლენას უნდა მივაწეროთ. ისე, „ხე ნაყოფით შეიცნობა“ და ამ ეტაპზე **„ქართული ოცნების“ პოლიტიკის ნაყოფია „ევროპული საქართველოს“ აღზევება, ვანო ზარდიაშვილის გაყოყოჩება და 48 მილიონის გაფლანგვაში ბრალდებული მაღალჩინოსნების ფაქტობრივი გათავისუფლება პასუხისმგებლობისგან.**

**ლუკა ნემსაძე**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკა აიარაღებს უკრაინას, რათა, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთს უკრაინისა და საქართველოს ხელით ეომოს, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ ყველაფერში მოლდოვაც ჩაერთვება.**

# ეს არ არის მუქარა, ეს არის გაფრთხილება ამერიკის გოშიებისთვის

**აღარც კი მახსოვს, რამდენჯერ დავწერეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთთან ომისთვის ემზადება და ამის დამადასტურებელ ნაბიჯებს ამერიკის მხრიდან ყოველდღიურად ვხედავთ. ხომ გახსოვთ, ამერიკამ რუსეთის ხუთ მეზობელ ქვეყანას სამხედრო მზადყოფნა და ომის დროს სამოქალაქო შესაძლებლობები რომ შეუმოწმა, მერე — საქართველოს კარგი იარაღი სჭირდებაო და 75 მილიონად „ჯაველინები“ გვაყიდინეს, თანაც დაგვამადლეს: უკრაინასაც უნდოდა ეს „ჯაველინები“ რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ უარი ვუთხარითო, მაგრამ...**

„აშშ „ჯაველინის“ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემას უკრაინასაც გადასცემს. იარაღის ჩამოტანას ორიდან ექვს თვემდე დასჭირდება და ამას აშშ დააფინანსებს“, — განაცხადა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა **სტეპან პოლტორაკმა**.

და ეს მაშინ, როცა ამერიკაც და ევროპაც რუსეთს მოუწოდებენ, მოლაპარაკებების მაგიდას მიუჯდეს და ყირიმზე იმსჯელონ. ანუ, **ამერიკა აიარაღებს უკრაინას, რათა, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთს უკრაინისა და საქართველოს ხელით ეომოს, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ ყველაფერში მოლდოვაც ჩაერთვება.** მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** ამჟამად მოლდოვაში იმყოფება ოფიციალური ვიზიტით და ამის ფონზე უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარე **ანდრეი პორუბიის** ინიციატივა ძალზედ საეჭვოდ ჩანს. კობახიძის დარად, პორუბიიც მოლდოვაშია და სამი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეები, როგორც ჩანს, საერთო ჯარის შექმნას აპირებენ.

„ჩემი აზრით, კიევში უნდა გაიმართოს უკრაინა-მოლდოვა-საქართველოს ასამბლეის პირველი სამმხრივი სხდომა, რომელზეც ერთობლივი სამხედრო ბრიგადის შექმნის შესახებ ვიმსჯელებთ. ფორმატი, თავად ფაქტი, არსებობდეს ასეთი ერთობლივი სამხედრო ფორმირება, ძალიან პოზიტიურია და ვფიქრობ, რომ ამ გამოცდილების გამოყენება შეგვიძლია ჩვენს სამმხრივ თანამშრომლობაში. სამივე ქვეყნის პარლამენტების გადაწყვეტილებისა და ამ სამმხრივი ასამბლეის ფორმირების შემდეგ, კოლეგებს თხოვნით მივმართავ, რომ პირველი სხდომა კიევში გაიმართოს, რომელზეც დაისახება ამოცანები და პრეროგატივები. რადგან საერთო ამოცანები მართლაც უამრავია ბევრ სფეროში — საინფორმაციო უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება, ენერგოუსაფრთხოება და ერთობლივი სამხედრო ფორმირების შექმნა, ვფიქრობ, კარგი იდეები იქნებოდა პირველსავე შეხვედრაზე განსახილველად“, — განაცხადა პორუბიიმ.

ვეჭვობ, ამ განცხადების შემდეგ ანალოგიური ფორმირების შექმნის იდეას ამერიკა მოიწონებს და უფრო მეტიც, „ექსპერიმენტის“ სახით დააფინანსებს კიდეც, — ვნახოთ, რა გამოვაო, მაგრამ სად ჩადგება სამი ქვეყნის ერთობლივი ჯარი, ძნელი სათქმელია. ალბათ, სადმე რუსეთის საზღვართან, ჩრდილოელ მეზობელს კარგად რომ მოეშალოს ნერვები და იერიშზე გადმოვიდეს, მერე კი ვაშინგტონმა გაიშვიროს თითი, — ხედავთ, რუსეთი რა დღეშია, სანქციები გავუმკაცროთო.

ამერიკის მხრიდან იარაღის ჟღარუნსა და ქმედით ნაბიჯებს რუსეთის პრეზიდენტმა ერთი „მარტივი“ ნაბიჯით უპასუხა. 1 მარტს **ვლადიმერ პუტინმა** ფედერალური საკრებულოს წინაშე გამოსვლისას იმ იარაღის დემონსტრირება მოახდინა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს.

**„ჩვენმა მეცნიერებმა შექმნეს რამდენიმე იარაღი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ავიღოთ ახალი ბალისტიკური რაკეტა, რომელიც ათჯერ უფრო დიდ მანძილზე მიფრინავს აქამდე არსებულ რაკეტებთან შედარებით. ამასთანავე, ის მეტისმეტად სწრაფია იმისთვის, რომ რომელიმე თანამედროვე რადარმა შეამჩნიოს. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია გავისროლოთ რაკეტა და მას ვერც შეამჩნევენ. ჩვენმა მეცნიერებმა შეიმუშავეს წყალქვეშა დანადგარი, რომელიც ცუნამის იწვევს და ეს ცუნამი ყველაფერს წალეკავს 50 კილომეტრის რადიუსში. ჩვენ არავის ვემუქრებით, მაგრამ მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ ეს იარაღი გვაქვს და, თუ ამაზე უკეთეს რამეს მოიფიქრებენ სხვები, მაშინ ჩვენები გაუმჯობესებაზე იზრუნებენ, დღეს კი მსოფლიოში საუკეთესო შეიარაღება გვაქვს“**, — განაცხადა პუტინმა.


ირაკლი კობახიძე, ანდრიან კანდუ, ანდრეი პარუბი

შეიძლება თუ არა, ეს განცხადება მუქარად აღვიქვათ? ჩვენი აზრით, **ეს არ არის მუქარა, ეს არის გზავნილი იმ რაკეტსაწინააღმდეგო სარტყლის საწინააღმდეგოდ, რომლის შექმნასაც ამერიკა რუსეთის გარშემო მისი მეზობლების, მათ შორის, საქართველოს, მეშვეობით ცდილობს. რუსეთმა ამ განცხადებით ყველას დაანახვა, რომ არ აპირებს, მშვიდად ელოდოს, როდის დაარტყამენ ამერიკა და მის მიერ შეგულიანებული სახელმწიფოები.** ასეთი ალბათობის შემთხვევაში, პასუხი იქნება უმკაცრესი — **ამერიკისგან ნაყიდ „ჯაველინებს“ შეიძლება, წვერი კარგად გაუპრიალონ და უკან დაგვიბრუნონ.** პროპაგანდა, რომ რუსეთი ნომერ პირველი მტერია, პირდაპირ ვამბობთ, დასავლეთისგან არის თავსმოხვეული და, ვისაც არ სჯერა, გაიხსენოს 4 მარტს თავისუფლების მოედანზე გამართული აქცია, რომელზეც 300-მდე კაცი მივიდა. ეს მაშინ, როცა მარიხუანის ლეგალიზებას 10 ათასზე მეტი ითხოვდა, ამიტომ იქნებ დროა, რეალობას თვალში ჩავხედოთ და იარაღის (თანაც შემოჩეჩებულის) ჟღარუნს შევეშვათ და მოლაპარაკებების მაგიდას მივუსხდეთ...

გასულ კვირას გამოქვეყნდა ოფიციალური კვლევა, რომლის მიხედვითაც, **საქართველოდან წასული 840 ათასი ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობს. უფრო კონკრეტულად კი: საქართველოდან წასული ყველაზე მეტი ადამიანი — 450 ათასამდე, რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს; 80 000 — საბერძნეთში, 70 000 — უკრაინაში, 50 000 — აზერბაიჯანში, 40 000 — სომხეთში, 30 000 — ამერიკაში, 20 000 — გერმანიაში, 20 000 — კვიპროსზე, იტალიაში კი დაახლოებით 10 000 ქართველია.**

რა გამოდის? ქვეყანა, რომელიც უპირველეს მტრად გვყავს გამოცხადებული, ნახევარ მილიონამდე ჩვენს თანამემამულეს, ანუ ემიგრანტების საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს იფარავს, აძლევს სამსახურს, სარჩოს და... რაღაც არ მახსოვს, ამის გამო რუსეთს ჩვენთვის ხარკი მოეთხოვოს ან ეთქვას: წაიყვანეთ თქვენი მოქალაქეები, ჩემებსაც ძლივს ვარჩენო. არადა, როცა ევროპა თუ ამერიკა რუსეთს სანქციებს უწესებენ და უმკაცრებენ, გვიხარია და არ ვფიქრობთ, რომ 450 ათასი ჩვენი მოქალაქე ამ სანქციების პირობებში იცხოვრებს. ისიც ხომ ადვილი მისახვედრია, რომ ეს 450 ათასი ადამიანი, სულ ცოტა, ერთ ამდენს საქართველოში არჩენს და ერთ მშვენიერ დღეს, რუსეთმა 450 ათასი კაცი რომ გამოყაროს თავისი ტერიhტორიიდან და საქართველოში გამოუშვას, მილიონამდე დამშეულ ადამიანს ხომ მივიღებთ?! თუ ახლა ამაზე ფიქრი არ შეიძლება, რადგან რუსეთზე კარგის თქმა სამშობლოს ღალატია?!

არაფრის მტკიცებას არ ვაპირებთ, მაგრამ ამერიკული „ჯაველინებით“ შეგულიანებულებმა შემთხვევით კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა არ მოვინდომოთ ისევ და კვლავ პამპერსებისა და წყლის ანაბარა არ დავრჩეთ.

ფაქტია: ამერიკა „გაკეთილშობილდა“ და რუსეთის ყველა მეზობელს იარაღის შეძენაში ეხმარება.

**ბესო ბარბაქაძე**

# ტრანსგენდერთა ოცნება: «თაიმ ჩეინჯ, ფიფლ ჩეინჯ» ანუ კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს ლგბტ-ზაციის გზაზე

## ტრანსგენდერები ბავშვის შვილად აყვანის უფლებას მოითხოვენ

**საქართველოში კატასტროფული დემოგრაფიული ვითარებაა: შემცირდა შობადობა, მოიმატა სიკვდილიანობამ, შემცირდა ქორწინებები, ქვეყანაში უკვე ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით სრულდება; არნახულ მასშტაბს მიაღწია ემიგრაციულმა პროცესებმა — 1989-2014 წლებში 1,7 მილიონმა ადამიანმა დატოვა საქართველო და ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადაიხვეწა. საქართველო ყველაზე დაბერებული ქვეყნების სიაშია.**

ქვეყანაში პენსია 180 ლარია, საარსებო მინიმუმი — 174 ლარი, ხელისუფლების წარმომადგენლები კი, რომლებიც, უზარმაზარ ხელფასებთან ერთად, პრემია-დანამატებსაც იღებენ, მხოლოდ ახლა ალაპარაკდნენ მრავალშვილიანი ოჯახების (საქართველოში მხოლოდ 12 369 ოთხ და მეტშვილიანი ოჯახია) დახმარებაზე ყოველთვიურად 20 ლარით(?!). სამაგიეროდ, არ ავიწყდებათ ლგბტ-თა უფლებები: საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს ერთხმად(!) მიიღო ე.წ. **ანტიდისკრიმინაციული კანონი,** რაც ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიის პროპაგანდის განმტკიცებისკენ გადადგმული ნაბიჯია, 2017 წელს კი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტმა 2018 წლის სამოქმედო



გეგმაში შეიტანა 17 მაისის აღნიშვნა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღედ, ანუ არ არის გამორიცხული, თბილისში ან საქართველოს სხვა ქალაქებში გეიაღლუმიც ვიხილოთ. როგორც ჩანს, ამის პრელუდიაა ვიდეო, რომელიც ახლახან, ქალთა საერთაშორისო დღის წინ (8 მარტს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღინიშნება ქალთა დღე, რომელიც გაერომ 1975 წელს აღიარა), 2 მარტს, უცხოეთიდან გულუხვად დაფინანსებულმა „რადიო თავისუფლებამ“ ტრანსგენდერ ქალებს მიუძღვნა, სახელწოდებით **„ტრანსგენდერი ქალები — ოცნებები დედობაზე“.** ვიდეოში ტრანსგენდერები — **მონიკა, ფატიმა, მარია** და **მირანდა** — ლაპარაკობენ ტრანსგენდერი ქალების უფლებებზე, რომ **„ტრანსგენდერი ქალები არაჩვეულებრივი დედები იქნებიან“**; რომ **„ახლა ამაზე** (დედობაზე — ნ.ა.) **საუბარი რომ დაიწყოს, საზოგადოების მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვება, ამიტომ ამ საკითხზე ნაბიჯ-ნაბიჯ არის სამუშაო და ნელ-ნელა უნდა მიეჩვიოს ხალხი ამ ყველაფერს... გარკვეული დროის შემდეგ კი საზოგადოების განვითარების დონე გაიზრდება“; რომ „საქართველოში უნდა მოგვარდეს სიტუაცია, რათა ოჯახის შექმნისა და, ჩვეულებრივ, შვილის აყვანის უფლება გვქონდეს“...**

სხვათა შორის, ეს სუბიექტები ლგბტ-თა იმ „ფრთის“ წარმომადგენლები არიან, რომელმაც შარშან ცირკთან მდებარე სკვერისთვის „ტრანსგენდერთა სკვერის“ სახელის დარქმევის თხოვნით მიმართა თბილისის საკრებულოს. მალე კი, ალბათ, 8 მარტის გამოცხადებას მოითხოვენ ტრანსგენდერების დღედ... ვიდეოში ტრანსგენდერი **ფატიმა** ამბობს: „დრო იცვლება, ხალხი იცვლება — ფიფლ ჩეინჯ, თაიმ ჩეინჯ“ და იმედოვნებს, რომ საქართველოც შეიცვლება და დაადგება ლგბტ-ზაციის გზას. დასავლეთის მიერ თავსმოხვეული ტრანსგენდერების უფლებების დაცვის პროპაგანდა ხომ კიდევ ერთი ნაბიჯია დემოგრაფიული კატასტროფის უფსკრულში გადასაჩეხად გამზადებული საქართველოს ლგბტ-ზაციის გზაზე?!

აბა, რა! „თაიმ ჩეინჯ, ფიფლ ჩეინჯ“, მაგრამ რას მოუტანს ეს „ჩეინჯი“ საქართველოს? საკითხავი აი ეს არის.

**ნიკოლოზ აბაშიძე**

**ცნობისთვის: ტრანსგენდერი — ეს არის ადამიანი, რომელსაც შეცვლილი აქვს სხეული (სქესი) ჰორმონული ან ქირურგიული ჩარევის გზით.**

**„მათ, ვინც ბოლო 15 წლის განმავლობაში ცდილობდა, თავისი შეიარაღების გაძლიერება-განვითარებასა და რუსეთზე უპირატესობის მოპოვებას, სამართლებრივი თვალსაზრისით უკანონო სანქციების დაწესებას, ჩვენი ქვეყნის განვითარების შეფერხებას (მათ შორის — სამხედრო სფეროში), ვეტყვი: ყველაფერი, რის გაკეთებასაც ეწინააღმდეგებოდით ამ პოლიტიკის გატარებით, უკვე დასრულებულია და რუსეთის შეკავება ვერ მოახერხეთ. რუსეთი უპასუხებს ატომურ თავდასხმას და ეს მოხდება მყისვე, როგორი ზომებიც უნდა გამოიყენონ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ“**

Para belum
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გახვრეტილი ქოლგა

**1 მარტს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავისი ტრადიციული გამოსვლა ფედერალური საკრებულოს წინაშე უპრეცედენტოდ მწვავედ დაასრულა. მან მსოფლიოს, უფრო ზუსტად, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ასე მიმართა: „ჩვენ არავინ გვისმენდა, ახლა მოგვისმენთ!“**



პუტინის გამოსვლის ტექსტი, ტრადიციულად, დაყოფილია დაახლოებით თანაბარ ნაწილებად: ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალი, კორუფცია, საერთაშორისო დღის წესრიგი, მაგრამ ამჯერად პროპორციები მნიშვნელოვნად შეიცვალა. რუსეთის პრეზიდენტმა თავისი ორსაათიანი გამოსვლის თითქმის ნახევარი აშშ-თან დაპირისპირებასა და ახალ შეიარაღებას დაუთმო.

**„აშშ გამოვიდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შეთანხმებიდან (ამ უვადო შეთანხმებას აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ხელი მოეწერა 1972 წლის 26 მაისს — ლ.მ.). ეს შეთანხმება სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შემცირებისა და შეზღუდვის შეთანხმებასთან (რუსეთსა და აშშ-ს შორის შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების, წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების შემცირებას, აგრეთვე, ბირთვული მუხტების შემცირებას 1500 ერთეულამდე, ხოლო მძიმე ბომბდამშენების შემცირებას — 700 ერთეულამდე. შეთანხმებას ხელი მოეწერა 2010 წელს — ლ.მ.) ერთად უსაფრთხოების გარანტიას იძლეოდა ატომური იარაღის გამოყენების კუთხით. ჩვენ დიდხანს ვცდილობდით, გადაგვერწმუნებინა ამერიკელები, არ დაერღვიათ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება, მაგრამ ამაოდ. მოლაპარაკებებისა და გაფრთხილებების მიუხედავად, აშშ მაინც განაგრძობდა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განახლება-განმტკიცებასა და ბირთვული პოტენციალის გაძლიერებას.**

**და რა გავაკეთეთ, ჩვენ პროტესტისა და გაფრთხილებების გარდა? რით უპასუხა რუსეთმა ამ გამოწვევას? — აი რით: ბოლო წლებში უზარმაზარი სამუშაო ჩატარდა არმიისა და ფლოტის გასაძლიერებლად. შეიარაღებული ძალების აღჭურვამ თანამედროვე იარაღით 3,7-ჯერ მოიმატა“,** — განაცხადა **ვლადიმერ პუტინმა,** შემდეგ კი სპეციალურად დამონტაჟებულ ეკრანებზე დაიწყო უახლესი რუსული იარაღის დემონსტრირება.

რუსეთის პრეზიდენტმა, პირველ რიგში, ილაპარაკა ახალი სარაკეტო კომპლექსის გამოცდაზე მძიმე საკონტინენტთაშორისო რაკეტა „სარმატით“. ვიდეოზე, რაკეტის გამოცდასთან ერთად, კომპიუტერული გრაფიკით ნაჩვენები იყო რაკეტის ფრენის მარშრუტი.

„რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეთანხმებიდან გამოსვლის შემდეგ ვაშინგტონმა განაცხადა, რომ მათი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები დამიზნებული არ არის მოსკოვზე. ამერიკის ხელისუფლებამ თქვა, რომ „რუსეთს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რასაც მოისურვებს“. ეს ლოგიკა გასაგებია, ჩვენ ვართ დამნაშავენი. როდესაც სსრკ დაიშალა, რუსეთი ვალებში იყო ჩაფლული, ეკონომიკა არ მუშაობდა და „დასავლელმა პარტნიორებმა“ გადაწყვიტეს, რომ მოსკოვი ანგარიშგასაწევი ძალა აღარ არის. და რა გავაკეთეთ ჩვენ, პროტესტებისა და გაფრთხილებების გარდა? — რუსეთმა სწრაფად გადადგა ნაბიჯები უახლესი იარაღის შესაქმნელად. ახლა ჩვენი საკონტინენტთაშორისო სარაკეტო კომპლექსები აღჭურვილი იქნება ისეთი სისტემებით, რომლებსაც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გარღვევა შეუძლია“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

მან გაიხსენა რუსული რაკეტა „ვოევოდა“, რომელსაც დასავლეთში „სატანა“ შეარქვეს და რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში შეიქმნა, „ახლა კი მას შეცვლის უახლესი იარაღი **„სარმატი“,** რომელსაც ვერანაირი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა ვერ შეაკავებს. ახალი იარაღის მოქმედების სიშორე შეუზღუდავია, ტრაექტორია — გამოუცნობი“, — თქვა პუტინმა.

შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ისაუბრა ახალი **ენერგეტიკული ბირთვული მოწყობილობის მქონე იარაღის** წარმატებით გამოცდაზე.

„არავის აქვს ისეთი იარაღი, როგორიც რუსეთს, — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა, — და, როდესაც გამოჩნდება შეიარაღებაში, ჩვენი ბიჭები ახალს გამოიგონებენ. რუსეთში შემუშავებულია **ახალი უპილოტო საფრენი აპარატები**, რომლებიც სიჩქარით რამდენჯერმე აღემატება წყალქვეშა ნავებისა და ტორპედოების სიჩქარეს. ეს, უბრალოდ, ფანტასტიკაა.

ეკრანზე გაუშვეს კიდევ ერთი ვიდეო, რომელზეც ასახული იყო, როგორ მუშაობდა რუსული იარაღისთვის განკუთვნილი ენერგეტიკული მოწყობილობა. „ამ იარაღის ფლობა სერიოზულ უპირატესობას იძლევა შეიარაღებული ბრძოლის სფეროში. მისი ძლიერება, სიმძლავრე, როგორც სამხედრო ექსპერტები ამბობენ, შეიძლება უზარმაზარი იყოს, სიჩქარე კი დღევანდელი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებისგან დაცვის საშუალებას იძლევა, რადგან რაკეტსაწინააღმდეგო საშუალება, მას, უბრალოდ, ვერ დაეწევა“, — განმარტა რუსეთის პრეზიდენტმა და დასძინა, რომ რუსეთს ზებგერითი იარაღიც აქვს.

პუტინმა ილაპარაკა ახალ სისტემა **„კინჟალზე“.** „ეს იარაღი იქნება მეტეორიტივით“, — განაცხადა პუტინმა და კიდევ ერთი ვიდეო აჩვენა. „ამ იარაღს ჯერჯერობით **„ავანგარდი“** დავარქვით, შეუძლია ატმოსფეროს მკვრივ ფენებში მანევრირება. სიჩქარე ჰიპერბგერითი ექნება“, — თქვა მან.

პუტინმა გაიხსენა 2004 წელს ნათქვამი ციტატა, რომ რუსეთის სჭირდება ისეთი იარაღი, როგორიც მსოფლიოში არავის ექნება, მაგრამ **„იმხანად მოსკოვს არავინ უსმენდა, მოგვისმენთ ახლა!“** — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

„მიმდინარეობს სამუშაოები **ლაზერული იარაღის** შესაქმნელად. ეს არ არის უბრალო თეორია თუ პროექტი, არც წარმოების დაწყება. ასეთ იარაღს ქმნის ქვეყანა, რომელშიც განვითარებულია მეცნიერება და განათლება, რუსეთს კი ამის პოტენციალი აქვს. დღეს შეიძლება დარწმუნებით ითქვას: **რუსეთში შეიქმნა მაღალტექნოლოგიური არმია** და მისი გული არის ერთგული ოფიცრების კორპუსი. რუსეთის სამხედრო პოტენციალის გაძლიერება არავის ემუქრება. ჩვენ არასდროს გვქონია და არც ახლა გვაქვს ამ პოტენციალის გამოყენების გეგმა შეტევის, მით უმეტეს, აგრესიული მიზნებით. ჩვენ არავის ვემუქრებით, არავისზე თავდასხმას არ ვაპირებთ, **არავის არაფრის წართმევას არ ვუპირებთ, ჩვენ ყველაფერი გვაქვს!**

მათ, ვინც ბოლო 15 წლის განმავლობაში ცდილობდა თავისი შეიარაღების გაძლიერება-განვითარებასა და რუსეთზე უპირატესობის მოპოვებას, სამართლებრივი თვალსაზრისით უკანონო სანქციების დაწესებას, ჩვენი ქვეყნის განვითარების შეფერხებას (მათ შორის — სამხედრო სფეროში), ვეტყვი: ყველაფერი, რის გაკეთებასაც ეწინააღმდეგებოდით ამ პოლიტიკის გატარებით, უკვე დასრულებულია და რუსეთის შეკავება ვერ მოახერხეთ. რუსეთი უპასუხებს ატომურ თავდასხმას და ეს მოხდება მყისვე, როგორი ზომებიც უნდა გამოიყენონ ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ბოლო წლებში ჩვენ იმდენ რამეს მივაღწიეთ, სხვას ამისთვის ასწლეულები დასჭირდებოდა. მსოფლიო გარდამტეხი ცვლილებების პერიოდშია და ლიდერი იქნება ის, ვინც მზად არის და შეუძლია ცვლილებების განხორციელება. მივდიოდით, მივდივართ და ვივლით ჩვენი კურსით. ვიყავით და ვიქნებით ერთად!“ — აღნიშნა პუტინმა გამოსვლის დასასრულს.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის, **დიმიტრი პესკოვის,** განცხადებით, რუსეთის არმიისთვის ახალი იარაღის შექმნის პროცესს პირადად პუტინი აკონტროლებდა.

რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ ამერიკელების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა შეაფასა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა **სერგეი შოიგუმ:**

„ის, რასაც დღეს ქმნიან პოლონეთსა და რუმინეთში, ალასკაზე და რის შექმნასაც გეგმავენ სამხრეთ კორეასა და იაპონიაში, არის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის „ქოლგა“ და ეს „ქოლგა“ ნახვრეტებიანია“.

ამასთანავე, შოიგუმ აღნიშნა, რომ ახალი იარაღის შექმნა რუსეთს დაეხმარება, თავიდან აიცილოს შეიარაღების ახალ რბოლაში ჩათრევა და დაიცვას სუვერენიტეტი მრავალი წლის განმავლობაში.



ლაზერული იარაღი

### „განკითხვის დღის საშინელი იარაღი“

ბრიტანული გამოცემა „დეილი მირორი“ 2 წლის წინათ წერდა, რომ რუსეთი შეიარაღებულ ახალ სტრატეგიულ სარაკეტო კომპლექს „სარმატს“ მიიღებდა.

ბრიტანელი მიმომხილველების აზრით, **„რუსეთის ახალი ბირთვული იარაღი დასავლელ პოლიტიკოსებსა და სამხედროებს შიშს ჰგვრით, რადგან თანამედროვე რადარებს ამ კომპლექსიდან გაშვებული ბირთული რაკეტის აღმოჩენა არ შეუძლია და რუსებს შესაძლებლობა ექნებათ, რამდენიმე წამში აღგავონ პირისაგან მიწისა ტერიტორიის მიხედვით საფრანგეთის ან ტეხასის შტატის ტოლი სახელმწიფო“.**

**დასავლურმა მედიამ რუსულ ახალ სარაკეტო კომპლექსს უწოდა „განკითხვის დღის საშინელი იარაღი“, რომელსაც ნებისმიერი რადიოსალოკაციო სისტემის მოტყუება შეუძლია.**

სამხედრო სპეციალისტების აზრით, რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ შექმნილ ახალ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტას შეუძლია, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ნებისმიერ სისტემას აუაროს გვერდი და ეს იქნება პასუხი ამერიკულ ინიციატივაზე „სწრაფი გლობალური დარტყმის“ შესახებ. ახალ ბალისტიკურ რაკეტა „სარმატს“ რაკეტსაწინააღმდგო ბარიერების გადალახვის ისეთი ენერგეტიკული მარაგი აქვს, რომ შეუძლია ჩრდილოეთ ან სამხრეთ პოლუსის გავლით იფრინოს და მიზანს მიაღწიოს“.



„სარმატი“

### „სარმატის“ ტექნიკური მახასიათებლები:

**„სარმატი“ (PC-28) — ეს არის საშახტო ბაზირების მეხუთე თაობის რუსული სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსი, რომელიც აღჭურვილია მძიმე, ორსაფეხურიანი თხევადი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებით.**

მეოთხე თაობის კომპლექსებისგან (P-36M „სატანა“) განსხვავებით, აქვს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებისგან თავდაცვის საშუალებები (საშახტო გამშვები მოწყობილობა), აგრეთვე, მაღალი სიზუსტის ჰიპერბგერითი საბრძოლო ბლოკები; შეუძლია იფრინოს სუბორბიტული ტრაექტორიით. ამ რაკეტით შეიძლება მოწინააღმდეგის სტრატეგიული ობიექტების დაზიანება და განადგურება ქობინის კინეტიკური ენერგიით, ბირთვული აფეთქების გარეშე. ორსაფეხურიანი რაკეტის სასტარტო მასა 169 ტონაა, სათავო ნაწილის მასა — 10 ტ.

მოამზადა
**ლუკა მაისურაძე**

კარდაკარ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენ გვახსოვს, როგორ ჩეხავდა კახელი გლეხი ვაზს. წელს ატამი გავჩეხე, რადგან შარშან მოსავალი ბაღშივე დავტოვე — ფასი არ ჰქონდა, შრომაც არ მიღირდა. წელს ვაპირებ, ისევ ვენახი გავაშენო. ვნახოთ, რა იქნება. გზები ვითომ გაიხსნა რუსეთისკენ, სავაჭროს ვგულისხმობ, მაგრამ გლეხს არ აქვს საშუალება, გაიტანოს საზღვრებს გარეთ ღვინო. ქართული ღვინის გატანა მხოლოდ დიდ ფირმებს შეუძლიათ. ამბობენ, მილიარდი ჩადესო სოფლის მეურნეობაში, მაგრამ აქაურ გლეხებს არაფერი გვინახავს, გურჯაანში ერთ ადამიანსაც ვერ შევხვდი, რომელიც „სოფლის მეურნეობის პროგრამით“ დაფინანსდა“.



# მერაბ ზურაბაშვილი: დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე გველაპარაკებიან, მაგრამ დამოკიდებულები და თავისუფლებაწართმეულები ვართ

**რუბრიკის სტუმარია გურჯაანის მკვიდრი მერაბ ზურაბაშვილი, რომელიც ცდილობს, შეკრიბოს თანამოაზრეები — ადამიანები, რომელთათვისაც სამშობლო უპირველესია, და ამისთვის ძალიხსმევას არ იშურებს.**

## რას მოგვიტანს ნატო? ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ, 2008 წლის აგვისტოში ნატომ რაც გაგვიკეთა?! ხალხს აბრიყვებენ. ჩვენ ხომ ვიცით, რისთვის აძახებინებენ «ნატო-ნატოს» ჩვენს მთავრობას

— „ქართული ოცნების“ იმედი არ მქონია და არც მექნება არასოდეს. შესაბამისად, იმედიც არ გამცრუებია იმის გამო, რომ ქვეყანაში არაფერი შეიცვალა. ამ ხელისუფლების იმედი საღად მოაზროვნე ადამიანს არ ექნებოდა, რადგან წარმოების წესი, რომელზეც ადამიანისა და ქვეყნის ცხოვრებაა აგებული, გაქრა, აღარ არსებობს. 1990-იანი წლების შემდეგ დამკვიდრდა საბაზრო ეკონომიკა, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას დიდ გასაჭირში აგდებს. უმცირესობა კარგად ცხოვრობს, მაგრამ ქვეყანა უმცირესობისგან არ შედგება.

ჩემ გარშემო ბევრ ადამიანს გაუცრუა იმედი „ქართულმა ოცნებამ“ და ეს იქამდე გაგრძელდება, სანამ ისინი ან ეს სისტემა (აღარც კი ვიცი, როგორ ვთქვა) არ გადავარდება. ასე საქართველო დიდხანს ვერ გაძლებს.

**დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე გველაპარაკებიან, მაგრამ დამოკიდებულები და თავისუფლებაწართმეულები ვართ. ეს არის ფაქტი.**

**— რა არის ასეთ მდგომარეობაში საქართველოს ყოფნის მიზეზი?**

— ის პოლიტიკა, რომელსაც დღეს მსოფლიოში დასავლეთი და ამერიკა ახორციელებს. დიდ ქვეყნებს მსოფლიოზე ბატონობა სურთ და ჩვენ, პატარა ქვეყნები, მათ იდეას ვეწირებით. ადვილად ვექცევით დიდი ქვეყნების გავლენის ქვეშ, რადგან მათ მიერ ხელდასმული ადამიანები მართავენ საქართველოს. სამწუხაროა, რომ, ყველა სიკეთესთან ერთად, პლაცდარმადაც გვიყენებენ. შესაძლოა, ვიღაცამ თქვას: ხელისუფლებას სხვა გზა არ აქვს და დირექტივებს იძულებით ასრულებსო, მაგრამ არ მგონია, ასე იყოს. მათ სურვილიც არ აქვთ, ქვეყნისთვის სასიკეთო ნაბიჯები გადადგან. როდესაც ეს ხელისუფლება მოდიოდა ქვეყნის სათავეში, ბევრი ამბობდა, რომ ივანიშვილი არ დაემორჩილებოდა სხვა ქვეყნის ბრძანებას, მაგრამ ამის არ მჯეროდა.

**— ხალხი „მესამე ძალას“ ელოდება...**

— „მესამე ძალაში“, ალბათ, ოპოზიციას გულისხმობენ, თორემ ამ ქვეყანაში, დიდი ხანია, ხელისუფლებაც და ფსევდოოპოზიციაც სინამდვილეში ერთი ძალაა და კარგი იქნება, თუ „მეორე ძალის“ მოსვლაზე ვიოცნებებთ.

**ზვიად გამსახურდია** არ დაემორჩილა უცხო ძალებს და, როგორც დაასრულა მმართველობა, ვიცით. არ დაემორჩილო იმ ადამიანებს, რომლებმაც ხელისუფლებაში მოგიყვანა, წარმოუდგენელია. ან ხელისუფლებაში არ უნდა მოხვიდე, ან უნდა დაემორჩილო. დიდ კაცსა პატარა კაცთან როდის გასვლია მართალიო, — ნათქვამია.

1990-იანი წლებიდან ხალხს ყველა მთავრობამ იმედი გაუცრუა, რადგან ისინი უცხო ქვეყნის მხარდაჭერით მოვიდნენ და აკეთებდნენ იმას, რასაც უბრძანებდნენ. ქვეყანა ჯართის ფასად გაიყიდა — დაიშალა საწარმოები, ქარხნები, ფაბრიკები, გავპარტახდით და ჩამორჩენილი ქვეყანა, რომელშიც აქედან გატანილ ნივთებსა და ტანსაცმელს ვყიდდით, აშენდა. დღეს ჩვენ თურქეთიდან შემოტანილი პროდუქციით ვცხოვრობთ, თურქეთის იმედზე ვართ. ჩვენი დაშლილი ქარხნები იქ ააშენეს და ახლა სამუშაოს იქ ეძებენ ქართველები. უფსკრულში ვართ. ხალხი „მესამე ძალას“ ელოდება, ის აუცილებლად გამოჩნდება და საქართველოს სააქაოსკენ მოაბრუნებს. ეს მოხდება მაშინ, როდესაც ვითარება უფრო დამძიმდება...

**— ამაზე მეტად რაღა უნდა დამძიმდეს? ყველა სფეროში პრობლემაა, მოსახლეობა გაუსაძლის მდგომარეობაშია — სოციალური და ეკონომიკური ფონი უმძიმესია...**

— დამძიმდება, უარეს დღეში ჩავცვივდებით. უკუსვლა გრძელდება, რაც კატასტროფამდე მიგვიყვანს, ეს უკუსვლა ხალხს გონზე მოიყვანს და ქვეყნის გადარჩენაზე ზრუნვას დავიწყებთ. უნდა ვივაჟკაცოთ, უნდა მოვძებნოთ ადამიანი, რომელიც ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებაზე იფიქრებს, მოვძებნოთ და მხარში ამოვუდგეთ. უბედურება კარს მომდგარია, **გვყავს მთავრობა, რომელიც წინააღმდეგობას არ გაუწევს უცხოტომელებს ხალხის გადასარჩენად.** არავის სურს, ზვიად გამსახურდიას ბედი ეწიოს.

**— თქვენ როგორ ცხოვრობთ, რით ირჩენთ თავს? რა ვითარებაა თქვენ გარშემო?**

— უმძიმესი სოციალური ფონია რაიონში, მიუხედავად იმისა, რომ ყურძნის ფასმა მოიმატა, მაინც ვერ წამოდგა ხალხი ფეხზე. **ცხოვრება გართულდა და საკმარისი არ არის ის, რაც გლეხს აქვს,** თანაც არავინ იცის, წელს რა ფასი ექნება ყურძენს.

გვახსოვს, როგორ ჩეხავდა კახელი გლეხი ვაზს. წელს ატამი გავჩეხე, რადგან შარშან მოსავალი ბაღშივე დავტოვე — ფასი არ ჰქონდა, შრომაც არ მიღირდა. წელს ვაპირებ, ისევ ვენახი გავაშენო. ვნახოთ, რა იქნება. **გზები ვითომ გაიხსნა რუსეთისკენ, სავაჭროს ვგულისხმობ, მაგრამ გლეხს არ აქვს საშუალება, გაიტანოს საზღვრებს გარეთ ღვინო. ქართული ღვინის გატანა, მხოლოდ დიდ ფირმებს შეუძლიათ.**

ამბობენ, მილიარდი ჩადესო სოფლის მეურნეობაში, მაგრამ აქაურ გლეხებს არაფერი გვინახავს, გურჯაანში ერთ ადამიანსაც ვერ შევხვდი, რომელიც „სოფლის მეურნეობის პროგრამით“ დაფინანსდა.

**— „ქართული ოცნების“ არც საგარეო პოლიტიკა მოგწონთ?**

— ქვეყნის გაერთიანების პროგრამას ვერ ვხედავ, ხელისუფლება სხვის სურვილებს ითვალისწინებს, როგორც ყოველთვის. ნატოში შესვლა გადაწყვიტეს, მაგრამ რას მოგვიტანს ნატო? ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ, 2008 წლის აგვისტოში ნატომ რაც გაგვიკეთა?! ხალხს აბრიყვებენ. ჩვენ ხომ ვიცით, რისთვის აძახებინებენ „ნატო-ნატოს“ ჩვენს მთავრობას. დასავლეთს სურს, პლაცდარმად გვაქციოს. „სტრატეგიოულ მეგობრებს“ ჩვენი ტერიოტორიების დაბრუნების სურვილი რომ ჰქონდეთ, დიდი ხნის წინათ მიიღებდნენ ამ გადაწყვეტილებას. ადრე ერები პრობლემას ძალისმიერი მეთოდებით აგვარებდნენ, მაგრამ მას შედეგ, რაც გამოჩნდნენ კომუნისტები, ერთობით მოახერხეს ქვეყნების გაერთიანება. როდესაც **ჰიტლერმა** ომი დაიწყო, იმედი ჰქონდა, მრავალეროვან საბჭოთა კავშირს ადვილად მოერეოდა, დაშლიდა, მაგრამ ასე არ მოხდა, ეროვნულმა პოლიტიკამ საბჭოთა ქვეყნები ერთმანეთის მხარდამხარ დააყენა და ომიც მოაგებინა.

**სტალინი** ყოველთვის ამბობდა, — ბურჟუაზიული ერები ერთმანეთს არ ენდობიან, ერთმანეთს უპირისპირდებიანო. სოციალისტური ქვეყნები კი მეგობრობდნენ. ჩვენ მოვესწარით იმ დროს და ვიცით, რომ ეროვნულ და ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტები არ ყოფილა. 1990-იანი წლების მერე ბურჟუაზიისკენ წავედით, ამით მტერმა ისარგებლა და გაჩნდა კონფლიქტებიც და პრობლემებიც.

**— როგორ ცხოვრობდით კომუნისტების მმართველობის პერიოდში?**

— სკოლის დასრულების შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავირიცხე, ავტომექანიკის ფაკულტეტზე, საღამოს დასწრებულზე, ამიტომ მუშაობა დავიწყე თბილისში, ქარხანა „ელექტროავტომატში“. ამ ხნის კაცი ვარ და დღემდე მახსოვს პირველი ხელფასის მიღების სიხარული. ხელფასი იმხელა მქონდა, მთელ თვეს ჩემი ფულით ვცხოვრობდი. ვიგრძენი დამოუკიდებლობა, საკუთარ თავს უზრუნველვყოფდი. მას შემდეგ მჯეროდა, რომ, რაც უფრო მეტს ვიშრომებდი, უკეთესი ცხოვრება მექნებოდა და მქონდა კიდეც, ყოველი დღე იმედიანად თენდებოდა. ამაზე როცა ვფიქრობ, უფრო მეტად მეცოდება ის ახალგაზრდები, რომლებსაც ეს არ განუცდიათ, რომლებიც სამსახურს ეძებენ და ვერ შოულობენ. უჭირთ ახალგაზრდებს, ოჯახები ჰყავთ და ვერ არჩენენ. ოჯახი ქვეყნის უჯრედია, როცა ოჯახი ირყევა მთელი ქვეყანა ირყევა, რასაც ნათლად ვხედავთ კიდეც.

სტალინის ეკონომიკური პოლიტიკა ხალხის კეთილდღეობისკენ იყო მიმართული, მშრომელი ხალხის. დიდი სამამულო ომის შემდეგ განსაკუთრებით დაიწყეს ზრუნვა ხალხზე — ყოველ წელიწადს იაფდებოდა პროდუქტი, ცხოვრება უკეთესობისკენ მიდიოდა, მაგრამ ეს გრძელდებოდა **ნიკიტა ხრუშჩოვის** მოსვლამდე. მის მიერ გადადგმულმა საწინააღმდეგო ნაბიჯებმა ნეგატიური გავლენა იქონია საზოგადოებაზე — ხალხმა მოპარვა დაიწყო, შრომა აღარ უნდოდა მუშას. იმხანად ყველა ამბობდა: ასე თუ გაგრძელდა, ქვეყანა დაიშლებაო და დაიშალა კიდეც. მოპარვამ ეკონომიკური საფუძველი შეურყია ქვეყანას, მაგრამ ნიკიტას მმართველობის პერიოდი დღევანდელ ჩვენს ყოფას მაინც სჯობდა — ყველა დასაქმებული იყო, არავის უჭირდა.

**— საპრეზიდენტო არჩევნებს ველოდებით, როგორ პრეზიდენტს ისურვებდით?**

— მინდა ისეთი პრეზიდენტი, ქვეყანას რომ გამოადგება. ამ პრეზიდენტს რომ ვუყურებ, მეცინება. **რეზო ამაშუკელმა** იმდენი რამ უწოდა, მრცხვენია **მარგველაშვილის** მაგივრად. ის ბუტაფორიაა და ასეთი პრეზიდენტი ნამდვილად აღარ გვჭირდება. არ არის საჭირო, ისედაც გაჭირვებულმა ხალხმა ბუტაფორიული პრეზიდენტი არჩინოს. ვოცნებობ, **პუტინისნაირი** კაცი გვყავდეს პრეზიდენტად.

**— გამოვა ხალხი პროტესტის ნიშნად ქუჩაში?**

— გამოვა, თუ ლიდერს დაინახავს; თუკი ნახავს, რომ ქვეყნის ერთგული ადამიანი გამოჩნდა. პოლიტიკოსებმა ბევრჯერ მოატყუეს საზოგადოება, დღეს მათ ხალხი აღარ ენდობა. დღეს „უსახლკარო ფიქრები დაწანწალებენ“ და აუცილებლად მოხდება კონსოლიდაცია, ბევრი ჭკვიანი ადამიანია ამ ქვეყანაში, მათ იციან სიმართლე და ამ სიმართლის მოსმენა სხვისგანაც სურთ. ხალხს სამართლიანობა სურს, მესაკუთრეებისა და მონოპოლისტების დაცვაზე ორიენტირებული სახელმწიფო არავის უნდა. მშრომელი ხალხის ექსპლუატაციით ირჩენენ თავს, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. **გაუსაძლისია ჩვენი ყოფა ამ გაუმაძღარი ხელისუფლების ხელში. ამხელა პარლამენტს ვინახავთ და მშრომელი კაცის დაცვაზე არავინ ფიქრობს, ჰომოსექსუალებს იცავენ და ხალხის სატკივარი გულთან არ მიაქვთ. საზოგადოება გაუცხოვდა მთავრობის მიმართ, რაც დაპირისპირებაში გადაიზრდება. სამწუხაროა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არ ფიქრობენ ამაზე.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ფაქტი

## «საქართველოდან თავშესაფრის მთხოვნელებს სამშობლოში დააბრუნებენ»

**გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრანტთა დაბრუნების შტაბის ხელმძღვანელმა კრისტიან კლოსმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ „საქართველო დაცული ქვეყანაა და არ არსებობს გერმანიაში თავშესაფრის მოთხოვნის არანაირი პირობა, ამიტომ თავშესაფრის მთხოვნელებს სამშობლოში დააბრუნებენ.**

„ვიზალიბერალიზაციის შემდეგ მნიშვნელოვნად არის მომატებული გერმანიასა და, საერთოდ, ევროპაში თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, რაც, რა თქმა უნდა, შემაშფოთებელია. განსაკუთრებული მატება იგრძნობა ბოლო თვეებში. საქართველო დაცული ქვეყანაა და არ არსებობს გერმანიაში თავშესაფრის მოთხოვნის არანაირი პირობა, ამიტომ თავშესაფრის მთხოვნელები დაბრუნებული იქნებიან სამშობლოში. ამ მხრივ თანამშრომლობა უნდა გავააქტიუროთ, რათა სათანადოდ იქნას დაცული როგორც ევროპული, ისე ქართული კანონი და საქართველოს მოქალაქეებმა თავისუფლად ისარგებლონ უვიზოდ მიმოსვლით“, — განაცხადა კრისტიან კლოსმა.



**მაშინ, როცა დედაქალაქის მერმა თავშესაფრიდან ძაღლი აიყვანა და მისი მოვლა-პატრონობისთვის დღეში 10 ლარზე მეტს ხარჯავს, თბილისის სოციალურად დაუცველი ოჯახების დიდი ნაწილი თვეში ათ ლარს იღებს. მათ აქვთ სოციალურ პროგრამაში ჩართული ოჯახების სტატუსი და ითვლება, რომ სახელმწიფო ეხმარება. არადა, ისინი თავშესაფრიდან აყვანილი ძაღლის ბედს ნატრობენ...**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდესაც თავშესაფრიდან აყვანილი ძაღლის ბედიც კი სანატრელია...

**პოლიტიკური კრიზისი — ასე შეფასდა სიტუაცია, რომელიც ბორჯომის მუნიციპალიტეტში შეიქმნა. საქართველოში ბორჯომი ერთადერთი მუნიციპალიტეტია, რომლის მმართველი გუნდი უმცირესობაშია, შესაბამისად, ოპოზიციაში. სწორედ ამიტომ, ბორჯომი არის ერთადერთი მუნიციპალიტეტი, რომელშიც დღემდე ვერ მოხერხდა მერიასა და საკრებულოში დასაქმებულებისთვის ხელფასის მომატება, თორემ დანარჩენ მუნიციპალიტეტებში ისეთი ხელფასები დაინიშნეს, მინისტრებსაც შეშურდათ, მაგრამ ეს, პოლიტიკური კრიზისი კი არა, მარაზმია.**



მარაზმია, როცა სახელმწიფო პროგრამაში არსებული ხარვეზის გამო (და ეს ხარვეზი 2013 წლიდან არსებობს და დღემდე ვერ გამოასწორეს), სოციალურად დაუცველი ზოგიერთი ოჯახი თვეში ათ ლარს იღებს, რადგან ქულები ისე დაჯამდა, რომ მეტი არ ერგებათ, ანუ საქართველოში არსებობენ 3 და 4-სულიანი ოჯახები, რომლებიც სოციალურ პროგრამაში არიან ჩართულები, სტატუსი აქვთ და სახელმწიფოსგან თვეში 10 ლარს იღებენ. ეს მაშინ, როცა ბორჯომის მერს ხელფასის მომატება თვეში 800 ლარით სურს, რათა მეზობელი მუნიციპალიტეტის მერს გაუთანაბრდეს და თვეში სუფთა ხელფასის სახით ოთხი ათას ლარამდე აიღოს.

ეგ კიდევ არაფერი, ხელისუფლება მოსახლეობის დაცინვას განაგრძობს და დაცინვის ობიექტები მრავალშვილიანი ოჯახები არიან. სახელმწიფო განსაზღვრავს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსს, რომლის საშუალებითაც ეს ოჯახები სოციალურ დახმარებას მიიღებენ. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, **დიმიტრი ხუნდაძის,** თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული იქნება მრავალშვილიანი ოჯახის ელექტროენერგიის სუბსიდია. უფრო კონკრეტულად კი, მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ოთხი ბავშვი ჰყავს, ყოველთვიურად 20 ლარს მიიღებს, ხოლო ხუთი და მეტშვილიანი ოჯახი მე-5 და მომდევნო ბავშვზე — დამატებით 10-10 ლარს. ელექტროენერგიის გაძვირების ფონზე ეს ნამდვილად დიდი შეღავათია. აბა, თავად განსაჯეთ, **ოთხი შვილი რომ გყავს, მეხუთეს ელოდები და ბედნიერი ხარ, რომ თვეში 10 ლარი დაგემატება. მერე რა, თუ ჩვილი ბავშვის რჩენა თავის პამპერსებით, კვებითა და ათასი რამით თვეში, სულ ცოტა, 300 ლარი ჯდება?! სახელმწიფო 10 ლარს გიფინანსებს და დანარჩენზე შენც გაანძრიე ხელი.**

მაგრამ მთავარი კატასტროფა ეს კი არ არის, არამედ ის, რომ, „საქსტატის" მონაცემებით, საქართველოში მხოლოდ 12 369 ოჯახია ოთხ და მეტშვილიანი. დემოგრაფიულ კატასტროფას ამაზე უკეთ ვერც ერთი მონაცემი ვერ წარმოაჩენს. და ამ ისედაც მცირე რაოდენობის ოჯახებს ისეთი სასაცილო თანხით აფინანსებენ, რომ ერის გამრავლების სურვილს ჩანასახშივე კლავენ. წლების წინათ პატრიარქმა განაცხადა, ოჯახის მესამე და შემდგომ შვილს მე მოვნათლავო და ამ მოწოდებამ მოსახლეობას სტიმული მისცა — სწორედ ამ მოწოდების გამო არაერთმა ოჯახმა გააჩინა მესამე ბავშვი, თუმცა ჩვენთან მეოთხე შვილის შემდეგ ითვლებიან ოჯახები მრავალშვილიანად და, წესით, **სტიმული სახელმწიფომ ფინანსურად უნდა მისცეს, ხოლო არის თუ არა სტიმული ათი ლარი, თვითონ განსაჯეთ.**

ისევ ბორჯომს დავუბრუნდეთ. იქ ჩასულ ოპოზიციას ხელითაც შეეხნენ და ძველი ცოდვებიც გაახსენეს, მაგრამ ამ ყველაფერს მაინც ბინძური ფულის სუნი უდიოდა და სხვა არაფერი. მერე იყო **ელენე ხოშტარიამ** რომ თქვა, როგორ გაბედეს და დეპუტატს ხელი როგორ დაარტყეს, ეს უსინდისობააო. ქალბატონო ელენე, უსინდისობა იცით, რა არის? თქვენმა თანაგუნდელმა აკაკი (კაკო, კაკი) ბობოხიძემ პარლამენტის სხდომაზე მიკროფონთან მდგარ **პეტრე მამრაძეს** რომ გაარტყა ხელი და ყველამ ტაში დაუკარით, ეგ არის უსინდისობა და, თუ ვინმეს დასჯას ითხოვთ, ეგებ, პირველ რიგში, ბობოხიძის დასჯა მოგეთხოვათ, მაგრამ არა, ის ხომ თქვენი თანაგუნდელია და ხელშეუხებელი უნდა იყოს.

**სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, ირკვევა, რომ, რაიმე მიზეზით პროექტის ჩავარდნის შემთხვევაში, სახელმწიფომ ყოფილ პრემიერმინისტრს დახარჯული ფულიც სრულად უნდა დაუბრუნოს და ზევიდან 18%-იანი მოგებაც ჩაუთვალოს**

ყველაზე საინტერესო მაინც ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატის, **გედევან ფოფხაძის,** პოზიციაა. ფოფხაძე ამბობს, რომ ეს საკრებლო უნდა დაიშალოს, ახალი არჩევნები ჩატარდეს და მერე, როცა უმრავლესობით მოვა „ოცნება", ყველაფერი დალაგდება, ანუ ხელფასებიც მოემატებათ, ბიუჯეტის ფულს უფრო მარტივად შეჭამენ და...

**ბატონო გედი, თავმოყვარეობა რომ გქონდეთ, იმ საკრებულოს დაშლაზე კი არა, დეპუტატის მანდატის დატოვებაზე განაცხადებდით და ახლავე გეტყვით რატომ: ბორჯომში საკრებულოს არჩევნებში კენჭს მაჟორიტარად თქვენი ღვიძლი ძმაც იყრიდა და საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატადაც გყავდათ გამზადებულ-„გაპრავებული", მაგრამ თქვენი ძმა დამარცხდა და საკრებულოს გარეთ დარჩა. ჰოდა, როცა მაჟორიტარი დეპუტატის ძმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თავის სოფელში, თავის უბანში ვერ იმარჯვებს, დეპუტატმა, სულ ცოტა, ბოდიში უნდა მოიხადოს და ჩუმად იყოს.** მაგრამ არა, რა დროს ბოდიში და ნამუსია, როცა ბიუჯეტის ფულთან მისასვლელი გზა ჩაიხერგა?! ჰოდა, წავიდა ვაჭრობა ბაღის პედაგოგების, დამლაგებლების, სპეციალისტების ხელფასებით ვაჭრობა. არადა, ახალი დებულებით, ამ ქვედა რგოლს ხელფასი 40-50 ლარით ემატება, მაშინ, როცა ზედა რგოლი, სულ ცოტა, 500 ლარს იმატებს. სამაგიეროდ, **ფოფხაძეს არაფერი უთქვამს იმაზე, რომ ბაღების აღსაზრდელებისთვის მენიუ შეიზღუდა და თითო ბავშვის კვებაზე დღიურად იმდენი იხარჯება, რამდენსაც ნორმალური ბავშვი ერთ საათში შეჭამს, მაგრამ როგორც კი ამას იტყვი, კალორიებით დაგიწყებენ საუბარს. ბატონებო, ოფიციალურად დადასტურებულია, რომ საქონლის ძვლის ტვინი ისე ნოყიერია, რომ 50 გრამის მიღება მთელი დღის სამყოფ კალორიებს იძლევა. ჰოდა, იყიდეთ საქონლის ძვლები, ტვინი ბავშვებს აჭამეთ, ძვლები კი მშობლებს მიუგდეთ სახრავად, იაფადაც გამოხვალთ და კალორიულობასაც საერთაშორისო დონეზე „გააპრავებთ"!**

ბიძინა ივანიშვილის თანაინვესტირების ფონდი სამი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას გეგმავს. ჰესები სამცხეში — მტკვარზე, რაჭაში — რიონზე და სვანეთში ცხენისწყალზე უნდა აშენდეს. ენერგოიმპერიის მშენებლობა ივანიშვილსა და თანაინვესტირების ფონდს მილიარდ დოლარზე მეტი დაუჯდებათ, თუმცა ყველა პროექტში რისკები ისე საიმედოდაა დაზღვეულ-გადაზღვეული, რომ ხელშეკრულებას კაბალური შეიძლება ეწოდოს, გარანტორი კი ამ შემთხვევაში ჩვენი სახელმწიფოა. **სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, ირკვევა, რომ, რაიმე მიზეზით პროექტის ჩავარდნის შემთხვევაში, სახელმწიფომ ყოფილ პრემიერმინისტრს დახარჯული ფულიც სრულად უნდა დაუბრუნოს და ზევიდან 18%-იანი მოგებაც ჩაუთვალოს.** და ეს ყველაფერი არ არის — იმავე მემორანდუმით, მტკვარჰესის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, მომდევნო 15 წლის განმავლობაში აქ გამომუშავებული ენერგიის 100% იყიდოს...

ამის შემდეგ ძნელია, პარლამენტარებს ან მუნიციპალურ დონეზე მომუშავე ხელმძღვანელებს მოსთხოვო, თავი შეიკავონ და ბიუჯეტი ისეთივე კანონიერი გზითა და ხელშეკრულებებით არ ყვლიფონ, როგორც ამას მათი გუნდის უპირობო ლიდერი აკეთებს. ეს არ არის კატასტროფა, ეს არის მარაზმი და ამ მარაზმში გვიწევს ცხოვრება. ძნელია ამის შემდეგ **ზაზა გაბუნიას** უთხრა: კომიტეტის სხდომაზე **ნიკა მელია** უნამუსოს რომ გეძახის, გააპროტესტე მაინცო, რადგან უნამუსო უკვე ისეთი დაბალი რანგის შეფასებაა იმ ყველაფრისთვის, რაც ხდება, რომ გვერწმუნეთ, მმართველი გუნდის წევრები ამას კიდევ ბევრჯერ ჩაყლაპავენ.

და კიდევ — **მაშინ, როცა დედაქალაქის მერმა თავშესაფრიდან ძაღლი აიყვანა და მისი მოვლა-პატრონობისთვის დღეში 10 ლარზე მეტს ხარჯავს, თბილისის სოციალურად დაუცველი ოჯახების დიდი ნაწილიც თვეში ათ ლარს იღებს. მათ სოციალურ პროგრამაში ჩართული ოჯახების სტატუსი აქვთ და ითვლება, რომ სახელმწიფო ეხმარება. არადა, ისინი თავშესაფრიდან აყვანილი ძაღლის ბედს ნატრობენ...**

**ბესო ბარბაქაძე**

**«საქსტატის» მონაცემებით, საქართველოში მხოლოდ 12 369 ოჯახია ოთხ და მეტშვილიანი. დემოგრაფიულ კატასტროფას ამაზე უკეთ ვერც ერთი მონაცემი ვერ წარმოაჩენს. და ამ ისედაც მცირე რაოდენობის ოჯახებს ისეთი სასაცილო თანხით აფინანსებენ, რომ ერის გამრავლების სურვილს ჩანასახშივე კლავენ**

## პოროშენკოს კორტეჟმა პენსიონერი გაიტანა

**კიევის ცენტრში უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს კორტეჟის ავტომობილი პენსიონერს დაეჯახა.**

უკრაინული მედიის ინფორმაციით, პენსიონერს ავტომობილი იმ მომენტში დაეჯახა, როდესაც მოხუცი წითელ შუქზე ცდილობდა გზაზე გადასვლას. პრეზიდენტის კორტეჟის ავტომობილი არ გაჩერებულა, პენსიონერს კი ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა.



საფრთხე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ადრე ჩვენ უკან რუსეთი იდგა და შეგვეძლო, დიდი ყურადღება არ მიგვექცია ისლამური ფაქტორისთვის, დღეს იგი ჩვენი არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა. ჩვენ, 200 წელია, დაგვავიწყდა, მაგრამ თურქეთსა და ირანს მშვენივრად ახსოვთ, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველო მათი ვასალური ტერიტორია იყო“.**

# «თუ საპროტესტო გამოსვლები ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, თურქეთი ცერემონიებს არ დაიწყებს»

**საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკური ექსპანსია, რომელსაც მალე მოჰყვა რელიგიურ-იდეოლოგიური ექსპანსიაც. ამის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინება იყო თურქეთის მხრიდან ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენების მოთხოვნა. როგორც გაირკვა, საქართველოს ხელისუფლება, სააკაშვილის მეთაურობით, 2006 წლიდან აწარმოებდა მოლაპარაკებებს თურქეთთან მეჩეთების აღდგენის საკითხზე, მაგრამ ეს ამბავი ქართველი საზოგადოებისთვის მხოლოდ 2010 წლის ბოლოს შეიქნა ცნობილი.**

აღსანიშნავია, რომ, როგორც თურქეთის საგარეო საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა **ახმეტ დავითოღლუმ** განაცხადა, აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება, ორი ქვეყნის კულტურის სამინისტროებს კი არა, **მიხეილ სააკაშვილსა** და თურქეთის პრეზიდენტ **რეჯეფ თაიფ ერდოღანს** მიუღიათ(!). თვით დავითოღლუმ კი ფრიად საყურადღებო რამ განაცხადა: „ჩვენ ერთობლივი ისტორია გვაქვს (?! — გ.გ.). ტაძრები თურქეთის ტერიტორიაზე ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობაა (?! — გ.გ.), მათ ნებისმიერ შემთხვევაში ჩავუტარებთ რესტავრაციას. საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ძეგლები, აგრეთვე, ერთობლივი კულტურული მემკვიდრეობაა და საქართველოს ეკუთვნის, ეს განსაკუთრებით ეხება აჭარას. ამ რეგიონში მუსლიმანები ცხოვრობენ“.

ამ საკითხზე მწვავე იყო საქართველოს საპატრიარქოს განცხადება:

„მასმედიით გახდა ცნობილი, რომ საქართველოს ხელისუფლება აპირებს, თანხმობა მისცეს ბათუმში ე. წ. აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას და ახალციხეში ახმედიეს მეჩეთის რესტავრაციას. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები, ორ წელიწადზე მეტია, მიმდინარეობს თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის და ეს ხდება საქართველოს კანონმდებლობის (კონსტიტუციური შეთანხმების) უხეში დარღვევით, რადგან საქართველოს საპატრიარქო, რომელიც არის ყველა ქართული ეკლესია-მონასტრის მესაკუთრე, არ იყო და არ არის ჩართული ოფიციალურ მოლაპარაკებებში; მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენი პრინციპული, მაგრამ, ამასთანავე, კონსტრუქციული პოზიცია ყოველთვის გვქონდა. ეს პოზიცია გამოიხატა თურქეთის პრემიერმინისტრ, ბატონ რეჯეფ თაიფ ერდოღანისადმი 2011 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მიწერილ წერილშიც, რომლის პასუხიც, სამწუხაროდ, დღემდე არ მიგვიღია. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ **მეტად პრობლემურია ხელისუფლების სურვილი, ბათუმში ახალი მეჩეთ-კომპლექსის მშენებლობის შესახებ, რასაც ძველი მეჩეთის აღდგენად წარმოაჩენენ. გამართლება არ აქვს იმ პოზიციასაც, თითქოს ეს კეთდება ოშკისა და იშხანის გადარჩენის მიზნით, რადგან, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა თურქეთის სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა**. ამიტომაც ხელისუფლებას ამ მიზნით წლების წინათ უნდა მიემართა იუნესკოსთვის (რაც არაერთხელ შევახსენეთ) და ეს თემა დღეს განხილვის საგნად არ უნდა ექცია. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ წამოვაყენეთ ისეთი წინადადება, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ ქართულ-თურქული მოლაპარაკებების ორმხრივად მისაღები გზით განვითარებას. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში და, პირველ რიგში, აჭარაში გახსნილი ასობით მეჩეთისა და ჯამეს საპირწონედ ტაოსა და ლაზეთში თითო-თითო ეკლესიის აღდგენა-ამოქმედება შევთავაზეთ და საპატრიარქოს ჩართვა აღნიშნულ მოლაპარაკებებში. ჩვენ ვდგამთ კიდევ ერთ ნაბიჯს და ამ ეტაპზე აღარ ვაყენებთ ხახულის ეკლესიის (ტაოს მხარე) საკითხს. ვითხოვთ, მხოლოდ უძველეს ქართულ საეპისკოპოსო ქალაქ არდაშენში (ლაზეთის მხარე) მცირე ზომის ბაზილიკის ჩვენი თანხებით აღდგენა-ამოქმედებას (ამ რეგიონში ქართული სხვა არაერთი გაცილებით დიდი ძეგლია) და ამის შემდეგ თურქეთსა და საქართველოში მეჩეთებისა და ტაძრების რესტავრაციაზე საუბარს ჩვენი მონაწილეობით. თუ ამის განხორციელება რაიმე მიზეზით თურქული მხარისთვის მიუღებელია, ჩვენთვისაც ყოვლად მიუღებელია ოშკისა და იშხანის გადარჩენის საბაბით ბათუმში ჩვენი ისტორიის მძიმე პერიოდის სიმბოლოს, აზიზიეს მეჩეთის, მშენებლობა.

**ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ასეთი ქმედებით ხელოვნურად ხდება მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დაძაბულობის პროვოცირება; არადა, საქართველოში მუსლიმები, რომელი ერის წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ ისინი, ისევე, როგორც სხვა რელიგიის აღმსარებელნი, არასოდეს იზღუდებოდნენ, პირიქით, ყოველთვის კარგად გრძნობდნენ თავს და ამიტომაც იყო, რომ არაერთმა მათგანმა შესწირა სიცოცხლე საქართველოს დაცვას; ეს დღესაც ასეა და ამას, პირველ რიგში, ქართველი ადამიანის შემწყნარებლური ქრისტიანული ბუნება განაპირობებს. გამოვთქვამთ იმედს, რომ, როგორც თურქეთის, ისე საქართველოს ხელისუფლება გაითვალისწინებენ ჩვენს შეთავაზებას და არ გადადგამენ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის პრობლემების შექმნას შეუწყობს ხელს“.**

ანალოგიური შინაარსის განცხადება საქართველოს პატრიარქმა 2011 წლის 18 იანვარსაც გამოაქვეყნა, რომელშიც დაუშვებლად მიიჩნია ხელშეკრულების ხელმოწერა იმ პირობებში, როცა საქართველოში უამრავი ჯამე, მეჩეთი და მედრესე მოქმედებს, ხოლო თურქეთში არც ერთი მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარი არ არის. პატრიარქის მიერ თურქული საერო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხსენება სულაც არ იყო შემთხვევითი, რადგან პრეზიდენტ სააკაშვილის დედა, თურქოლოგი **გიული ალასანია,** მათ გახსნას ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ ლობირებდა. **ერთ-ერთ გამოსვლაში სააკაშვილმა თქვა, რომ დედისგან იცის: „თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია“. იქვე ისიც დასძინა, რომ თურქეთისგან მტრის ხატის შექმნა ყოველთვის იყო რუსეთის ინტერესი.**



პატრიარქის განცხადებიდან ერთი კვირის შემდეგ სააკაშვილმა პირველი ოფიციალური კომენტარი გააკეთა ამ საკითხზე სატელევიზიო პროგრამაში „პრეზიდენტი პასუხობს ხალხის შეკითხვებს“. მან თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ტაძრები, ფაქტობრივად, თურქულად გამოაცხადა და საუბარი იმ კალაპოტში წარმართა, თითქოს საქართველოში მუსლიმთა არსებობას ეწინააღმდეგებიან, ხოლო მეჩეთების მშენებლობას ანტიქართულ ქმედებად მიიჩნევენ. სინამდვილეში საქართველოში არც ერთი ამგვარი განცხადება არც მართლმადიდებლებს, არც მუსლიმანებს არ გაუკეთებიათ.

ამ მოვლენების შემდეგ ბათუმში 90 წლის წინათ დაღუპული ქართველი მეომრების საფლავთან გაიმართა საპროტესტო აქცია. აქციაზე მართლმადიდებლები და მუსლიმანები ერთად იდგნენ და აპროტესტებდნენ აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას. მოგვიანებით შეწყდა ამ მეჩეთის მშენებლობაზე ლაპარაკი, მაგრამ **2017 წელს მუსლიმანთა თემმა ბათუმში გრანდიოზული მეჩეთის აშენების მოთხოვნით ბათუმის საქალაქო მერიას მიმართა და, როცა უარი მიიღო, სასამართლოში სარჩელი შეიტანა.**



პარალელურად, საქმეში ე.წ. მესამე სექტორიც ჩაერთო და, როგორც სასამართლო სისტემა, ისე კონკრეტული მოსამართლე კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაეხვია. ცოტა ხნის წინათ ამ საქმეზე განცხადებები ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა“ (TDI) და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ — გაავრცელა. მათი განმარტებით, ბათუმის მერია უხეშად არღვევს მუსლიმანური თემის ინტერესებს, ხოლო სასამართლო სისტემა ამ პროცესის ინსტრუმენტია, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. ამ განცხადებიდან ზუსტად ერთ კვირაში სასამართლო პროცესი დაინიშნა. ბათუმის მერი **ლაშა კომახიძე**, რომელიც მანამდე არგუმენტებით ასაბუთებდა თემის მოთხოვნაზე უარის თქმას, უცებ ალაპარაკდა შეხვედრებსა და პოზიციების შეჯერებაზე. როგორც ჩანს, **უცხოეთიდან დაფინანსებული „მესამე სექტორის“ გავლენა ხელისუფლებაზე უკვე ისე დიდია, მიუხედავად ყველა სამართლებრივი თუ არქიტექტურული დასაბუთებისა, რომ კონკრეტულ ადგილას კონკრეტული ნაგებობის, ამ შემთხვევაში მეჩეთის, აშენება არ შეიძლება, ორ „არასამთავრობო ორგანიზაციას“ მაინც თავისი გააქვს.** სასამართლო პროცესზე, რომელიც ობიექტურობასა და სამართლებრივ ლოგიკას იყო მოკლებული, მოპასუხემ — მერიის იურისტმა, მოსარჩელეს — მუსლიმთა თემს, დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტა და ამ მიზნით შეხვედრების გამართვა შესთავაზა. ამის შემდეგ მოსამართლე **ჯუმბერ ბეჟანიძემ** მხარეებს შეთანხმების მისაღწევად 30 კალენდარული დღე მისცა და სხდომა ერთი თვით გადადო.

აი ასე შეაფასა ბათუმში მიმდინარე პროცესები წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარმა, **დეკანოზმა დავითმა (ისაკაძე)** ერთი კვირის წინათ ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №7, 2017 წელი):

**„ეს ძალიან სახიფათო მოვლენაა დღევანდელი საქართველოსთვის, იმიტომ, რომ ახლოვდება ყარსის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის თარიღი. 2021 წლის 13 ოქტომბერს გასდის ხელშეკრულებას ვადა და თურქები ითხოვენ არა მხოლოდ ბათუმის, მთლიანად აჭარის შეყვანას თავიანთ იურისდიქციაში. ეს არის თურქული ექსპანსიის ნათელი გამოვლინება და ამის ფონზე ნებისმიერი, ვინც ცდილობს, ხელი შეუწყოს კონფრონტაციის განვითარებას, ემსახურება თურქეთის ინტერესებს.**

რაც შეეხება იმ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ მეჩეთების მშენებლობას და ხშირად საუბრობენ სხვადასხვა რელიგიური კონფესიის უფლებებზე, ისინი არიან მტრები საქართველოსი. ისინი პირდაპირ იმართებიან დასავლეთიდან და სინამდვილეში მათ ვიღაცის უფლებები კი არ ადარდებთ, არამედ აღიზიანებთ ერთადერთი რამ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია იყო და დღემდე რჩება ქართველი ერის მთავარ სულიერ ციხესიმაგრედ. აი ამიტომაა მათი მიზანი საქართველოს — მართლმადიდებელი სახელმწიფოს, დაშლა და დაქუცმაცება... წინა და მოქმედი ხელისუფლება, ფაქტობრივად, ტოლს არ უდებენ ერთმანეთს იმაში, რასაც ანტიეროვნული, ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური საქმიანობა ჰქვია. გაафთრებით ებრძვიან ყველაფერს, რაც ჩვენს თვითმყოფადობას განაპირობებს. ამის ფონზე, სიმართლე გითხრათ, გამკვირვებია, რა- ▶

„თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურმა ექსპანსიამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ უკვე პოლიტიკაშიც თვისებრივად ახალ ძვრებს მოითხოვს, ამისთვის კი ქართველი მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომზადებაა საჭირო. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ აჭარის ახალი ობიექტები, რომლებითაც ასე ამაყობს ჩვენი ხელისუფლება, თურქების აშენებულია და მათ საკუთრებას წარმოადგენს. ფეშენებელური სასტუმროებისა და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, შეუძლებელია, აჭარაში რენტაბელური იყოს. მიუხედავად ამისა, თურქები მაინც ყიდულობენ მიწას, აშენებენ თავიანთ ობიექტებს, შესაძლოა, იმის იმედად, რომ ცოტა ხანში შეძლებენ თანამემამულეებისთვის მათ საცხოვრებელ ბინებად რეალიზებას“.

საფრთხე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ტომაა ხალხი დადუმებული. რატომ არ იღებს საზოგადოება ხმას იმაზე, რაც ხდება და რა უბედურებაც გარდაუვალია მომავალში, თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა...“.

**აღსანიშნავია, რომ საფრთხეზე, რომლის წინაშეც ქართველი ხალხი დგას, წლების წინათ გვაფრთხილებდა პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია. აი, რა განაცხადა მან „საქართველო და მსოფლიოსთვის“ 6 წლის წინათ (2012 წლის მე-12 ნომერი) მიცემულ ინტერვიუში:**

*** „თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურმა ექსპანსიამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ უკვე პოლიტიკაშიც თვისებრივად ახალ ძვრებს მოითხოვს, ამისთვის კი ქართველი მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომზადებაა საჭირო. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ აჭარის ახალი ობიექტები, რომლებითაც ასე ამაყობს ჩვენი ხელისუფლება, თურქების აშენებულია და მათ საკუთრებას წარმოადგენს. ფეშენებელური სასტუმროებისა და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, შეუძლებელია, აჭარაში რენტაბელური იყოს: მისით სარგებლობისთვის ქართველებს ფული არ აქვთ, ხოლო სომხური ტურისტული ნაკადი ასეთი სიმძლავრეების ასათვისებლად საკმარისი არაა, საკურორტო სეზონიც აჭარაში ძალიან ხანმოკლეა. მიუხედავად ამისა, თურქები მაინც ყიდულობენ მიწას, აშენებენ თავიანთ ობიექტებს, შესაძლოა, იმის იმედად, რომ ცოტა ხანში შეძლებენ თანამემამულეებისთვის მათ საცხოვრებელ ბინებად რეალიზებას. მითხრეს, რომ დღეს ბათუმში 23 ათასი თურქია ჩაწერილი. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ეს საკმაოდ სოლიდური რაოდენობაა. აჭარაში არასოდეს უცხოვრია ამდენ თურქს, მაშინაც კი, როდესაც იგი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. წლების წინათ ვწერდი და ახლაც შემიძლია გავიმეორო, რომ თურქეთთან ურთიერთობებში ჩვენ შემდეგი გარემოებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ:**

**პირველი — თურქული ეროვნული ელიტა (პოლიტიკური, ინტელექტუალური, სამხედრო) ყოველთვის მიიჩნევდა აჭარას თავის ისტორიულ ტერიტორიად, ხოლო დასავლეთ საქართველოს — საკუთარი გავლენის ბუნებრივ ზონად;**

**მეორე — თურქები თვლიან, რომ აჭარა მათ ძალის გამოყენებით რუსეთმა წაართვა და არა საქართველომ;**

**მესამე — თურქეთი ისლამურ სამყაროში აშშ-ის ერთადერთი დიდი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეა და აშშ თურქეთს რეგიონულ ზესახელმწიფოდ აღიარებს, რომელსაც აქვს უფლება, თავისი ზეგავლენა კავკასიაზე გაავრცელოს;**

**მეოთხე — ერთი მხრივ, რუსულ-ქართულმა მტრულმა ურთიერთობებმა და მეორე მხრივ, თურქეთსა და რუსეთს შორის ძალიან აქტიურმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ შეიძლება საქმე მიიყვანოს რუსეთის მიერ აჭარის ავტონომიის გარანტის როლზე უარის თქმასა და ყარსის ხელშეკრულებიდან გამოსვლამდე“.**

როგორც ხედავთ, ცნობილმა პოლიტოლოგმა 6 წლის წინათ ივარაუდა ქართველი ერისთვის სახიფათო პროცესების განვითარება. დღეს, იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წელს ვადა გასდის ყარსის ხელშეკრულებას, კიდევ უფრო ნათლად ჩანს თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ექსპანსია. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა არა მხოლოდ თურქეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნების განცხადებები, რომლებიც მოითხოვდნენ 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე უბრწყინვალესი გამარჯვების აღსანიშნავი დღე არ დაგვენესებინა, არამედ ბათუმის დიდი ნაწილის ე.წ. თურქი ინვესტორების მიერ ხელში ჩაგდება და ქართული ტელევიზიების მდარე თურქული სერიალებით გადავსებული ეთერიც.

ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** ამავე ინტერვიუში ასე აფასებს ხელისუფლების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი:

*** „ჩვენს ხელისუფლებაზე აჭარაში აღარაფერია დამოკიდებული. თურქები ჩვენს ოფიციალურ დასტურს მხოლოდ ზრდილობის გამო ითხოვენ. დღეს მათ აჭარაში ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ და ვერავინ შეუშლის ხელს. საქართველოს ხელმძღვანელობას მშვენივრად ესმოდა, რომ აჭარაზე კონტროლი ნელ-ნელა გადადის თურქების ხელში, მაგრამ ვერ შეეწინააღმდეგა. თურქებს რომ შეეწყვიტათ ობიექტების შენება აჭარასა და თბილისში, მაშინ რა წარმოედგინათ, როგორც საკუთარი მმართველობის შედეგი: ზუგდიდში შადრევანი? პლეხანოვზე გადაღებილი ფასადები? სად მიეყვანათ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები?**

**ჩემთვის ძვირფასი ბათუმელების საპროტესტო განწყობის შესახებ ვიცი, მიხარია, რომ ხალხი, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ისტორიულ მეხსიერებას ინარჩუნებს, მათ შორის იმ სულთნის შესახებაც, მაგრამ მოვუწოდებ, იყოს ძალიან ფრთხილად თავის ქმედებებში. თუ თურქებმა მეჩეთის აშენება გადაწყვიტეს, ისინი მას ააშენებენ, ხოლო თუ საპროტესტო გამოსვლები ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, თურქეთი ცერემონიებს არ დაიწყებს. ერდოღანი მოსკოვში ჩაფრინდება, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში გააკეთა, ხოლო მოსკოვს შემაფერხებელი ფაქტორის როლის თამაშის საფუძველი აღარ აქვს“.**

«ბათუმელების საპროტესტო განწყობის შესახებ ვიცი, მიხარია, რომ ხალხი, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ისტორიულ მეხსიერებას ინარჩუნებს, მათ შორის, იმ სულთნის შესახებაც, მაგრამ მოვუწოდებ, იყვნენ ძალიან ფრთხილად თავის ქმედებებში. თუ თურქებმა მეჩეთის აშენება გადაწყვიტეს, ისინი მას ააშენებენ, ხოლო თუ საპროტესტო გამოსვლები ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, თურქეთი ცერემონიებს არ დაიწყებს. ერდოღანი მოსკოვში ჩაფრინდება, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში გააკეთა, ხოლო მოსკოვს შემაფერხებელი ფაქტორის როლის თამაშის საფუძველი აღარ აქვს»



საქართველოს ხელისუფლება, როგორც წინა, ასევე ამჟამინდელი, ისეა შეპყრობილი ვასალის სინდრომით დასავლელი პატრონების მიმართ, რომ ისტორიის ფალსიფიკაციასა და სიცრუესაც არ ერიდება. სააკაშვილის ნათქვამი, რომ „თურქეთი საქართველოს ისტორიული მეგობარია“, შარშან გაიმეორა პრემიერმა **გიორგი კვირიკაშვილმა**, რამდენიმე დღის წინათ კი ორივეს — სააკაშვილსაც და კვირიკაშვილსაც — კვერი დაუკრა საქართველოს დაზვერვის ხელმძღვანელმა **დავით სუჯაშვილმა**, რომელმაც პარლამენტის კომიტეტის დახურულ სხდომაზე განაცხადა: **„რუსეთი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა, მტერია, თურქეთი კი — საქართველოს მთავარი მოკავშირე“**, და ეს თქვა, იმის მიუხედავად, რომ აჭარა სწორედ რუსეთმა შემოუერთა დედასაქართველოს, ხოლო ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქები, ტაო-კლარჯეთი — სულ 12 ათასი კვ.მ ტერიტორია დღესაც მიტაცებული აქვს თურქეთს. მაგრამ დასავლელი პატრონების მითითებების შესასრულებლად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ხომ ყველაფერზე თვალს დახუჭავენ, ოღონდ მათ კეთილდღეობას არაფერი დაემუქროს? იმას კი არად დაგიდევენ, რომ თურქეთს, რომელსაც ურთიერთობა გაუფუჭდა აშშ-თან, შეუძლია, საქართველოში თავისი ჯარი შემოიყვანოს და დაიკავოს არა მხოლოდ აჭარა...

ქართველი ერისთვის ამ რთული ვითარებიდან გამოსავალს **ალექსანდრე ჭაჭია** შემდეგი ამოცანების გადაჭრაში ხედავდა:

*** „დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ დავუშვათ ქვეყნის შემდგომი დაშლა, არ მივცეთ ხელისუფლებას ახალი ტერიტორიების დაკარგვის შესაძლებლობა. ამისთვის უახლოესი წლების განმავლობაში ბეწვის ხიდზე მოგვიწევს სიარული. თუ შევძლებთ, ვიქნებით ერი საკუთარი სახელმწიფოთი. მთავარია, დარჩენილი ტერიტორია შევინარჩუნოთ. ხოლო ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი ადგილი მოსახლეობის მუსლიმანურ ნაწილთან ჩვენს ურთიერთობებს ეთმობა. უნდა გავიგოთ, რომ აჭარაში თურქების აქტიურობა, ისლამური ფაქტორის ზრდა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაში, ბორჩალოში საზოგადოებრივი პარლამენტის შექმნა, ბაქოდან საქართველოს მისამართით მკვეთრი განცხადებები — ეს ყველაფერი ერთი ჯაჭვის რგოლებია. ამასთანავე, გვახსოვდეს, რომ საქართველო ეკონომიკურად მთლიანად თურქეთსა და აზერბაიჯანზეა დამოკიდებული. თუ ადრე ჩვენ უკან რუსეთი იდგა და შეგვეძლო, დიდი ყურადღება არ მიგვექცია ისლამური ფაქტორისთვის, დღეს იგი ჩვენი არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა. ჩვენ 200 წელია, დაგვავიწყდა, მაგრამ თურქეთსა და ირანს მშვენივრად ახსოვთ, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველო მათი ვასალური ტერიტორია იყო.**

**მუსლიმანურ მოსახლეობასთან ერთად მშვიდად ცხოვრება ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ქართველთა ნაწილი მუსლიმანები არიან. მეტიც, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ისლამი თავისი სულიერ-ზნეობრივი ღირებულებებით უფრო ახლოსაა მართლმადიდებლობასთან, ვიდრე იგივე პროტესტანტიზმი და მის წიაღში აღმოცენებული კულტურა. მუსლიმანებს, ისევე, როგორც მართლმადიდებლებს, აღაშფოთებს საზოგადოებაში ზნეობის დაცემა, გარყვნილების პროპაგანდა, ნიჰილიზმი, თაობათა გაუცხოება, ეროვნული ტრადიციების უარყოფა. ეს სერიოზული საფუძველია ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობისთვის საერთო სამშობლოს სასიკეთოდ“.**

დიახ, ასეა: აჭარაში და სრულიად საქართველოში თურქეთის ეკონომიკური და იდეოლოგიური ექსპანსია, თურქეთისა და რუსეთის დაახლოება და ინტერესების თანხვედრა, საქართველოს ხელისუფლების ვასალური მორჩილება დასავლელი პატრონებისადმი საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს, ამიტომ თითოეული ქართველი დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს საზოგადოების ნებისმიერ თემთან, ნებისმიერი კონფესიის წარმომადგენლებთან ურთიერთობას, უარი თქვას დასავლურ აღვირახსნილ პროპაგანდაზე და, ამასთანავე, დაიცვას თავისი ეროვნული ტრადიციები, ფასეულობები, მართლმადიდებლობა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

«მუსლიმანურ მოსახლეობასთან ერთად მშვიდად ცხოვრება ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ქართველთა ნაწილი მუსლიმანები არიან. მეტიც, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ისლამი თავისი სულიერ-ზნეობრივი ღირებულებებით უფრო ახლოსაა მართლმადიდებლობასთან, ვიდრე იგივე პროტესტანტიზმი და მის წიაღში აღმოცენებული კულტურა. მუსლიმანებს, ისევე, როგორც მართლმადიდებლებს, აღაშფოთებს საზოგადოებაში ზნეობის დაცემა, გარყვნილების პროპაგანდა, ნიჰილიზმი, თაობათა გაუცხოება, ეროვნული ტრადიციების უარყოფა. ეს სერიოზული საფუძველია ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობისთვის საერთო სამშობლოს სასიკეთოდ»

ბაჩუკ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„გაჯანს-უ-ღებაში“ ვგულისხმობ იმ გამაოგნებელ „ტრენდს“, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობენ ე.წ. წითელი ინტელიგენციის შთამომავლები დღევანდელ საქართველოში. განვმარტავ: შვილები იმ ადამიანებისა, რომლებიც საბჭოთა პერიოდში გამორჩეულად „გულაობდნენ“, ისხდნენ მაღალ თანამდებობებზე, იღებდნენ სხვებზე მეტ ხელფასსა თუ ჰონორარს, ჰქონდათ სხვადასხვა პრივილეგია და რეალურად ძალიან მდიდრულად ცხოვრობდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, დღეს კი აცხადებენ, რომ მათ მამებს კომუნისტები ჩაგრავდნენ და აწამებდნენ.**

# ამბავი «სასტიკად ნაწამები» მამებისა და შვილთა ვირეშმაკობისა!

**დიაგნოზს, რომ ქართველი საზოგადოება დაავადებულია, უკვე წყალი აღარ გაუვა. მესმის საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის აღშფოთებისა — ჩვენ რაღას გვერჩიო?! მაგრამ ასეა — საზოგადოება, ისევე, როგორც ადამიანის ორგანიზმი, გარკვეულწილად, მთლიანია და, თუკი ორგანიზმის თუნდაც 10 ან 5 პროცენტი დაავადებულია, მაშინ მთელი ორგანიზმი ითვლება დაავადებულად. თუ დაავადება უკურნებელია, მაშინ ერთადერთი საშუალებაა ორგანიზმის დაავადებული ნაწილის მოკვეთა — ამპუტაცია, მაგრამ, ვინაიდან უკვე XXI საუკუნეა და საზოგადოების დაავადებულ ნაწილს ვერ მოვკვეთთ დახვრეტის მეთოდით, როგორც ამას აკეთებდნენ XX საუკუნის ზოგიერთ სახელმწიფოში, გამოდის, ამ დაავადებული ნაწილის გამო, სრულიად საზოგადოებამ უნდა ავიტანოთ ის, რასაც ეს ძალიან მძიმე დაავადება მოუტანს შედეგად ჩვენს ქვეყანასა და სახელმწიფოს.**








მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი საზოგადოების არათუ მხოლოდ ათი, არამედ, სავარაუდოდ (რაც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს), 30 პროცენტია საშინლად დაავადებული, ოცდახუთი მაინც. და ეს რაოდენობა ასეთი დაავადებისთვის იმდენად დიდია, რომ მართლა ძალიან მიკვირს, დღემდე კიდევ როგორ გვიდგას სული პირში და როგორ არსებობს საქართველო, როგორც სახელმწიფო.

კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას ის, რომ ნორმალურად მოაზროვნე ყველა ადამიანი, რომლებიც ასე თუ ისე ცდილობენ შექმნილი ვითარების გაჯანსაღებას, უაპელაციოდ ინათლებიან „მოღალატეებად“ და „პუტინის აგენტებად“, ანუ, თუ დღევანდელ საქართველოში უპირობოდ არ გაჰყვირი, რომ ნატო მაგარია, ამერიკა — ჩვენზე მზურნველი, ქართველებზე გადაგებული ქვეყანა, ხოლო თურქეთი — ჩვენი ისტორიული მეგობარი, მაშინ „კრემლის აგენტი“ და „მოსყიდული მოღალატე“ ხარ. ჯანდაბას, ამასაც ავიტანდით, ბოლო პერიოდში აშკარად რომ არ ცდილობდნენ, გაჯანსაღების ნაცვლად, ქართველი საზოგადოების „გაჯანს-უ-ღებას“.

ცხონებულს თავად უყვარდა ასეთი „კაფიები“ – „მუსულმანები — რუსულმანები“ და ა.შ., ამიტომ ვფიქრობთ, არც ჩვენგან უნდა იყოს ვინმესთვის საწყენი დღევანდელი ჩვენი სტატიის პათოსი.

პირდაპირ ვიტყვი: **„გაჯანს-უ-ღებაში“ ვგულისხმობ იმ გამაოგნებელ „ტრენდს“, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობენ ე.წ. წითელი ინტელიგენციის შთამომავლები დღევანდელ საქართველოში. განვმარტავ: შვილები იმ ადამიანებისა, რომლებიც საბჭოთა პერიოდში გამორჩეულად „გულაობდნენ“, ისხდნენ მაღალ თანამდებობებზე, იღებდნენ სხვებზე მეტ ხელფასსა თუ ჰონორარს, ჰქონდათ სხვადასხვა პრივილეგია და რეალურად ძალიან მდიდრულად ცხოვრობდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, დღეს კი აცხადებენ, რომ მათ მამებს კომუნისტები ჩაგრავდნენ და აწამებდნენ.**

ამ ყოველივეს კი „გაჯანსუღება“ იმიტომ დავარქვით, რომ ამ მიმართულებით ყველაზე მეტად აქტიურობს ცნობილი პოეტისა და, ასე ვთქვათ, ლიტერატურული სფეროს კომუნისტი ფუნქციონერის, **ჯანსუღ ჩარკვიანის,** შვილი — **თაკო ჩარკვიანი.**

არ უნდა დავუკარგოთ მონდომება **გურამ ფანჯიკიძის** ოჯახის წევრებსაც, რადგან **მაია ფანჯიკიძის** საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდში, ამ მხრივ მისი დაიკო, თავდაცვის მინისტრის მეუღლე **ნათია ფანჯიკიძე,** აქტიურობდა და მის „ფეისბუქ-კედელზე“ არაერთხელ გამოჩნდა პოსტი საბჭოთა პერიოდში დევნილი მათი ოჯახის, განსაკუთრებით კი, მათი მამის — ჯანსუღ ჩარკვიანზე მეტი ფუნქციონერისა და მალალჩინოსნის — გურამ ფანჯიკიძის შესახებ.

თუმცა, კიდევ ერთხელ ვაღიარებ, კომუნისტი ფუნქციონერი მამის „კომუნისტებისგან დევნილ ტანჯულად“ წარმოჩენის საქმეში თაკო ჩარკვიანმა ყველას მართლაც „გადაუჯოკრა“.

ამდენ ლაპარაკს, სჯობს, გამოვაქვეყნოთ ფაქტები, როგორ „ტანჯავდნენ“, „დევნიდნენ“ და „აწამებდნენ“ ამ ორ ცნობილ პერსონას კომუნისტები, ხოლო მათი კოლეგებისა და მეგობრების ტანჯვა-ვაებაზე წარმოდგენა თვითონ შეიქმენით, მკითხველო.

**გურამ ფანჯიკის „ტანჯვით აღსავსე“ ლიტერატურული გზა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყო. ეს ადამიანი განათლებით მეტალურგი იყო და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი („გეპეი“) ჰქონდა დამთავრებული. ქარხანაში გურამ ფანჯიკიძე რედაქტორობდა გაზეთს სახელწოდებით „ლენინელი“. როგორც ჩანს, ეს საბჭოთა სისტემისთვის თვალის ასახვევად იყო, ანუ გაზეთს „ლენინელი“ დაარქვეს იმიტომ, რომ ეჭვი არავის აეღო, სინამდვილეში ამ გაზეთის რედაქტორობა იყო ანტისაბჭოთა მოღვაწეობა და წამება.** მოგვიანებით, კომუნისტებმა შენიშნეს ნიჭიერი ტანჯული და კიდევ უფრო მეტად სატანჯველად, რესპუბლიკის მთავარი ლიტერატურული ჟურნალის — „ცისკრის“ მთავარ რედაქტორად გადაიყვანეს, რათა უარესად „დატანჯულიყო“. ესეც არ აკმარეს, გურამ ფანჯიკიძის დევნა-შევიწროება გაგრძელდა და ამის შედეგად იგი 1979 წელს რესპუბლიკის უმთავრესი გამომცემლობის — „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი გახდა. ყურადღება მიაქციეთ — აქაც, როგორც ჩანს, სიტყვა „საბჭოთა“ ბოლშევიკური სპეცსამსახურების, ანუ „კა-გე-ბეს“ თვალის ასახვევად იყო ჩაკვეხებული.

**გურამ ფანჯიკიძის ასეთ დევნა-შევიწროებას ახლდა ისეთი „სასტიკი“ და „დამთრგუნველი“ ქმედებები კომუნისტური მმართველობის მხრიდან, როგორიც არის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით მისი ნაწარმოებების — „მეშვიდე ცა“, „თვალი პატიოსანი“, „აქტიური მზის წელიწადი“, „სპირალი“ — წიგნებად გამოცემა. ამ ყოველივეს დაერთო უსასტიკესი ფაქტი — იმ დამპალმა კომუნისტებმა გურამ ფანჯიკიძეს შოთა რუსთაველი სახელობის პრემია მიანიჭეს.**

აი ასეთ სასტიკად ნაწამებ მამაზე როგორ არ იტყოდა, აბა, ნათია ფანჯიკიძე — კომუნისტური რეჟიმი ჩვენს ოჯახს სდევნიდაო(?!), თუმცა, ისეთი მოკრძალებული აღმოჩნდა, რომ ერთხელაც არ უხსენებია მამამისის არაერთი გამტანჯველი ვიზიტი-მივლინება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებზე და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასეთი მორიდებულები არიან საბჭოთა პერიოდში ულვთოდ ნაწამები ადამიანების შთამომავლები.

ამ მხრივ კიდევ უფრო მორიდებულია **თაკო ჩარკვიანი. ინგა გრიგოლიას** თოქშოუში სტუმრობისას მან ძალიან მორიდებულად მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მამამისი ბოლშევიკებმა გატანჯეს და ჯანსუღ ჩარკვიანი სწორედ საბჭოეთთან და ოკუპანტებთან ბრძოლის იდეას შეეწირა.

**„1969 წელს რომ დაწერა მამაჩემმა ის ცნობილი „ტყვია მიზანში მოსახვედრია“, იმის მერე გადააყოლეს ამას. ფაქტობრივად, გატანჯეს კაცი ამ ბრძოლის გამო. ის შეეწირა კიდევაც საბოლოოდ ოკუპანტებთან ბრძოლის იდეას!“** — აი, მხოლოდ ეს მოკრძალებული ფრაზა წარმოთქვა თაკო ჩარკვიანმა და თავმდაბლობის გამო არ ჩამოთვალა, კონკრეტულად რა სასტიკი მეთოდებით ტანჯავდნენ კომუნისტები ჯანსუღ ჩარკვიანს.

სამაგიეროდ, ამას ჩვენ ვიზამთ:

ჯანსუღ ჩარკვიანი კომუნისტებმა პირველად საბავშვო ჟურნალ „დილის“ მთავარი რედაქტორის სავარძელში „ტანჯეს“. როდესაც ასე ვერაფერი დააკლეს და ვერ გატეხეს, კიდევ „უფრო სატანჯველად“ ჟურნალ „ცისკრის“ მთავარ რედაქტოირად გადაიყვანეს და, უსასტიკესი წამების მიუხედავად, აქაც რომ ვერაფერი დააკლეს, კიდევ უფრო „მოუმატეს წამებას“. შედეგად, ჯანსუღ ჩარკვიანი „სასტიკად საწამებლად“ გადაიყვანეს საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარი ჟურნალის — „დროშის“ მთავარ რედაქტორის ელექტრო სკამზე. ვერც ამ სავარძელში მიყენებულმა მორალურმა და ფიზიკურმა ვაებამ „გატეხა“ პოეტი. ამით გამწარებულმა კომუნისტებმა იგი მთელი ათი წელიწადი „ამარტვილეს“ (1977-1987) მწერალთა კავშირის მდივნის სავარძელში.

ახლა კი იმ განსაკუთრებული სისასტიკის შესახებ, რომელიც კომუნისტებმა ჯანსუღ ჩარკვიანის მიმართ გამოიჩინეს: **დაახლოებით 14 წლის შუალედში სახელმწიფო ხარჯით გამოუცეს 5 წიგნი: „რწმენის კედელი“ (1970), „დიდი ნათელი“ (1980), „ერთტომეული“ (1981) „რჩეული პოემები“ (1983) და „მე და შენ“ (1984) — აი, ასე შეუბრალებლად „გვემეს“ და „ტანჯეს“ პოეტი იმ დამპალმა კომუნისტებმა!**

თუმცა ვერაფერი შეედრება იმ საშინელ ტანჯვას, რომელიც პოეტს მიადგა მაშინ, როდესაც მას კომუნისტებმა „განსაკუთრებით სასტიკი მეთოდებით“ მიანიჭეს ჯერ გალაკტიონ ტაბიძის ხოლო შემდეგ შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ადამიანებს „განსაკუთრებით ტანჯავდა“ წარმოუდგენლად მაღალი ჰონორარები, რომლებსაც თითოეულ წიგნში, თითოეულ სტრიქონში უხდიდნენ კომუნისტები. პრემიები იმდენად მაღალ თანხებს ასახავდა მათ საბანკო ანგარიშებზე, რომ ძნელი წარმოსადგენია, ამისთანა ტანჯვას ჩვეულებრივმა ადამიანმა გაუძლოს. აღარაფერს ვამბობ ლიტერატურული ელიტის უმაღლეს თანამდებობებზე — მათ იმდენად მაღალი ხელფასი ეძლეოდათ, ჩვეულებრივი მოკვდავი ყოველთვიურად ასეთი ხელფასის აღების გამო შეიძლება იქვე მომკვდარიყო. სანატორიუმები და სხვადასხვა პრივილეგია, აბა, რაღა სახსენებელია?!

აი ასეთი ნატანჯი კაცის შვილი საუბრობდა იმ დღეს ტელეეთერში და „ღირსეულად“ განაგრძობდა მამის დაწყებულ საქმეს — ოკუპანტებთან თავგანწირულ ბრძოლას წივილ-კივილის მეთოდით.

ეტყობა, **სწორედ ამიტომ იყო, რომ ინგა გრიგოლიაც, როგორც ოკუპანტებთან ღირსეული მებრძოლი და ქართველი ჟურნალისტის ჭეშმარიტი სახე, ოდნავაც არ შელაპარაკებია არაფერში, არც სიტყვა გუაწყვეტინებია და თაკო ჩარკვიანი თავიდან ბოლომდე გაჰკიოდა იმას, რაც სურდა. ეს მაშინ, როდესაც ინგა გრიგოლია წამდაუწუმ ახსენებდა მოკრძალებულად მოსაუბრე ჯონდი ბაღათურიას, რომ დრო ძალიან ძვირფასია ჟურნალისტისთვის, და გამუდმებით პირში ეჩრებოდა, როგორც ელიზბარ ჯაველიძეს, ასევე, დიმიტრი ლორთქიფანიძეს.**

ქართულ ჟურნალისტიკაში უკვე ძალიან მოდურია, ყოველ წამს პირში ეცე იმ რესპონდენტს, რომლის აზრების გავრცელებასაც „პატრონები“ გიკრძალავენ. არ ვამბობ, რომლის აზრებსაც არ ეთანხმება ჟურნალისტი-მეთქი. **მეტი არაა ჩვენი მტერი, ინგა გრიგოლიასა და მისნაირებს რაიმეზე საკუთარი აზრი გააჩნდეთ. ისინი დააპროგრამეს, რომ „რუსული პროპაგანდა არ უნდა გაისმას“ და მორჩა!** მაგრამ, თუ მოწინააღმდეგე მხარეს არ მოიყვან, მაშინ „დებატები“ როგორღა გამოვა? ამიტომაც მოჰყავს ხოლმე ინგა გრიგოლიას სტუდიაში „გაბედულად“ საწინააღმდეგო აზრების მქონე რესპონდენტები და მერე ერთი წუთითაც არ ალაპარაკებს მათ. ყოველ 20 წამში გაიძახის: „მადლობთ“, „დრო“, „გასაგებია“...

ხოლო როდესაც საუბარს იწყებენ თაკო ჩარკვიანის მსგავსი „ბუმბერაზი მოაზროვნეეები“, ინგას შეუძლია 10 წუთს ჩუმად იჯდეს და მხოლოდ თავი აქნიოს.

მეორე დღეს ინგასა და მისი ოჯახის წევრების კომენტარებიც თაკო ჩარკვიანის „ფეისბუქზე“ — **„თაკო, გვიყვარხარ!“, „ბევრი თაკო უნდა ჰყავდეს საქართველოს“** და ასეთები — მომხიბლავ შთაბეჭდილებას გვიტოვებს ქართულ „მიუკერძოებელ“ ჟურნალისტიკაზე.

თუმცა **ჟურნალისტს, რომელიც შვილის ქორწილში მთავრობის თითქმის ყველა წევრს დაპატიჟებს და განაცხადებს, — მერე რა მოხდაო, ანუ ელემენტარული ჟურნალისტური პრინციპების შესახებაც არაფერი სმენია, რა უნდა ელაპარაკო?!**

სხვათა შორის, ეს ადამიანები იმდენად ნაკლებად ატანენ ტვინს, რასაც ამბობენ, რომ არაერთხელ წამოსცდათ თავიანთი რეალური განზრახულობანი. მაგალითად, თაკო ჩარკვიანმა ამ კონკრეტულ გადაცემაშიც თქვა: „მოგიწოდებთ, რომ ტელევიზიებმა არ დაუთმოთ არც ერთი წუთით ეთერი იმ ადამიანებს, ვინც ნატოს მოწინააღმდეგეა!“ — აი დემოკრატიისათვის დიადი მებრძოლის, ჯანსუღ ჩარკვიანის, შთამომავლის ნამდვილი დემოკრატიული აზროვნება.

**დიახ, ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვხატოთ „თავისუფალი აზრი“, მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკული „თავისუფალი სიტყვა“ არის იმის თავისუფლად თქმა, რაც ამერიკას აძლევს ხელს. ასეთი მედგარი დამცველები ჰყავს „თავისუფალ სიტყვას“ საქართველოში და შესაბამისად, საზოგადოების გაჯანს-უ-ღების პროცესიც, ალბათ, წარმატებით დაგვირგვინდება.**

**ანზორ თოთაძის აზრით, საქართველოში დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად დაახლოებით 500 მილიონი ლარია საჭირო, რისი „აწევაც“ სახელმწიფო ბიუჯეტს გაუჭირდებაო. აქ კი თავს უფლებას მივცემ და ნაწილობრივ არ დავეთანხმები ბატონ ანზორს: თუ 12-13-მილიარდიანი ბიუჯეტიდან „სულ რაღაც“ 500 მილიონის გამოყოფაზე უარს ამბობს სახელმწიფო (დიახ, სულ რაღაც, რადგან საქმე ქართველი ერის ყოფნა-არ ყოფნას ეხება და აქ დიდ და მცირე თანხაზე საუბარი არ შეიძლება) დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, მაშინ გაუგებარია ბორჯომის საკრებულოს „პოლიტიკური კრიზისი“.**



ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არ არსებობს დიდი და მცირე ჯამაგირი. არსებობს მხოლოდ დიდი და მცირე მადა. კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს და არა ჯამაგირი — კაცს“... ჭაბუა ამირეჯიბის ერთ-ერთი გენიალური სენტენციის ვიზუალური სურათია ის, რაც დღეს ბორჯომის საკრებულოში ხდება და არა, უბრალოდ, პოლიტიკური კრიზისი, როგორც ეს მავანთ სურთ, წარმოგვიჩინონ.**

# სანახაობა პურის სანაცვლოდ — ხელისუფლებამ მრავალშვილიან დედებს ელტონ ჯონი არჩია!

იქნებ პოლიტიკური კრიზისიც აშკარაა, მაგრამ, უპირველესად — ზნეობრივი, დაკარგული სინდის-ნამუსის... უტიფრობა-უსირცხვილობიდან გამომდინარე, ადამიანური სახის დაკარგვის კრიზისია ის, რომ ათასობით ლარი არ გყოფნის ქვეყანაში, სადაც პენსია საარსებო მინიმუმზე ნაკლებია — 180 ლარი და ამიტომ ღამღამობით თუ დღისით, მზისით ნაგვის ურნებში იქექებიან სიბერეგამწარებული ჩვენი ბებია-ბაბუები.

**მხოლოდ თბილისში იმდენი მათხოვარია, რომ ქუჩაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით, მაგრამ გაზულუქებული სახელმწიფო მოხელეეების შავი ჯიპების დაბურული მინებიდან არ ჩანს, ეკლესიების, მალაზიების, მეტროპოლიტენის სადგურების, მიწისქვეშა გადასასვლელების შესასვლელ-გამოსასვლელ, ჩასასვლელ-ამოსასვლელებთან რამდენი ხელგამოწვდილი, ცხოვრებისგან გარიყული ზის.**

ძალიანაც რომ გინდოდეს, ყველას ვერ გასწვდები, ამიტომ ჩავლილს გაბოროტებულმა ზურგს უკან შეიძლება წყევლაც მოგაყოლოს. შენ კი, უილაჯობის ბოლმისგან გულგასიებული, ხმას ვერ იღებ და ცდილობ, იქაურობას რაც შეიძლება სწრაფად გაეცალო.

ამ ფონზე **მავანთა ასტრონომიული ხელფასები უაზროს ხდის ჭაბუა ამირეჯიბის შეგონებას, რომელიც წერილის დასაწყისში ვახსენე; ხოლო ამ ყველაფრის გულგრილად ყურებას, პოლიტიკური კრიზისი კი არა, უფრო მარტივად და ხალხისთვის გასაგებ ენაზე ღორობა და ღორიშვილობა ჰქვია.**

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ადგილობრივი თუ საპარლამენტო არჩევნების წინ მმართველი უმრავლესობის ერთ-ერთი დაპირება იყო ის, რომ ხელისუფლება უარს იტყოდა ყბადაღებულ პრემიებზე, მაგრამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პრემიას მხოლოდ სახელი შეუცვალეს და ხელფასის დანამატი უწოდეს. აგერ, ახლახან კი, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ქალაქის ახალარჩეულმა მერმა **კახა კალაძემ** მასხრად აგვიგდო — თბილისის მერიის თანამშრომლების ხელფასებში აისახა ის თანხები, რომლებსაც ადრე პრემიები და ხელფასის დანამატები ერქვა, ანუ ხელფასები გაიორმაგეს და ურცხვად გამოგვიცხადეს, ამიერიდან აღარც პრემიებს გამოვიწერთ და აღარც დანამატებსო(?!).

მსგავსი პროცესი უხმაუროდ მიდის სრულიად საქართველოს მუნიციპალიტეტებშიც, უხმაუროდ, რადგან, პარლამენტისა არ იყოს, საქართველოს მასშტაბით „ქართულ ოცნებას“ ყველა მუნიციპალიტეტში კონსტიტუციური უმრავლესობა ჰყავს.

ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ ბორჯომის საკრებულოა, რომლის უმრავლესობაშიც ოპოზიციური პარტიებია და „პოლიტიკური კრიზისიც“ ამან გამოიწვია.

სინამდვილეში კი აი რა არის „პოლიტიკური კრიზისი“:

**მუნიციპალიტეტის მერი, ნაცვლად 2650 ლარისა, 3450 ლარს ითხოვს, პირველი მოადგილე, 2000 ლარის ნაცვლად — 2400-ს; მერიის სამსახურების უფროსები, ნაცვლად 1550 ლარისა — 2000 ლარს და ა.შ.**

ამ ყველაფერს კი, როგორც ზემოთ ვთქვი, ღორობა ჰქვია!

ახლა, ბორჯომის საკრებულოს „პოლიტიკურ კრიზისს“ შევეშვათ და ყურადღება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პოლიტიკურ-ზნეობრივ კრიზისზე გადავიტანოთ... ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველო აშკარა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას.

თუმცა, რაღა წინაშე?!

**დემოგრაფიულ კატასტროფაში ვიმყოფებით და ქართველი ერის თვითმკვლელობას არხეინად ვუყურებთ. ცნობილი დემოგრაფის, ანზორ თოთაძის, გათვლებით, თუ ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც დღეს არის, სულ რაღაც 30-40 წელიწადში ქართველი ერი პრაქტიკულად აღარ იარსებებს და ჩვენს მიწა-წყალს უცხოტომელები დაეპატრონებიან.**

მძიმე დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად პირველი ნაბიჯები გადაიდგა — ორი წელიწადია, დემოგრაფიული ვითარების მხრივ განსაკუთრებით მძიმე რეგიონებში (გურია, სამეგრელო, ზემო და ქვემო სვანეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, კახეთი) ხორციელდება პროექტი, რომლის მიხედვით ყოველ მესამე და მომდევნო შვილზე 2 წლის განმავლობაში ბარსა და მთაში გაიცემა დახმარება, შესაბამისად, 150 და 200 ლარის ოდენობით.

**ანზორ თოთაძის აზრით, საქართველოში დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად დაახლოებით 500 მილიონი ლარია საჭირო, რისი „აწევაც“ სახელმწიფო ბიუჯეტს გაუჭირდებაო. აქ კი თავს უფლებას მივცემ და ნაწილობრივ არ დავეთანხმები ბატონ ანზორს:**

**თუ 12-13-მილიარდიანი ბიუჯეტიდან „სულ რაღაც“ 500 მილიონის გამოყოფაზე უარს ამბობს სახელმწიფო (დიახ, სულ რაღაც, რადგან საქმე ქართველი ერის ყოფნა-არ ყოფნას ეხება და აქ დიდ და მცირე თანხაზე საუბარი არ შეიძლება) დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, მაშინ გაუგებარია ბორჯომის საკრებულოს „პოლიტიკური კრიზისი“.**



**მხოლოდ თბილისში იმდენი მათხოვარია, რომ ქუჩაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით, მაგრამ გაზულუქებული სახელმწიფო მოხელეეების შავი ჯიპების დაბურული მინებიდან არ ჩანს, ეკლესიების, მაღაზიების, მეტროპოლიტენის სადგურების, მიწისქვეშა გადასასვლელების შესასვლელ-გამოსასვლელ, ჩასასვლელ-ამოსასვლელებთან რამდენი ხელგამოწვდილი, ცხოვრებისგან გარიყული ზის**

ასევე ვერ გავიგე, რატომ ჩათვალა კახი კალაძემ თბილისი სიცოცხლით სავსე ქალაქად, როდესაც ის რეალურად მათხოვრებით სავსე ქალაქია?! ვერც ის, რა აუცილებლობას წარმოადგენდა იტალიიდან 3-მილიონლარიანი საახალწლო განათების ჩამოტანა — რა, შარშანდელი ცუდად გაანათებდა რუსთაველის პროსპექტს?!

ამ უაზრო ხარჯების ფონზე, სასაცილოა პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონი, რომლის დამტკიცების შემთხვევაში ქვეყნის მასშტაბით ყოველ მეოთხე შვილზე — 20 ლარის, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 10-10 ლარის დახმარება გაიცემა.

როგორც ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **დიმიტრი ხუნდაძე** ამბობს, კანონპროექტი დაახლოებით 12 ათას ოჯახს შეეხება, თუმცა ვიცით, რომ ეს ძალიან ცოტააო...

ზემოთ უკვე ვთქვით კახი კალაძის მიერ საახალწლოდ „გასროლილი“ 3 მილიონი ლარის შესახებ, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო ის, რომ, რუსთაველის პროსპექტის სი-



კაშკაშით დაბრმავებულებს, ველარ დაგვენახა, რომ **თბილისი, სიცოცხლით სავსე კი არა, მათხოვრებით სავსე ქალაქია.**

დაბრმავებასთან ერთად, ამჯერად დაყრუებასაც გვიპირებენ. ანუ, თუ ნაცები **ტოტო კუტუნიოებს** ატენიდნენ მილიონებს, ქოცები **რობი უილიამსის** უკანალს გვაცქერინებდნენ; ახლა კი, ამ ზაფხულს, როგორც ამბობენ, „სულ რაღაც“ 3 მილიონ ლარად მისტერ (თუ მისის), სერ **ელტონ ჯონის** ჩამოყვანას აპირებენ ქობულეთის საკონცერტო დარბაზში — გაცხადებულ-გათხოვილი პედერასტის. იქნებ იმიტომაც, რომ ქართველ ახალგაზრდებს აჩვენონ წარმატებული ჰომოსექსუალის მოდელი?!

ეს — ლირიკული გადახვევა ცნობისთვის, თორემ ჩვენ სულ სხვა რამ გვაინტერესებს...

**თბილისის მერიის ბიუჯეტიდან საახალწლოდ „გასროლილ“ სამ მილიონს ამ ზაფხულს ლგბტთა სიამაყე ელტონ ჯონის ჩამოსაყვანად „გასასროლი“ 3 მილიონი დავუმატოთ და დავიანგარიშოთ, ექვს მილიონად რამდენი ახალშობილი ბავშვის დაფინანსება შეიძლება.** მარტივი არითმეტიკაა:

თუ თვეში მხოლოდ 20 ლარს ვიანგარიშებთ ერთ ახალშობილზე, წელიწადში 240 ლარი გამოვა. 12 369 ოჯახზე (საქართველოში ამდენი ოჯახში ცხოვრობს ოთხი და მეტი არასრულწლოვანი) კი ეს თანხა წელიწადში თითქმის 3 მლნ იქნებოდა, მაგრამ, თუ ზემოთ ნახსენები 6 მილიონი გვექნებოდა, 12 369 მრავალშვილიანი ოჯახის დაფინანსება ორჯერ გაიზრდებოდა, მაგრამ ელტონ ჯონ-კახი კალაძის ერთობლივი 6-მილიონიანი პროექტი მერე?

და ვინ იცის, რამდენი ასეთი უაზროდ „გასროლილი“ ან „გასასროლი“ თანხის მოძიება შეიძლება ჩვენს გაჭირვებულ საქართველოში. რომელი ერთი ჩამოვთვალო... **თუნდაც გავიხსენოთ პარლამენტართა თუ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა ძვირად ღირებული ვითომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მივლინებები საზღვარგარეთ. სინამდვილეში ისინი ხომ ევროამერიკული „შოპინგტურებია“, როცა თვითმფრინავებში მხოლოდ ბიზნესკლასს ირჩევენ და სასტუმროებს ხუთვარსკვლავიანზე ნაკლებს არ კადრულობენ... ერთი სიტყვით, მსგავს ხარჯებზე უარის თქმა, თუ არ აგვაშენებს, იმდენს მაინც იზამს, რომ საქართველოში არავის შიოდეს, არავის ციოდეს და არავინ იყოს უსახლკარო. ეს კი იმაზე გაცილებით ძვირფასია, ვიდრე თუნდაც ჰომოსექსუალი ელტონ ჯონის კონცერტი.**

ვიცი, ისეთებიც გამოჩნდებიან, რომლებიც დამამუნათებენ: რა ვქნათ ახლა, რადგან ამდენი პრობლემები გვაქვს, აღარც ვიმღეროთ, აღარც ვიცეკვოთ, აღარც ახალი წელი ვიზეიმოთო?

რა თქმა უნდა, ცხოვრება, ნებისმიერი გაჭირვების მიუხედავად, გრძელდება, მაგრამ **არსებობს ასეთი ცნება „სახელმწიფო პრიორიტეტი“, ანუ ხელისუფლების უპირველესი საკეთებლის განსაზღვრა და ამ გზით სიარული, ამიტომ ერმაც და ბერმაც ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ მცირეთა სიცილი მრავალთა ტირილმა არ გადაფაროს.**

**დავით მხეიძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თქვენი წყევლა-კრულვა სტალინის წყევლა კი არ არის, არამედ ჩეჩენი ხალხის შვილის, ჯოყოლას, წყევლა-კრულვაა, პირველ რიგში, შემდეგ კი — ქართველი ხალხის შეურაცხყოფა და დამცირება, მაგრამ ეს თქვენნაირი ცოდნა-განათლების დონის ადამიანებს არ ესმით და არც მოეკითხებათ.**

# ღია წერილი ჩეჩნეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვს, რომელმაც სტალინი უკუნითი უკუნისამდე დაწყევლა

**ბატონო პრეზიდენტო, არ მინდა ისე მოგმართოთ, როგორც დაიმსახურეთ, რადგან კარგად ვიცნობ ზოგადკავკასიურ, კერძოდ, ქართველი და ჩეჩენი ხალხის სულიერებას და მათ ბუნებას. როგორც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურა და ისტორია სტალინით არ განისაზღვრება, ისე არ შეფასდება თქვენით ჩეჩენი ხალხის კულტურა და ისტორია.**




**თქვენ უკუნითი უკუნისამდე დაწყევლეთ სტალინი, მაგრამ არც კი იცით, ვინ იყო ის, რა გააკეთა კაცობრიობისთვის და როგორ აფასებდნენ მის მოღვაწეობას მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, თუმცა საიდან გეცოდინებათ ან სად წაიკითხავდით?!**

თქვენ, ვისაც მრავალრიცხოვანი „კორტეჟი“ დაგყვებათ „შორეული ბომბდამშენი ავიაციით“ დაწყებული, „მოტორიზებული პოლკით დამთავრებული“ და თავს იცავთ თქვენივე ხალხისგან — „მუსა ხართ და არა ჯოყოლა“ (ვაჟა-ფშაველა, „სტუმარ-მასპინძელი“).

ჩეჩენი და ქართველი ხალხის ისტორია რომ იცოდეთ, ჩვენს ან თქვენს რჯულს სცემდეთ პატივს, მიცვალებულს არ დაწყევლიდით. იმის გამო, რომ მოკლულ **მუცალს** მარჯვენა არ მოაჭრა, **ალუდა ქეთელაური** (ვაჟა-ფშაველა, „ალუდა ქეთელაური“) თემმა მოიკვეთა, მაგრამ კაცში კაცობის დანახვის გამო, სალოცავში შესაწირი კურატი (დაუკოდავი ხარი) მაინც აიყვანა და **ბერდიას** შეკითხვას: „ვის ამწყალობებ, ალუდავ, ამა კურატით შავითა?“ ალუდამ უპასუხა:

„ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,
ძოღან მოკლულის ქისტისა.
მუცალს ეტყოდენ სახელად,
მაუნათლავის შვილისა“.

ეს ადრე იყო. თემისა და პიროვნების განსჯისა და დანახვის თვალსაზრისით, **ვაჟა-ფშაველამ**, როგორც ამას ერთი ქართველი მეცნიერი ამბობს, „ქრისტეს გაუსწრო“.

ბატონო პრეზიდენტო, **თქვენი წყევლა-კრულვა სტალინის წყევლა კი არ არის, არამედ ჩეჩენი ხალხის შვილის, ჯოყოლას, წყევლა-კრულვაა, პირველ რიგში, შემდეგ კი — ქართველი ხალხის შეურაცხყოფა და დამცირება, მაგრამ ვაი, რომ ეს არ გესმით და არც მოგეკითხებათ.**

ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე გავატარე ხუთი წელიწადი, ყოველწლიურად, გაზაფხულსა და შემოდგომაზე, 40-40 დღე ვიყავი ჩეჩნეთის შუაგულში, იშორის ხიდზე, სადაც საკონტროლო პუნქტი გვქონდა გახსნილი ქართველ მეცხვარეებს და იქ ხშირად შემინიშნავს ჩეჩენი ბიჭების ავტომანქანებზე გაკრული სტალინისა და **შამილის** სურათები.

1940-იან წლებში ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ბევრი იყო თავისი ქვეყნისა და ხალხის მტერი. **თქვენნაირი „სტალინის მაწყევარები“ ხელისუფლებისა და ქვეყნის წინააღმდეგ ამხედრებდნენ ჩეჩენ ხალხს. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ 1941 წლის აგვისტოში ჯარში გასაწვევი 8 000 ახალგაზრდიდან 719 დეზერტირი გახდა და ტყეს შეაფარა თავი. 1942 წლის მარტში ჯარში გასაწვევი 14 576 ახალგაზრდიდან ომში არ წავიდა და დეზერტირად იქცა 13 560. ასეთივე მდგომარეობა იყო 1943 წელსაც. 3 წელიწადში ომს თავი აარიდა ჩეჩენ-ინგუშეთის 62 751 ახალგაზრდამ. სამამულო ომის ფრონტზე ჩეჩენ-ინგუშეთიდან იბრძოდა 10 ათასი ადამიანი. დაღუპულად და უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება 2 300 მებრძოლი, მაშინ, როდესაც პატარა ბურიატიის 13 000-მა ახალგაზრდამ შესწირა სამშობლოს დაცვას თავი, ხოლო ოსებმა 10 700 სიცოცხლე ანაცვალეს სამშობლოს.**

1941-დან 1944 წლამდე შინაგან საქმეთა სამხედრო კომისარიატის ჯარებმა გაანადგურეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე მოქმედი 197 შეიარაღებული ბანდა, ამას შეეწირა 4 532 ადამიანი. 1941 წელს, დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, ჩეჩენი **ხასან ისრაილოვი** თავის ძმასთან ერთად სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და აქტიური მხარდაჭერა აღუთქვა კავკასიაში შემოჭრილ გერმანელ დივერსანტებს. პირველი შეიარაღებული გამოსვლა დაგეგმილი იყო 1941 წლის შემოდგომაზე, რათა ფაშისტებთან ერთად ეზეიმათ საბჭოთა კავშირის დამარცხება. და, რადგან **ჰიტლერს** „ბლიც-კრიგი“ ჩაეფუშა, ჩეჩნებმაც აჯანყების დაწყება 1942 წლის 10 იანვრისთვის გადადეს.

* ჩეჩნებმა ჰიტლერელებთან შესახვედრად არა მხოლოდ ოქროს უნაგირი და დარახტული ბედაური მოამზადეს, არამედ შექმნეს გერბიც, რომელიც შედგებოდა არწივის, მზის, ჩაქუჩის, ნამგლისა და საწერი კალმის გამოსახულებებისგან. იქვე იყო გამოსახული გასასრესად გამზადებული შხამიანი გველი და დასაკლავად გამზადებული ღორი. გერბზე გამოსახული იყო ორი ჩეჩენი მებრძოლი, რომელთაგან ერთი გველს იარაღს უმიზნებდა მოსაკლავად, მეორე კი ღორს უღერებდა ხმალს. გერბის განმარტება ასეთი იყო: არწივი კავკასიას გამოხატავდა, მზე — თავისუფლებას, მზის 11 სხივი — კავკასიის ხალხების 11 ნაციონალურ ჯგუფს. ნამგალი მოსავალთან ასოცირდებოდა, ხოლო ურო კავკასიელ ხალხთა ძმობას გულისხმობდა. კალმისტარი სწავლა-განათლებას და მეცნიერებას ნიშნავდა. შხამიანი გველი წარმოდგენილი იყო კომუნისტად სიკვდილის მოლოდინში, ხოლო ღორი რუსეთთან ასოცირდებოდა, ასევე განადგურების მოლოდინში.

* გერმანელებმა თავიანთი წარმომადგენელიც შეარჩიეს კავკასიაში — დაღესტნელი **ოსმან გუბე.** 1943 წლის იანვარში ოსმან გუბე, თავის მომხრეებთან ერთად, კონტრდაზვერვამ დააპატიმრა. მან დაკითხვისას აღიარა, რომ მომზადებული ჰყავდა ათასობით ადამიანი, რომლებიც მხარში ამოუდგებოდნენ გერმანელებს, თუ ისინი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გამოჩნდებოდნენ. აი რა ეჭვები ჩნდებოდა ჩეჩენ-ინგუშეთის მშვიდობიან მოსახლეობაში: „საბჭოთა ხელისუფლება ამას არ გვაპატიებს: ჯარში ჩვენ არ მივდივართ და არ ვეხმარებით სახელმწიფოს, კოლმეურნეობებში არ ვმუშაობთ, ფრონტს არ ვეხმარებით, გადასახადებს არ ვიხდით, ყველგან ყაჩაღობა და კაცის კვლაა გაჩაღებული. ყარაჩაელები სწორედ ამისთვის გაასახლეს, ამისთვის გაგვასახლებენ ჩვენც“.

პრეზიდენტო, თუ უარყოფთ ჩემს ჩამონათვალს ან რაღაცის შესწორებას მოისურვებთ, უფრო ვრცელ მასალას მოგაწვდით, მაგრამ ახლა მივუბრუნდები მთავარს — სტალინის დაწყევლას.

**„ომი, რომლის გადატანაც ჩვენს ხალხს მოუწია, იოსებ სტალინის ბრძანებით განხორციელებულ რეპრესიებთან ახლოსაც ვერ მივა. წყეული იყოს ის, უკუნითი უკუნისამდე, რადგან ჩეჩენი ხალხის წინაშე ძალიან დიდი ცოდვა ადევს. იმხანად გადასახლებულთა თითქმის ნახევარი გადასახლების პირველივე წელს სიცივით, შიმშილითა და ავადმყოფობით დაიღუპა“.**

პრეზიდენტო!

* დეპორტაციის პერიოდში, ვაგონებში შეყვანით დაწყებული, ადგილზე ჩასვლით, გაქცევის მცდელობისა და სხვა წინააღმდეგობის გაწევისთვის მოკლეს 50 დეპორტირებული ადამიანი. ავადმყოფობით, ბუნებრივი სიკვდილითა და უბედური შემთხვევით მგზავრობის პერიოდში გარდაიცვალა 1 272 დეპორტირებული, რაც გადასახლებულთა რაოდენობის 0,26%-ს შეადგენს.

* თითოეულ გადასახლებულს მიეცა უფლება, წაეღო 100 კგ-ის ოდენობით მისთვის საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთები და სანოვაგე, ოჯახზე — არა უმეტეს ნახევარი ტონისა. რაც შეეხება პროდუქტებს, ხორბალსა და სხვა მარცვლეულს, მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონელს, ახალ საცხოვრებელ ადგილზე მეურნეობის მოსაწყობად ხელისუფლება გადასახლებულს აძლევდა აქტს ორმხრივი ხელმოწერით, რომ ადგილზე ჩასვლისთანავე სახელმწიფო აუნაზღაურებდა ყველა იმ საქონელსა და ფურაჟს, რომლებიც აქტში იყო მითითებული.

* დეპორტირებულებისთვის გამოიცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება „პაიოკის“ 150 %-ით გაზრდის თაობაზე (პური, ცხიმეული, ზეთი, თევზეული. ყველა იმ პროდუქტზე, რომლებიც საბჭოთა მოქალაქის „პაიოკში“ შედიოდა). დადგენილებას სტალინი აწერს ხელს.

* 1949 წლის აღწერით, ჩეჩენი მოსახლეობის რაოდენობა გადასახლების ადგილებში, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ნაწილი გათავისუფლებული იყო გადასახლების ადგილებიდან და თავისუფლად და შეუფერხებლად შეეძლო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება, 67 ათასით მეტი აღმოჩნდა. ხოლო სამშობლოში დაბრუნების მომენტში ჩეჩნების რაოდენობა 100 000-ით მეტი იყო, ვიდრე გადასახლების წინ.

ასე რომ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენს წყევლა-კრულვაში ერთი სიტყვაც არ არის მართალი. თქვენ ეკუთვნით იმ ლიბერალურ ფრთას, რომლის ფერი და მიმართულება ჯერჯერობით უკუნით არის მოცული. და სწორედ ასეთ ადამიანებზე ითქმის:

**წყეულიც იყვნენ ისინი უკუნითი უკუნისამდე!**

*** საბჭოთა კავშირში ყველასთვის ერთი კანონი მოქმედებდა და, თუ სამშობლოს ღალატისთვის ნებისმიერ მოქალაქეს სიკვდილით სჯიდნენ, რატომ არ უნდა დასჯილიყო 62 000 ჩეჩენი მოღალატე, რომლებმაც თავი აარიდეს ომს?** თუ სტალინი 62 000 ახალგაზრდას სიკვდილით დასჯიდა, სწორედ მაშინ იქნებოდა ჩეჩენი ხალხის გენოციდი, რადგან განადგურდებოდა გენოფონდი, სტალინმა კი 62 000 დეზერტირი, თავიანთ მშობლებსა და ახლობლებთან ერთად, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანა. და **იქნებ მართებულადაც ადანაშაულებენ ქართველები სტალინს, როდესაც მან თავის სამშობლოდან ჰიტლერის წინააღმდეგ საბრძოლველად ათას სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი მეომარი გაიწვია — 700 000 და მსხვერპლიც ქართველებმა** ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბერნარდ შოუ, ინგლისელი მწერალი: „განსაცვიფრებელია სტალინის გონება და განათლება. ეს არის დიდი ინტელექტის ადამიანი. მე ვეთაყვანები მას. დიდება დიდ სტალინს! სტალინი გიგანტია, დასავლეთის სახელმწიფოების სხვა ლიდერები — პიგმეები“. ბატონო პრეზიდენტო! თვითკრიტიკის მიზნით, ვინმეს ხომ ვერ მიუმატებდით დიდი ინგლისელი მწერლის ჩამონათვალს?

◀ **ათას სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი გაიღეს, სულ 350 ათასი?**

ასე რომ, პრეზიდენტო, სიმდიდრის დაგროვებასა და სასახლეების აშენებასთან ერთად, იქნებ ერთ-ორ წიგნსაც გადაავლოთ თვალი, რათა გონს მოხვიდეთ და გაათვითცნობიეროთ, ვინ იყო სტალინი და რა გზა გამოიარა ჩეჩენმა ხალხმა ბოლო 100 წლის განმავლობაში!

* მე ვიცნობდი სოციალიზმისა და ქვეყნის მშენებელ მოძმე ჩეჩენ ხალხს, რომლებიც, ამერიკელებისგან გაბრიყვებული, კვლავ უბრუნდებოდნენ 1940-იანი წლების დაწყევლილ პერიოდს, მაგრამ რუსმა ჯარისკაცმა კვლავ, ძალით თუ ნებით, მშვიდობა დაამყარა.

თქვენ უკუნითი უკუნისამდე დაწყევლეთ სტალინი, მაგრამ არც კი იცით, ვინ იყო ის, რა გააკეთა კაცობრიობისთვის და როგორ აფასებდნენ მის მოღვაწეობას მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, თუმცა საიდან გეცოდინებათ ან სად წაიკითხავდით?!

* აი რა თქვა 1943 წელს თეირანის კონფერენციაზე ერთ-ერთი სხდომის მიმდინარეობის დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა **უინსტონ ჩერჩილმა:** „მე და ჩემი მეუღლე ყოველ დილით სანთელს ვანთებთ და ღმერთს შევთხოვთ სტალინის ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს, მხოლოდ მას შეუძლია გადაარჩინოს კაცობრიობა კატასტროფისაგან“.

ხედავთ განსხვავებას თქვენსა და ჩერჩილის სიტყვებში?

* ამერიკელი მწერალი, მეცნიერი და სოვეტოლოგი **ალექს დე ჟონგი** დოკუმენტურ მასალებზე შექმნილ თავის 700-გვერდიან წიგნში „სტალინი“ წერს: **„ჰიტლერს საბჭოთა კავშირი რომ დაემარცხებინა, აღარ იარსებებდნენ რუსები, მაგრამ მათთან ერთად ფრანგებიც, ინგლისელებიც, ამერიკელებიც აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა... ამდენად, სტალინის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა ჩვენგანის არსებობა“.**

* აი რას წერდა რუსული ენის მასწავლებელი **კ. გ. მალაკურბანოვი** 1988 წელს:

„სწორედ ისეთი ადამიანები, როგორიც სტალინია, სჭირდება დღევანდელ გარდაქმნას. იგი მკაცრად სჯიდა ყოველგვარი დარღვევისა და დანაშაულისთვის. სწორადაც იქცეოდა. ასეა საჭირო. ახლა ჩვენთან რაღას არ აკეთებენ: უფრო მეტი დანაშაული, მეტი პროსტიტუცია და ნარკომანია! და სრული განუკითხაობა. სტალინის დროს ასე არ ხდებოდა. მიპასუხეთ, გეთაყვა: დაუშვებდა კი სტალინი იმას, რომ 20 წლის ლაწირაკი თვითმფრინავით წითელ მოედანზე დამჯდარიყო? — არასოდეს, არავითარ შემთხვევაში!“

* ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი **ჰენრი კისინჯერი** წერს:

„სტალინი დემოკრატიული ქვეყნების სხვა ლიდერებზე მეტად იყო მზად, ნებისმიერ დროს შესდგომოდა ძალთა თანაფარდობის ძირფესვიანად შესწავლას და რწმენით, რომ ის იყო მსახური ისტორიული სიმართლისა, რომლის გამოხატულებასაც მისი იდეოლოგია წარმოადგენდა, მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ ინტერესებს; ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადული ინტერესების ტვირთით“.

* „ისრაელის შექმნაში ხელის შეწყობისთვის სტალინს ვაღმერთებდით. ხომ ამბობენ, ებრაელი ჭკვიანი და ეშმაკიაო და ეს მართლაც ასეა, მაგრამ სტალინი ყველა ჩვენგანზე ჭკვიანი აღმოჩნდა, ისეთი ფინანსურ-პოლიტიკური პარტია გაითამაშა, როგორიც მხოლოდ ზე-გროსმაისტერს ეკადრება“, — **გოლდა მეირი** ისრაელის პრემიერმინისტრი 1969-1974 წლებში.

*** აი ჰარი ტრუმენის, ამერიკის შეერთებული შტატების 33-ე პრეზიდენტის, შეფასება:**

„სტალინი უდიდესი პიროვნება იყო კაცობრიობის ისტორიაში, ის ასეთად დარჩება კიდევ დიდხანს. ქვეყნიერების დასასრულამდე, ალბათ, ასე იქნება. მისი მთავარი მონაპოვარი, ფაშიზმის დამარცხებასთან ერთად, არის ის, რომ დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული უზარმაზარი ქვეყანა სუპერსახელმწიფოდ აქცია. მასში მცხოვრები 300 მილიონი ადამიანი კი სოციალურად მართლაც თანასწორია და ისეთი განსხვავება არ არის, როგორც ჩვენს ქვეყანაში“.

**იოახიმ ფონ რიბენტროპი, ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი:**

„ჩვენი მთავარი მტერი საბჭოთა კავშირია, სტალინი კი, როგორც სტრატეგი და სახელმწიფო მოღვაწე, უფრო ნიჭიერია, ვიდრე ჩერჩილი და რუზველტი ერთად“.

**ბერნარდ შოუ, ინგლისელი მწერალი:**

— „განსაცვიფრებელია სტალინის გონება და განათლება. ეს არის დიდი ინტელექტის ადამიანი. მე ვეთაყვანები მას. დიდება დიდ სტალინს! **სტალინი გიგანტია, დასავლეთის სახელმწიფოების სხვა ლიდერები — პიგმეები“.**

ბატონო პრეზიდენტო! თვითკრიტიკის მიზნით, ვინმეს ხომ ვერ მიუმატებდით დიდი ინგლისელი მწერლის ჩამონათვალს?

თქვენდამი მოწერილ ღია წერილში ჩემი უსაყვარლესი ჩეჩენი მწერლისა და თქვენი „კარგი მეგობრის“, **გერმან სადულაევის,** სტალინზე გამონათქვამები უნდა გამოვიყენო. გერმან სადულაევისა, რომელიც ცნობილია, არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ სრულიად მსოფლიოში, როგორც უნიჭიერესი პატრიოტი შემოქმედი, და რომელსაც თქვენ „განსაკუთრებით აფასებთ“:

„სტალინი რთული ისტორიული ფიგურაა, რომელიც ნებისმიერ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს შეიძლება გაუტოლდეს. რაც შეეხება ჰიტლერთან მის შედარებას, ეს გაუმართლებლად მიმაჩნია, რადგან ჰიტლერი სისხლის სამართლის დამნაშავეა თავისი სახელმწიფო პოლიტიკით. ამდენად, ფაშიზმისა და ჰიტლერის შედარება სტალინთან აშკარა შეუსაბამობაა. სტალინი შეიძლება შევადაროთ ჩერჩილს. ჩერჩილის ქმედება, ბენგალიელი ხალხისთვის შიმშილობის მოწყობა, სრულიად გაუმართლებელია. ინგლისელმა ხალხმა ცოტა რამ თუ იცის ამ ენით აუწერელი სისხლიანი ისტორიის შესახებ, მაგრამ მათ წინაშე მუდამ იდგება სისხლიანი ყმაწვილის, ჩერჩილის, სტატუეტი, ფსიქოპათისა, რომელმაც ყოველგვარი მიზეზისა და მიზნის გარეშე დახოცა მილიონობით უდანაშაულო ადამიანი. სტალინმა მეორე მსოფლიო ომში ჩეჩნებზე მიიტანა ეჭვი სამშობლოს ღალატში და გადაასახლა ისინი ყაზახეთში, იმავე პირობებში, როგორშიც ჩეჩნეთში ცხოვრობდნენ. **რას იზამდა მის ადგილას ჩერჩილი? — ჩეჩნებს ადგილზე დახოცავდა. აქედან დავასკვნათ, რომელი რომელს სჯობდა. თუ მეკითხებით, იყო თუ არა სტალინი მკვლელი, გიპასუხებთ, რომ ეს არის ყბედობა და ტყუილი. მას მილიონობით ადამიანი არ დაუხოცავს და, თუ ისტორიკოსები სტალინის მილიონობით მსხვერპლზე წიგნებს წერენ, ეს ყველაფერი სოროსის გამომცემლობის კისერზეა, სწორედ მაგისთვის მაგისი...** იმ პერიოდში შეუძლებელი იყო ქვეყნის მართვა მტკიცე ხელის გარეშე. თუ პაციფისტი ხარ, მაშინ უნდა წახვიდე მონასტერში და ილოცო. თუ ხელისუფალი ხარ და უმაღლესი მხედართმთავარი, უნდა დაამყარო წესრიგი და შეინარჩუნო ქვეყნის უსაფრთხოება... ხელისუფალმა არჩევანი უნდა გააკეთოს ბოროტებასა და ნაკლებ ბოროტებას შორის“.

**ჟურნალისტის კითხვაზე, როგორ უყურებს დღევანდელ ურთიერთობას უკრაინელებსა და დონბასელებს შორის, მაშინ, როდესაც უკრაინელები იცავენ თავიანთი ქვეყნის ერთიანობის ინტერესებს, მწერალმა ასე უპასუხა:**

„მე არ მაინტერესებს მათი პოლიტიკური ფორმულირება. მე ვიცი, რომ უკრაინელები ხოცავენ რუსებს, ესვრიან დონეცკის მშვიდობიან მოსახლეობას. მე არ ვამართლებ არც სტალინურ რეპრესიებს, არავითარ შემთხვევაში, მაგრამ მოვუწოდებ ყველას, არ შეხედონ ისტორიას ერთმნიშვნელოვნად. როდესაც ვსაუბრობთ სტალინურ რეპრესიებზე, იქვე უნდა წარმოვიდგინოთ ჩერჩილი, მილიონობით უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი და მშვიდობიანი მშრომელების დემონსტრაციების ინგლისში ტყვიამფრქვევით. მე არ მწამს დასავლური დემოკრატიისა და სოციალიზმისა. მე არ მინდა ისეთი სოციალიზმი, სადაც მის საყრდენ ძალად წარმოდგენილი იქნება სექსუალური უმცირესობის ყოფითი პირობები, ავანგარდული კულტურა თუ მიგრანტების საკითხის ძირითად თემად განხილვა. ეს არასწორი სოციალიზმია. ჩემთვის ძვირფასია ადამიანი სოციალისტური ღირებულებებით. საბჭოთა საზოგადოებაში ვცხოვრობდით ერთიანი მსოფლმხედველობით, ვიყავით ერთად, გვიყვარდა და ვაფასებდით ერთმანეთს და ეს იყო მთავარი, და არა ჩვენი ეთნიკური წარმომავლობა — ვინ იყო მოლდაველი, რუსი, ქართველი, უკრაინელი თუ პოლონელი. მე სწორედ ეს მინდა, დაბრუნდეს დღესაც. საბჭოთა კავშირი დაანგრიეს მოღალატეებმა და სამშობლოს გამყიდველებმა, მაგრამ ეს ვერ აფერმკრთალებს მის მიერ მოტანილ კეთილდღეობას. ჩვენ ათეული წლების განმავლობაში ვიყავით წარმმართველი ძალა პლანეტაზე. რუსეთის კორუფცირებული ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ სამთავრობო სავარძლებში სხედან, ბურჟუაზიაა და ერთეულთა ინტერესებს ემსახურებიან. მასობრივი გამოსვლები, რომელთა ლოზუნგია „პუტინ, წადი!“ (და ყველაფერი კარგად იქნება), სწორი არ არის... საქმე არ არის პერსონალიებში, საქმეა სისტემა... ყველაზე ახლოს ჩვენთვის, თუმცა არა მთლიანად მისაღები, ჩინეთია. და, თუ რუსეთში ჩინური კანონმორჩილება არ არის, სწორედ ამისთვის იყო საჭირო ის რეპრესიები, რომლებიც ჩატარდა, და რომლებმაც უზრუნველყო კანონის უზენაესობა. მასობრივი რეპრესიები სწრაფად აღადგენს კანონმორჩილებას და სწრაფად შეცვლის ქვეყნის მდგომარეობას უკეთესობისკენ. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ დაუსაბუთებელი და არამოტივირებული რეპრესიების, მაგრამ რეპრესიების აუცილებლობას ვაღიარებ. რაც შეეხება სტალინს, ვამაყობ, რომ ჩემს დიად ქვეყანას მართავდა სტალინი“.

რაც შეეხება დეპორტაციას, ეს ომისა და შავბედობის მძიმე სურათია, რომელიც ერთნაირად მიმდინარეობს დედამიწის ყველა, დიდ თუ პატარა, სახელმწიფოში. კვლავ გახსნა ჭრილობისა, რომელიც უკვე მოშუშებულია, და მისი ხელახლა მკურნალობის დაწყება, სწორად არ მიმაჩნია. და, თუ ეს თქვენთვის საინტერესოა, შემიძლია, დოკუმენტური საარქივო მასალებით წარმოგიდგინოთ სრული სურათი ამ მძიმე წარსულისა, რომელიც არც ჩეჩენ ხალხს წარმოაჩენს დადებით კონტექსტში და არც დეპორტაციის ჩამდენ ქვეყანასა თუ ხელისუფალს, თუ იგი სადმე და ოდესმე მომხდარა. ამ მძიმე მოგონებების დროდადრო გააქტიურებას მოჰყვება ის მძიმე შედეგები, რომლებიც ჩეჩნებმა და ქართველებმა არცთუ დიდი ხნის წინათ კვლავ იწვნიეს. ეს დაკვეთა იყო გარეშე მტრებისა, რომლებმაც განახორციელეს ერთ მუშტად და ერთ ოჯახად შეკრული უზარმაზარი ქვეყნის დაშლა, ეკონომიკურად და პოლიტიკურად მისი განადგურება.

დასასრულ, მინდა, შეგახსენოთ დიდი დაღესტნელი პოეტის, **რასულ გამზათოვის,** სიტყვები: **„თუ წარსულს შურდულით დაუწყებთ კენჭების სროლას, მომავალი, იცოდეთ, ზარბაზნებს დაგიშენთ!“**

**გრიგოლ ონიანი,**
თავმჯდომარე
საერთაშორისო
საზოგადოებისა „სტალინი“




**«სტალინმა მეორე მსოფლიო ომში ჩეჩნებზე მიიტანა ეჭვი სამშობლოს ღალატში და გადაასახლა ისინი ყაზახეთში, იმავე პირობებში, როგორშიც ჩეჩნეთში ცხოვრობდნენ. რას იზამდა მის ადგილას ჩერჩილი? — ჩეჩნებს ადგილზე დახოცავდა»**


გერმან საიდულაევი

**ბერნარდ შოუ, ინგლისელი მწერალი: განსაცვიფრებელია სტალინის გონება და განათლება. ეს არის დიდი ინტელექტის ადამიანი. მე ვეთაყვანები მას. დიდება დიდ სტალინს! სტალინი გიგანტია, დასავლეთის სახელმწიფოების სხვა ლიდერები — პიგმეები**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლუკ კოფის მოხსენების მე-15 რეკომენდაცია — „წინ წაიწიოს შეთანხმებამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აშშ-სა და საქართველოს შორის, თუმცა ქართული ეკონომიკა შედარებით მცირეა“ — სულ ცოტა, ცინიკურია. აშშ-ის საქართველოს ეკონომიკაში ერთი ინვესტიცია არ ჩაუდვია, აქ არც ერთი წარმოება არ გაუხსნია, საქართველოს მხოლოდ იარაღს ატენიდა.**

**არნო ხიდირბეგიშვილი:**

# აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე საქართველოს ნატო არ სჭირდება, მათთან ერთად კი — მით უმეტეს!

## «სააკაშვილმა სამჯერ წერილობით აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, თანაც პირველად — სანამ რუსეთი აღიარებდა»

**28 იანვარს გამოქვეყნდა სტრატეგიული კვლევების ამერიკული ინსტიტუტის The Heritage Foundation-ის მოხსენება „ნატოს წევრობა საქართველოსთვის: აშშ-ისა და ევროპის ინტერესებში“ (NATO Membership for Georgia: In U.S. and European Interest), რომლის ავტორია დუგლას და სარა ელისონების სახელობის საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორი ლუკ კოფი (Luke Coffey). მოხსენების პრეზენტაცია თბილისში, სასტუმრო Rooms Hotel Tbilisi-ში გაიმართა 8 თებერვალს. თუ ზემოხსენებული ინსტიტუტი და მოხსენების ავტორი თეთრი სახლის ადმინისტრაციაში და პირადად პრეზიდენტ დონალდ ტრამპისთვის მართლა სარგებლობენ ავტორიტეტით, მინდა, ღრმა თანაგრძნობა გამოვხატო ამერიკელი ხალხის მიმართ. მოხსენების 14-ვე რეკომენდაცია, რომელთაგან მე-5 გულისხმობს „საქართველოს სასწრაფოდ შესვლას ნატოში MAP-ის გარეშე, მაგრამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშეც“, რომლებზეც კოლექტიური უსაფრთხოებისა და თავდაცვის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლები, ავტორის ჩანაფიქრით, არ უნდა გავრცელდეს, თავისი პრიმიტიულობით, დილეტანტობითა და უცოდინარობით გვაოცებს.**

* **„10 წელია, მესმის საქართველოს სწრაფვაზე ნატოსკენ — კრეატიული, პრაგმატული გადაწყვეტილებების დრო დადგა!“** — „ველოსიპედს იგონებს“ **ლუკ კოფი**, რომელსაც მანამდე საქართველო და კავკასია, ალბათ, მხოლოდ რუკაზე თუ უნახავს, თორემ ეცოდინებოდა, რომ ქართველებისთვის სოხუმი და ცხინვალი იგივეა, რაც ყარაბაღი აზერბაიჯანელებისა და სომხებისთვის, და რომ, თუ ქართველები ამ ტერიტორიების დასავიწყებლად ყაბულს იქნებოდნენ, ნატოში შესასვლელად 10 წლის ლოდინი არ დასჭირდებოდათ. ამიტომ კოფის მხრიდან **გერმანიის,** რომელიც ჯერ ნატოში შევიდა და შემდეგ გაერთიანდა; თურქეთისა და საბერძნეთის, რომლებიც ნატოში შევიდნენ, მაგრამ კვიპროსის გამო ტერიტორიული დავა არ გადაუწყვეტიათ და, მით უმეტეს, დიდი ბრიტანეთის პროტექტორატების — ფოლკლენდისა და ბაჰამის კუნძულების, მოყვანა მაგალითებად კავკასიის ყველა ხალხის მიმართ არაკორექტული და უაღრესად არაპროფესიული იყო.

* **„რისთვის სჭირდება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ნატოს დაცვა, თუკი საქართველომ ოკუპირებულ რეგიონებზე კონტროლის აღდგენის მიზნით ძალის გამოუყენებლობის შესახებ განაცხადა?!“** — უკვირს ლუკ კოფის, რომელმაც არც კი იცის, რომ საქართველო, უკვე 10 წელია, უარს ამბობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რადგან მიაჩნია, რომ ეს სამართლებრივად დამოუკიდებელ სუბიექტებად მათი აღიარების ტოლფასია.

მეტიც — მიამიტ კოფის არ ესმის, რომ ამ ფრაზით საქართველოს აგრესორად აღიარებს და, პრაქტიკულად, ამბობს, რომ საფრთხე „აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს“ მხოლოდ საქართველოსგან ემუქრება, ანუ, თუკი საქართველომ პირობა დადო, რომ მათ თავს არ დაესხმება, ესე იგი, ნატოს დაცვაც არ სჭირდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ კოფის მიერ ნახსენები „აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი“, საქართველოსა და რუსეთის გარდა, არავის ესაზღვრება, მაშასადამე, კოფი აღიარებს, რომ რუსეთისგან მათი დაცვა საჭირო არ არის — რუსეთი თვითონ, ნატოს გარეშე, საიმედოდ იცავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საქართველოსგან. აი, რას ნიშნავს ლუკ კოფის მიამიტური სიტყვები, სხვაგვარი ინტერპრეტაცია აქ შეუძლებელია.

* **„ბიძგი მიეცეს რუსეთს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმების ფარგლებში ვალდებულებების შესრულებისკენ. სრულიად მიუღებელია, რომ თითქმის 10 წლის შემდეგ რუსეთი უწინდებურად არ იცავს მთლიანად შეთანხმებას“,** — გვეუბნება მოხსენების მე-2 რეკომენდაცია, რომლითაც კოფი ისევ უწევს „დათვურ სამსახურს“ საქართველოს. მედვედევი-სარკოზის გეგმაზე ლუკ კოფის წარმოდგენაც არ აქვს, თორემ ეცოდინებოდა, რომ თავდაპირველად ამ დოკუმენტის მე-6 პუნქტი ასე გამოიყურებოდა: **„სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მომავალი სტატუსის საკითხებზე საერთაშორისო მსჯელობის დაწყება“,** ანუ რუსეთისა და **სარკოზისთვის** იმხანად მთავარი იყო ომის შეჩერება, ხოლო „სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსის“ განსაზღვრის საკითხის შემდეგისთვის გადატანა და მისი კოლექტიურად — „საერთაშორისო მსჯელობის“ გზით გადაწყვეტა, მაგრამ **15 აგვისტოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ეს პუნქტი ხელმოწერისას ამოშალა, რასაც რუსეთი დაუყოვნებლივ დათანხმდა და მედვედევმა დოკუმენტს ხელი მეორე დღესვე — 16 აგვისტოს, მოაწერა. 10 დღის შემდეგ კი, ანუ 2008 წლის 26 აგვისტოს, რუსეთმა მათი სტატუსი ერთპიროვნულად განსაზღვრა.** აი, რატომ ცნო მაშინვე ნატოს იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა **იააპ დე ჰოოპ სხეფერმა** მედვედევ-სარკოზის გეგმა „მიუღებლად“, ხოლო საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, ეს გეგმა საერთოდ არ ახსენოს.

**„მიშა, რატომ გადახაზე მე-6 პუნქტი?!“** — გაოცებით ეკითხებოდნენ სააკაშვილს მისი უახლოესი გარემოცვის წარმომადგენლებიც.



ბენ ჰოჯესი და ლევან იზორია

კი. მიშა ეშმაკურად პასუხობდა: **„აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსის არანაირი განხილვა მომავალში არ იქნება, იმიტომ, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს განუყოფელი ნაწილია! “** და, ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელზეც უკვე იყო ორი ხელმოწერა — **„აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში“ და „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი“. ბაღაფშმა და კოკოითმა დოკუმენტს ხელი სააკაშვილამდე ერთი დღით ადრე მოაწერეს — 14 აგვისტოს. ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს — ხელმომწერთა სტატუსის და მათ მიერ მართული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებას.**

თუნდაც ვივარაუდოთ, რომ პოლიგლოტ სააკაშვილს 15 აგვისტოს „შემთხვევით“ შეეშალა — შიშისგან ბევრი ჰალსტუხი შემოეჭამა ან დაავიწყდა ფრანგული ენა, რომელზეც დოკუმენტი იყო შედგენილი, მაშინ **რატომ არ გამოასწორა თავისი შეცდომა 8 სექტემბერს, როდესაც სარკოზი პრეზიდენტ მედვედევთან მოსკოვისპირას ჩაფრინდა გადაკეთებული, ანუ „მოდიფიცირებული მედვედევ-სარკოზის გეგმის“ ხელმოსაწერად?!** მეტიც — მაშინ სარკოზიმ მედვედევს გადასცა სააკაშვილის წერილი, რომელშიც საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულებას იღებდა, ეს კი ნიშნავს, რომ **სააკაშვილმა უკვე მეორედ აღიარა მათი დამოუკიდებლობა** — ახლა უკვე რუსეთის აღიარების შემდეგ.

**სააკაშვილს, როგორი არანორმალურიც უნდა იყოს, საერთაშორისო სამართლის იურისტის უკრაინული და ამერიკული სერტიფიკატები აქვს და ამიტომ შეუძლებელია, არ სცოდნოდა, რომ საერთაშორისო სამართალში ერთი ქვეყნის მიერ აღიარებაც საკმარისია, რომ ტერიტორია დამოუკიდებლად იქნას ცნობილი, მაგრამ ნუთუ ეს არ იცის ამ ახირებულმა ლუკ კოფიმ?!** ან იქნებ, როცა თავისი მოხსენების მე-5 რეკომენდაციაში **„საქართველოს მიერ ოკუპირებულ რეგიონებზე კონტროლის აღდგენის მიზნით ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღებაზე“** ლაპარაკობს, მხედველობაში სააკაშვილის მიერ მედვედევისთვის მიწერილი სწორედ ის წერილი აქვს?!

**მესამედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა (თანაც ისევ წერილობით) სააკაშვილმა 2011 წლის 9 ნოემბერს აღიარა, როდესაც ხელი მოაწერა საქართველო-რუსეთის საზღვარზე ტვირთების საბაჟო ადმინისტრირებისა და ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმების შესახებ შეთანხმებას** (ვითომდა, დათმობას რუსეთის მხრიდან, რომელმაც სანაცვლოდ საქართველოსგან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად აუცილებელი ხმა მიიღო). **„აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია, ამიტომ საქართველო-რუსეთის საზღვარი გადის მდინარე ფსოუზე და როკის გვირაბზე და ვერავითარი კითხვათსხვაობა აქ ვერ იქნება!“** — ცრუობდა სააკაშვილი კომპეტენტური შეკითხვების პასუხად, რის გამოც შეთანხმება დღემდე ძალაში არ შევიდა. შედეგად რუსეთმა მიიღო მსო-ც და შეთანხმებაც, რომლის გამოც საქართველო დღეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საზღვრების აღიარების დილემის წინაშე დგას.

თუ სააკაშვილი რუსეთს ოკუპანტად აღიარებდა, მაშინ რატომ უწყობდა ხელს რუსული ეკონომიკის განვითარებას და რუსეთს ხმას აძლევდა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად?! გამოდის, აშშ და ევროპა რუსეთს ეკონომიკურ სანქციებს უწესებენ ყირიმის ოკუპაციის გამო, სააკაშვილი კი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციისთვის რუსეთს ამდიდრებდა და, მსო-ში შესასვლელად, ხმის გარდა, ქართული ეკონომიკის თითქმის ყველა სტრატეგიულ ობიექტს ერთმანეთის მიყოლებით გადასცემდა.

* და განა სააკაშვილმა არ შემოიღო ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** მიერ დაკანონებული ტერმინ „სამაჩაბლოს“ ნაცვლად?! **„სანამ ხელისუფლებაში მე მოვიდოდი, ქართულ პოლიტიკაში ითვლებოდა, რომ ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ გამოყენება სრული თვითმკვლელობაა! პირველად მე გამოვიყენე ეს ტერმინი, პირველად მე შევთავაზე ღიად ოსებს ავტონომია, თუმცა ამაზე მინიშნებაც კი სახიფათო იყო, ან ითვლებოდა, რომ ეს სახიფათოა!“** — ტრაბახობდა სააკაშვილი **სოფიკო შევარდნაძისა** და **ვიტალი დიმარსკისთვის** მიცემულ ინტერვიუში „ეხო მოსკვის“ ეთერში ჯერ კიდევ 2007 წლის იანვარში. მაგრამ ლუკ კოფის, როგორც ჩანს, ფაქტების ელემენტარული კონსტატაციაც არ ძალუძს. მისი მოხსენების მე-14 რეკომენდაცია მიუთითებს: **„შეთანხმება ეკონომიკური სანქციების პირობით პაკეტზე, რომელიც ავტომატურად შევა ძალაში აფხაზეთის ან ცხინვალის რეგიონის რუსეთთან შეერთების შემთხვევაში. აშშ-მა მკაფიოდ უნდა განუცხადოს რუსეთს, რომ ნებისმიერი განდგომილი რეგიონის ანექსია გამოიწვევს ეკონომიკური სანქციების გაძლიერებას, რომლებიც საკვანძო რუს მოხელეებზეა მიმართული“.**

აბა, ამის შემდეგ „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

* ამ ფონზე ლუკ კოფის მოხსენების მე-15 რეკომენდაცია **„წინ წაიწიოს შეთანხმებამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აშშ-სა და საქართველოს შორის, თუმცა ქართული ეკონომიკა შედარებით მცირეა“** — სულ ცოტა, ცინიკურია. **აშშ-ს საქართველოს ეკონომიკაში ერთი ინვესტიცია არ ჩაუდვია, აქ არც ერთი წარმოება არ გაუხსნია, საქართველოს მხოლოდ იარაღს ატენიდა.** ამასთანავე, **რუსეთი, ქართული ეკონომიკის ყველა** ▶

**„მიშა, რატომ გადახაზე მე-6 პუნქტი?!“ — გაოცებით ეკითხებოდნენ სააკაშვილს უახლოესი გარემოცვის წარმომადგენლებიც კი. მიშა ეშმაკურად პასუხობდა: „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სტატუსის არანაირი განხილვა მომავალში არ იქნება, იმიტომ, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს განუყოფელი ნაწილია! “ და, ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელზეც უკვე იყო ორი ხელმოწერა — „აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში“ და „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი“. ბაღაფშმა და კოკოითმა დოკუმენტს ხელი სააკაშვილამდე ერთი დღით ადრე მოაწერეს — 14 აგვისტოს. ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს: ხელმომწერთა სტატუსისა და მათ მიერ მართული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებას.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **დარგში რუსული სახელმწიფო და კერძო კომპანიების ინვესტიციების გარდა, საქართველოს მეორე მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია და ლიდერი რუსი ტურისტების რაოდენობითა და საქართველოში ფულადი გადმორიცხვებით. მაგრამ ის, ვინც საქართველოში რუსეთს ოკუპანტს ეძახის და გამუდმებით საყვედურობს, რომ ის ჩვენთვის სავიზო რეჟიმს არ აუქმებს, აშშ-ს მეგობარს უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც საბჭოთა პერიოდში, ამერიკის ვიზის მიღება საქართველოს რიგითი მოქალაქისთვის ახლაც შეუძლებელია.** ამბობენ, რომ რუსეთის ვიზის ურიგოდ და გარანტირებულად მიღებაში ყველასთვის ცნობილი „ბნელი პიროვნებები“, რომლებიც თბილისში რუსეთის საკონსულოს შენობასთან დაძრწიან, 200-300 დოლარს იღებენ, მაგრამ სხვა „საქმიანები“ ხომ ამერიკული ვიზის მიღებაში დახმარებისთვის 5, 10 და 15 ათას დოლარსაც რომ ართმევენ?! თუმცა შემდეგ, უმეტეს შემთხვევაში, „გადაგდებასაც“ არ ერიდებიან.

* სრულიად კომიკურია თეზისი მოხსენების პრეამბულიდან: **„ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2018 წელი იქნება ის წელი, როდესაც საქართველო, ბოლოს და ბოლოს, მიიღებს ნანატრ „ჯაველინის“ ტანკსაწინააღმდეგო სისტემებს, რაც აშშ-ისა და საქართველოს ორმხრივ ურთიერთობაში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება;** და მე-3 რეკომენდაცია — **„საქართველოს მიეწოდოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები. მართალია, ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილება კარგი პირველი ნაბიჯია, მაგრამ შესაძლებელია მეტი ძალისხმევა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად“.**

წამყვანი ამერიკელი ექსპერტი საქართველოს საკითხებში — ლუკ კოფი, რომელიც განსაკუთრებული პატივით მიიღო პრეზიდენტმა **მარგველაშვილმა,** როგორც ჩანს, საქმის კურსში არ არის, რომ ფრანგული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებიც და ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებიც, უკვე დიდი ხანია, საქართველოშია და, ქვეყნის თავდაცვის მინისტრ **ლევან იზორიას** 2017 წლის 20 დეკემბრისა და 2018 წლის 23 იანვრის განცხადებებით, **„საიმედო ადგილას ინახება“.**

და ეს ამერიკული ნაგავი, რომელიც 100-ჯერ უფრო ძვირი და 2-ჯერ ნაკლებ ეფექტიანია, ვიდრე რუსული და თუნდაც ქართული ანალოგები — **РПГ-7,** ამერიკელი პარტნიორების საჩუქარი კი არა, გალატაკებული ქართველი ხალხის ფულით არის შეძენილი — სახელმწიფო ბიუჯეტის თანხით, რომლის 2%-ის დახარჯვას ნატო და აშშ საქართველოს თავდაცვაზე აიძულებენ, 20%-ის — ჩამოწერილი შეიარაღების ყიდვაზე იმისთვის, რომ **„რუსეთისთვის მოუნელებელი ლუკმა გახდეთ, სანამ ჩვენ მოგისწრებთ“,** როგორც „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში განაცხადა ევროპაში აშშ-ის არმიის ყოფილმა სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა **ბენ ჰოჯესმა.**

**სხვათა შორის,** სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, როცა ამ უწყებას ხელმძღვანელობდნენ **ოქრუაშვილი** და **კეზერაშვილი,** უზარმაზარი თანხები „თეთრდებოდა“ არასაჭირო ან მოძველებული იარაღების შესასყიდად, რომლებიც შემდეგ ან მესამე ქვეყნებში გაყიდეს („ისლამურ სახელმწიფოსაც“ მიჰყიდეს), ან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჩამოწერეს. აი, რატომ აცხადებდა სააკაშვილი, რომ ის ომი მოიგო — რა თქმა უნდა, მოიგო, რადგან იმ ავანტიურაზე უსინდისოდ გამდიდრდა.

დასასრულ, არ შემიძლია, გვერდი ავუარო ლუკ კოფის მოხსენების სამ — მე-6, მე-7 და მე-8 ფრიად უცნაურ რეკომენდაციებს. **„შემუშავდეს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონისთვის“; „ნატოსთან ერთად ჩატარდეს სამუშაო, რათა საქართველოში გაიხსნას შავი ზღვის უსაფრთხოების სერტიფიცირებული, მოწინავე გამოცდილების ცენტრი, რომლის პრეცედენტი არ იარსებებს“; „წინადადება მიეცეს საქართველოს, სამხედროები პოლონეთში აშშ-ის მეთაურობით მრავალეროვნულ ბატალიონში გაგზავნოს ნატოს რეაგირების ძალებში სამსახურისთვის, სადაც ჯერჯერობით არც ერთ მოკავშირეს თავისი ჯარები არ გაუგზავნია“.**

**მხოლოდ გონებრივად ჩამორჩენილ და საქართველოსგან ძალზე შორს მდგომ ადამიანს შეუძლია, მისი მოქალაქეების გაჭირვებით ისარგებლოს და ერაყსა და ავღანეთში დანაკარგების შემდეგ (32 დაღუპული, 290 დაჭრილი), ცენტრალური აფრიკისა და ბალკანეთის შემდეგ ქართველებს პოლონეთში გამგზავრებისკენ მოუწოდოს აშშ-ის მეთაურობით ნატოს რეაგირების ძალების ბატალიონში სამსახურისთვის.**

რაც შეეხება ცენტრების გახსნასა და შავი ზღვის სტრატეგიას, გაუგებარია, რატომ არ აქვს ასეთი ცნობილი ამერიკული ინსტიტუტის მომხსენებელს ინფორმაცია, რომ წელს საქართველოს 2011 წლიდან აქ მიმდინარე ნატოს სწავლება Agile Spirit-ში საზღვაო კომპონენტი შეაქვს? და, რომ თავისი საზღვაო პორტებით (რომლებსაც მალე კიდევ ერთი დაემატება) ლამის აშშ-ის ფორპოსტადაა გამოცხადებული ნატოს შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციაში? რომ საქართველოში ყოველწლიურად ტარდება ნატოს კიდევ ერთი საერთაშორისო სამხედრო სწავლება Noble Partner? რომ წელს აშშ-ის ხელმძღვანელობით საქართველომ უკვე დაიწყო თავდაცვის მზადყოფნის 3-წლიანი პროგრამა, რომელშიც ტერიტორიული დაცვის სწავლებაც შედის? რომ კრწანისში უკვე არსებული ნატო-საქართველოს სწავლებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) გარდა, 2018 წლის მაისში საქართველოში გაიხსნება აშშ-ის საბრძოლო მომზადების ცენტრი ვაზიანში — ხოხენფელსის (გერმანია) ბაზის ანალოგი?

და **ყოველივე ზემოჩამოთვლილის მიუხედავად, საქართველოს არა მხოლოდ ნატოში არ იღებენ, არამედ MAP-საც კი არ აძლევენ, იმიტომ, რომ მან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ აღიარა. ხოლო, თუ საქართველო აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შეურიგდება, რომლებისთვისაც ნატო მიუღებელია, მაშინ საქართველოს ნატო საერთოდ აღარ სჭირდება.**

რაც შეეხება კოფის განცხადებას, რომ კულუარულ საუბრებში საქართველოს ოფიციალური პირები მზად არიან კომპრომისზე ალიანსის წევრობის გამო, ამას ზოგიერთი სახელისუფლო სტრუქტურის ხელმძღვანელის თავშეკავებულ-ნეგატიური კომენტარი მოჰყვა, ქართულმა მედიამ კი თბილისში კოფის მოხსენების პრეზენტაცია თითქმის არ გააშუქა. და პირიქით — ოპოზიცია და საქართველოს პრეზიდენტი კოფის გეგმას — „ნატო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე“ — კეთილგანწყობით შეხვდნენ. სწორედ ამიტომ აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის დირექტორ **დენიელ კოუტსის** მოხსენებაში „მსოფლიო საფრთხეების შეფასება“ (Worldwide Threat Assessment) აღნიშნულია, რომ „მმართველი პარტია — „ქართული ოცნება“ ოპოზიციის ჩიხში შეყვანას ცდილობს“.

რამდენიმე დღის წინათ კი ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** მიუნხენში გამართულ უსაფრთხოების 54-ე კონფერენციაზე საქართველო რეფორმების იმპლემენტაციისთვის შეაქო და აღნიშნა, რომ **„ნატოს წევრობისთვის მისი მზადყოფნის საკითხს ალიანსის წევრი 29-ვე ქვეყანა გადაწყვეტს“. ანუ, წევრობის ან თუნდაც MAP-ის შანსი 2018 წლის 11-12 ივლისს ნატოს ბრიუსელის სამიტზე საქართველოს უწინდებურად არ აქვს, რადგან მას ტერიტორიული პრობლემები აქვს, ალიანსის წევრებს კი საქართველოს გამო რუსეთთან გართულებები არ სურთ.** რაც შეეხება ლუკ კოფის გეგმას, სტოლტენბერგისთვის ის მიუღებელია: **„ნატოში შესვლა გულისხმობს მე-5 მუხლს, ეს ალიანსის მთავარი ძალაა! ჩვენ ვეყრდნობით მიდგომას — ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის! — თუმცა საქართველო, როგორც არაწევრი ქვეყანა, ჩვენი ძალიან ახლო პარტნიორია. ალიანსი უკვე ძალზე ძლიერად არის წარმოდგენილი საქართველოში“.**

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი**



მარგველაშვილის და მისი ადმინისტრაციის შეხვედრა ლუკ კოფისთან

**ეს ამერიკული ნაგავი, რომელიც 100-ჯერ უფრო ძვირი და 2-ჯერ ნაკლებეფექტიანია, ვიდრე რუსული და თუნდაც ქართული ანალოგები — РПГ-7, ამერიკელი პარტნიორების საჩუქარი კი არა, გალატაკებული ქართველი ხალხის ფულით არის შეძენილი — სახელმწიფო ბიუჯეტის თანხით, რომლის 2%-ის დახარჯვას ნატო და აშშ საქართველოს თავდაცვაზე აიძულებენ, 20%-ის — ჩამოწერილი შეიარაღების ყიდვაზე იმისთვის, რომ «რუსეთისთვის მოუნელებელი ლუკმა გახდეთ, სანამ ჩვენ მოგისწრებთ», როგორც «ამერიკის ხმასთან» ინტერვიუში განაცხადა ევროპაში აშშ-ის არმიის ყოფილმა სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა ბენ ჰოჯესმა**

**P.S.** მიუხედავად იმისა, რომ ლუკ კოფის წამოწყება ჩაფლავდა, ის ლაკმუსის ქაღალდი აღმოჩნდა, რომელმაც აჩვენა:

1. საქართველოში ნატოს წევრობის გამო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების პერსპექტივის დასავიწყებლად მზად არ არიან;

2. საქართველოს ხელისუფლება, რომელიც წლებია, გვპირდება ნატოში საქართველოს შესვლას, ქართველ ხალხს ატყუებდა, იმიტომ, რომ ალიანსი, მისიებში კონტრიბუციის მიუხედავად, სადაც ქართველი სამხედროები იღუპებიან, საქართველოს არ მიიღებს, სანამ აქ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს არ დაივიწყებენ და თავისი რეალური საზღვრების შესახებ არ აცნობებენ;

3. იმის მიუხედავად, იქნება თუ არა საქართველო ნატოში, ნატო იქნება საქართველოში, იმიტომ, რომ ეს „აშშ-ისა და ევროპის ინტერესებშია“, რაზეც საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორის, ლუკ კოფის, მოხსენების სათაურიც მიუთითებს (იხ. პუბლიკაციის პრეამბულა). იმიტომ, რომ, სირიაში ვითარების სტაბილიზაციასთან ერთად, მოხდება სიტუაციის დესტაბილიზაცია კავკასიაში და დაპირისპირების ხაზი „აშშ-რუსეთი“ ახლო აღმოსავლეთიდან შავი ზღვის რეგიონში გადმოინაცვლებს, რასაც აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის დირექტორის — დენიელ კოუტსის მოხსენება მოწმობს.

**P.P.S.** სტრატეგიული კვლევების ამერიკული ინსტიტუტის — **The Heritage Foundation**-ის და დუგლას და სარა ელისონების სახელობის საგარეო პოლიტიკის ცენტრის დირექტორის — ლუკ კოფის შესახებ ჩვენ კიდევ მოვისმენთ. ა.წ. მაისის ბოლოს თბილისში გაიმართება მისი მოხსენების მეორე ნაწილის პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, არის მისადაგებული (ცინიზმს მართლაც რომ არ აქვს საზღვარი) და რომელიც, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს საშინაო მდგომარეობის ანალიზს ეძღვნება — პოლიტიკურ სპექტრს და სახელისუფლო ინსტიტუტებს, საზოგადოებას, სასამართლო სისტემასა და მედიას ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. „სტრატეგიული გამოკვლევის“ საფუძველზე, როგორც ჩანს, ისევ მიეცემა რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას, აშშ-ის კონგრესსა და სახელმწიფო დეპარტამენტს, აგრეთვე, ნატოს ხელმძღვანელობას „საქართველოსთვის დახმარების გაწევის მიზნით“ — სხვადასხვა სეგმენტში სამუშაოების ჩატარება და ფინანსური მხარდაჭერა, კანონის უზენაესობის, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, არასამთავრობო სექტორი, დემოკრატიული განვითარება და სტაბილურობა „რუსული ოკუპაციის“ პირობებში, „რუსული პროპაგანდის“ საპირისპიროდ და „ევროპული ღირებულებებისა და ევროატლანტიკური კურსის“ გასაძლიერებლად.

კომპეტენტური წყაროების ინფორმაციით, საქართველოს შესახებ „სტრატეგიულ გამოკვლევას“ ინსტიტუტი The Heritage Foundation-ი ახორციელებს, აშშ-ის მთავრობის გრანტის ფარგლებში აშშ-ის დემოკრატიის ნაციონალური ფონდისა (NED) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხაზით.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველებო, დროა, გამოვფხიზლდეთ, თუნდაც ერთი შვილით მეტი გავაჩინოთ და გადავარჩინოთ საქართველო. თუ ასე არ მოვიქცევით, ისტორია და უფალი არ გვაპატიებს. ნუ დავუტოვებთ ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ქვეყანას უცხოტომელებს, რომლებმაც უკვე შემოდგეს ფეხი ჩვენს მიწაზე. მარად გვახსოვდეს: „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!“, „სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა!“, „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!“**

# გადავარჩინოთ უფსკრულის პირას მისული სამშობლო

**სულით ხორცამდე შემძრა ცნობილი მეცნიერის, დემოგრაფის, პროფესორ ანზორ თოთაძის სტატიამ, რომელიც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ (2018 წლის 14-20 თებერვლის ნომერში) გამოქვეყნდა და რომელიც ჩვენი ქვეყნის სავალალო დემოგრაფიულ ვითარებას, სავალალო მომავალს ეხება. მსურს, გულწრფელი მადლობა გადავუხადო ბატონ ანზორს ამ უპირველესი ეროვნული პრობლემის გასაჯაროებისთვის. სავსებით მართებულია, რომ სტატიის სათაურია „განგაშის ზარი“; მაგრამ მხოლოდ განგაშის ზარების დარისხება ამ ეროვნული მნიშვნელობის პრობლემას ვერ მოაგვარებს და საფრთხეს თავიდან ვერ აგვაცილებს, თუ ამ ზარების ხმა ქართველმა ერმა ყურად არ იღო, არ გაითავისა და მას კონკრეტული ქმედებებით არ უპასუხა.**

საქართველოში დემოგრაფიული ვითარება ტრაგიკულია: მიმდინარეობს დეპოპულაციის პროცესი, ანუ მეტი კვდება, ვიდრე იბადება; მოსახლეობა ბერდება, ანუ ხანდაზმულთა წილი აღემატება ახალგაზრდების წილს; მცირდება ქორწინებების და იზრდება განქორწინებების რაოდენობა; საგანგაშოა ემიგრაცია, რომელშიც ძალზე მაღალია ახალგაზრდობის, ფერტილურ ასაკში მყოფთა წილი, საზღვარგარეთ ბევრი ქორწინდება და იქმნება ე.წ. შერეული ოჯახები, ერს ეკარგება პოტენციური ერისშვილები და სხვ.

თუ არ გამოვფხიზლდებით და ეს დემოგრაფიული ვითარება ერმა და ბერმა, ყოველმა მოქალაქემ ეროვნულ ტკივილად არ გავითავისეთ, შესაბამისად არ ვიმოქმედეთ, გადაშენების საფრთხე დაგვემუქრება. თუ დღეს ქართველები საქართველოს მოსახლეობის 83 პროცენტი ვართ, სავალალო პერსპექტივაში ეროვნულ უმცირესობად ვიქცევით. ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან, მაგრამ ღმერთიც ვერ გვიშველის, თუ ამ სენისგან განსაკურნებლად თითოეულმა ქართველმა თავისი პატრიოტიზმი კონკრეტული ქმედებებით არ გამოხატა.

მხოლოდ ორ საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას, და, ვფიქრობ, არა მხოლოდ ჩემს აზრს გამოვხატავ, რა არ უნდა დაგვავიწყდეს და კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს, ქართველი ერი გადაშენებას რომ გადაურჩეს:

**1. არ უნდა დაგვავიწყდეს და ყოველთვის გვახსოვდეს:**

* ვინ ვართ და საიდან მოვდივართ, რა ისტორიული გზა გამოვიარეთ;

* ქართველი ერის გადაშენება დანაშაული იქნება კაცობრიობის წინაშე, ჩვენ ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ. ვერ გაგვანადგურა ვერც **თემურ ლენგმა**, ვერც **შაჰ აბასმა** და სხვა დამპყრობლებმა; ქართველის ხელმძღვანელობით თავისივე ბუნაგში მიწასთან იქნა გასწორებული ფაშიზმი, რასაც 300 ათასი ქართველი შეეწირა; ჩვენ გვყავდნენ: **ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, ცოტნე დადიანი, ქეთევან დედოფალი, თევდორე მღვდელი, დემეტრე, ცოტნე დადიანი, შოთა რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა** და საქართველოსთვის თავდადებული უამრავი გმირი; მე-13 საუკუნის დასაწყისში ქვეყანა ააღორძინა თამარ მეფემ, რომელმაც შექმნა პარლამენტი და აკრძალა სიკვდილით დასჯა (აშშ-სა და ევროპის ბევრ ქვეყანას დღემდე არ ჰყოლია ქალი მეფე თუ პრეზიდენტი, არც სიკვდილით დასჯაა ყველგან გაუქმებული, მათ შორის აშშ-ის რამდენიმე შტატში);

* რა **დემოგრაფიული პროცესები** მიმდინარეობს საქართველოში და მათგან რომელია ყველაზე საგანგაშო და დროულად გადასაწყვეტი;

* **რამდენი ვართ სულ ქართველები**, მათ შორის, უცხო ქვეყნების დიასპორებში, და რა სოციალურ-დემოგრაფიული პროცესებია იქ;

* **ეთნიკურად როგორი ვითარებაა დღეს საქართველოს იურისდიქციაში არსებულ ტერიტორიებზე ქართველების დასახლების მხრივ**. რა ხდება და რა შეიძლება მოხდეს ქვემო ქართლსა და ჯავახეთში; სამარცხვინოა და ჩვენი ბრალიც ხომ არ არის, რომ ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების უმრავლესობამ ქართული ენა არ იცის და რეალურად მოწყვეტილია საქართველოს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას;

* როგორ, რა გზითა და ფორმით უნდა **დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო,** როგორ შეიძლება დავეხმაროთ ლტოლვილებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღემდე მცხოვრებ ქართველობას;

* არ უნდა წაგვლეკოს მსოფლიოში მიმდინარე **გლობალიზაციის პროცესმა**; ეს პროცესი, უპირველესად, მცირერიცხოვანი ერების საფრთხეა; უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ეროვნულ ფასეულობებსა და სულიერ საზრდოს; როგორ შეიძლება დაიკარგოს მსოფლიოში 14 ორიგინალური, თვითმყოფადი ანბანიდან ერთ-ერთი ულამაზესი და ძველი — ქართული; ეს ხომ დიდი ცოდვა იქნება? მაგრამ, თუ გადავშენდით, ჩვენი და კაცობრიობის ეს სიმდიდრე მხოლოდ სევდიან მოგონებად დარჩება მსოფლიოს ისტორიაში;

* **ანგელოზი ხალხი არ არსებობს**, ყველას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე; რამდენიმე უცხოურ წიგნსა და უცხოელებთან ინტერვიუში, ქებასთან ერთად, აღნიშნულია, რომ ქართველები ე.წ. **აიდიოსინქრონულები** ვართ, რაც, უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, ურთიერთგამომრიცხავ, ურთიერთშეუთავსებელ, ურთიერთსაწინააღმდეგო ქცევასა და აზროვნებას ნიშნავს; მაგრამ არა მგონია, ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, რომ ქართულ გენში დადებითი, პოზიტიური სჭარბობს ნეგატიურს, ანუ სიყვარული — სიძულვილს, სიკეთე — ბოროტებას, შენების ნიჭი — ნგრევისას და ა.შ. სხვანაირად რომ იყოს, მამაზეციერი აქამდე არ მოგვიყვანდა; ეს და ჩვენი სულის ძახილი კვლავ გადაგვარჩენს, თუ ყველაფერს ეროვნული ინტერესებით შევხედავთ, ლანძღვისა და ჯიჯგნის ნაცვლად ერთმანეთს ხელს გადავხვევთ და კონკრეტული, ყველაზე აქტუალური, ეროვნული მნიშვნელობის პრობლემების მოგვარებას შევუდგებით;

* არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი ტრაგიკული მოვლენაც — **ოჯახის შიმშილისგან გადასარჩენად ქართველ ქალთა მასობრივი მიგრაცია** სხვა ქვეყნებში და, ძირითადად, ხელის მოსამსახურეებად, ლოგინად ჩავარდნილ მოხუცთა მომვლელებად მუშაობა. არც ისე იშვიათად მათ საროსკიპოებშიც შეხვდებით; და ეს მაშინ, როცა ქართველ ქალს ოდითგან უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა შინ და გარეთ; საკმარისია გავიხსენოთ: „იმ ერს დარი უდგას, ვისაც კარგი ქალები ჰყავს“ (აკაკი), „საქართველო მზეთუნახავთა ორანჟერეაა“ (ემანუილ კანტი), „ქართველი ქალების უმეტესობას ისეთი ხიბლი აქვს, რომელსაც ვერსად ნახავთ“ (ჟან შარდენი).

აქ უნდა გავიხსენო 1978-1979 წლებში სირიაში გაეროს ექსპერტად მუშაობისას ახალგაზრდობიდან იქ მცხოვრები დიდი ქველმოქმედისა და საქართველოს პატრიოტ **ლევან საღარაძის** მონაყოლი: გასული საუკუნის 30-იან წლებში სიყვარულით გულაცრუებული საქართველოდან რომ გავიქეცი, საზღვრის გადაკვეთისას თურქებმა დამაკავეს, ერთ სოფელში, ამ სოფლის თავთან ოჯახში მიმიყვანეს და იატაკზე დამსვეს. სოფლის თავს სამი შვილი ჰყოლია, სამივე გოგო და თურმე მეოთხე შვილს, რასაკვირველია, ბიჭს ელოდებოდა. ამ დროს ოთახში სოფლის თავის დედა შემოვიდა და შვილს ხმამაღლა უთხრა,— შვილო, მეოთხეც გოგო შეგეძინა, მაგრამ არ იდარდო, გურჯ (ე.ი. ქართველ) გოგოსა ჰგავსო.



**საქართველოში დემოგრაფიული ვითარება ტრაგიკულია: მიმდინარეობს დეპოპულაციის პროცესი, ანუ მეტი კვდება, ვიდრე იბადება; მოსახლეობა ბერდება, ანუ ხანდაზმულთა წილი აღემატება ახალგაზრდების წილს; მცირდება ქორწინებების და იზრდება განქორწინებების რაოდენობა; საგანგაშოა ემიგრაცია, რომელშიც ძალზე მაღალია ახალგაზრდობის, ფერტილურ ასაკში მყოფთა წილი, საზღვარგარეთ ბევრი ქორწინდება და იქმნება ე.წ. შერეული ოჯახები, ერს ეკარგება პოტენციური ერისშვილები და სხვ.**

**2. რა გადაარჩენს ქართველ ერს გადაშენებისგან**

* ეროვნულმა სიბეცემ თვითმკვლელობამდე არ უნდა მიგვიყვანოს; ფართო საზოგადოებისა და პროფესიონალების აქტიური მონაწილეობით, ვითარების სიღრმისეული ანალიზის შემდეგ, **მთავრობამ და პარლამენტმა უნდა მოამზადონ და დაამტკიცონ ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია**, სტრატეგია, მისი განხორციელების პროგრამები და გეგმები, მათ შორის, რეგიონების მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით; აუცილებელია, მითითებული იქნეს პრიორიტეტული მიმართულებები, პროგრამებისა და გეგმების შესრულების კონკრეტული აქტივობები, შესრულების თარიღი, პასუხისმგებლები, მოსალოდნელი შედეგები, ე.წ. რისკფაქტორები და სხვ. ეს ყველაფერი უზრუნველყოფილი უნდა იქნას სათანადო საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით, შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსებით;

* წარმატების მიღწევის საფუძველია დემოგრაფიული პროცესების არსებითი გაჯანსაღების გარდაუვალობის, ამ მხრივ ერის დამღუპველი პერსპექტიული მოლოდინების შესახებ საზოგადოების ყველა წევრის, **ყოველი ოჯახის ინფორმირება და გამოფხიზლება**, ეროვნული ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, ამ ტკივილთა, ხელისუფლებისა და ყოველი მოქალაქის მიერ ამ უპირველესი ეროვნული პრობლემის გათავისება, გულისტკივილის, პასუხისმგებლობის განცდისა და ნების ჩამოყალიბება, კონკრეტულ ქმედებებში მათი გამოხატვა;

* **საგანგებო ყურადღება, სისტემური ანალიზი და კონკრეტული ქმედებები სჭირდება ისეთ მნიშვნელოვან დემოგრაფიული საკითხებს, როგორიცაა ქორწინება, განქორწინება, ბავშვთა და დედათა მოკვდავობა, ფერტილური ასაკის მოსახლეობის დიდი ნაწილის საზღვარგარეთ გასვლა და უკან აღარ დაბრუნება**, მომრავლებული ე.წ. შერეული ქორწინებები და სხვ. მეტად მნიშვნელოვანია ამ პროცესების ფინანსური უზრუნველყოფა. აქ მთავარია სახელმწიფოს აქტიურობა, დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების საბიუჯეტო-ფინანსური მხარდაჭერა, მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება, რასაკვირველია, და უპირველესად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება და სხვ.

მაგალითად, არცთუ უმნიშვნელო სახსრები შეიძლება იქნეს მოზიდული, თუ **„ერის გადარჩენის ფონდში“** (პირობითი სახელია) ჩაირიცხება თუნდაც ერთი თეთრი ყოველი გაყიდული 1 ლიტრი საწვავის ღირებულებიდან, დენის ან ბუნებრივი აირის გადასახადებიდან და ა.შ.

* ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად უნდა იქცეს სათანადო საზოგადოებრივი განწყობის, პოლიტიკური და, უპირველესად, სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა სხვა ქვეყნებში ასიათასობით **გახიზნულთა დასაბრუნებლად სამშობლოში**.

ამ ეროვნული ტკივილის შესამსუბუქებლად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ „წელში გამართულ“ ქართველ ბიზნესმენებს, რომლებშიც კვლავაც ძგერს პატრიოტული გული;

* **საგანგებო პროგრამა უნდა შემუშავდეს ქართულ დიასპორებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, უცხოეთში გადახვეწილ ქართველებში პატრიოტული სულისკვეთების გასაღვივებლად.** სამწუხაროდ, საქართველოს ვერც ერთი ხელისუფლება ამას სათანადოდ ვერ აცნობიერებდა და თითქმის არაფერს აკეთებდა ამ მიმართულებით; თურქეთსა და ირანს რომ თავი დავანებოთ, სადაც მილიონზე მეტი წარმოშობით ქართველი მოქალაქე ცხოვრობს, აქვე, მეზობელ და ჩვენდამი კეთილგანწყობილ აზერბაიჯანში, მცხოვრებ ინგილოებს ვერ მივხედეთ სათანადოდ. უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა საგრძნობი ნაწილი ხომ არა მხოლოდ მართლმადიდებელი, არამედ მუსლიმანიცაა, რაც ისტორიულმა კატაკლიზმებმა მოიტანა. მათ დიდ ნაწილს არავისზე ნაკლებად უყვარს საქართველო;

* აუცილებელია, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებში ჩამოყალიბდეს ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების ანალიზის, მართვისა და კონტროლის, სხვა აუცი- ▶

არ ვიცი, რა ვუწოდო ქვეყანაში არსებულ ერთი „სარკმლის თუ ფანჯრის“ ქორწინებას. საზოგადოდ, მისასალმებელია ქართული კანონმდებლობის მიერ ამ უმნიშვნელოვანესი აქტის ხელშეწყობა — კი, ბატონო, „გააბედნიერეთ“ და გაამრავლეთ საკუთარი მოქალაქეები, მაგრამ ცოტა გონივრულად. „ანტიბედნიერების“, ანუ ქორწინების გაუქმების საკანონმდებლო მართვა მაინც მოხდეს, თორემ მართლა მოგვეჭრა თავი და არა მხოლოდ ევროპაში.

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მასმედიამ, უპირველესად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემებზე, საზოგადოებაში პატრიოტიზმისა და ეროვნული გრძნობების კონკრეტულ გამოხატვაზე უნდა გააკეთოს აქცენტები. რატომ არ შეიძლება ეროვნულ მოძრაობად, ერის გადარჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად გამოვაცხადოთ ლოზუნგი: «თუ პატრიოტი ხარ, ერი გიყვარს და მის მომავალზე პასუხისმგებლობას გრძნობ, შენს უპირველეს მოვალეობად, სულის ძახილად ჩათვალე, ერთი შვილით მეტი იყოლიო. აღასრულე ეს და გადაარჩენ საქართველოს!» ერის ტკივილი ფერტილურ ასაკში მყოფთა ნახევარმაც რომ მიიტანოს გულთან, დიდი ალბათობით, ეს დაახლოებით 100-200 ათასი ახალი ქართველის დაბადებას ნიშნავს, შესაბამისად — ერის გადარჩენას!**

◀ ლებელი ფუნქციებით, უფლებამოსილებითა და პასუხისმგებლობით აღჭურვილი და ეფექტიანად მოქმედი **სტრუქტურები,** მომზადდეს სათანადო **კადრები.**

***** დასასრულ, ყველაზე მთავარი ქართული ეროვნული ცნობიერების გამოსაფხიზლებლად და კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად ერის გადასარჩენად, ეს არის ჩვენი **მასმედია.** სრულიად ვეთანხმები ბატონ **ანზორ თოთაძეს** ქართული მასმედიის საქმიანობის კრიტიკულ შეფასებაში. საუბედუროდ, დღეს ჩვენი მასმედია (ძირითადად, ტელევიზიები) ანტიპოდურად მუშაობს — გაუთავებლად ატრიალებს ინფორმაციას ამაზრზენი ფაქტების შესახებ (მკვლელობები, ჩხუბი, ძალადობა, გაუპატიურება, ქურდობა და სხვ.), საზოგადოებას ნეგატიურად განაწყობს, აჩვევს ამ არაადამიანურ ქცევებს და, გინდა არ გინდა, ერთგვარად ხელს უწყობს ამ საზიზღარი დანაშაულების გაუბრალოებას, ყოველდღიურ მოვლენად მათ აღქმას.

პრესის საგრძნობი ნაწილი, იმის ნაცვლად, რომ აქტუალურ ეროვნულ, პატრიოტულ საკითხებზე გააკეთოს აქცენტი, ხშირად ბინძური თემატიკითა და საძაგელი სიტყვებითაა გადავსებული. დაახლოებით ორი წლის წინათ ერთი საკმაოდ პოპულარული გაზეთის (შეგნებულად არ ვასახელებ) პუბლიკაციები ისე იყო გატენილი ბინძური, შეურაცხმყოფელი სიტყვებით, რომ ვეღარ მოვითმინე და გაზეთის ხელმძღვანელობას დავურეკე. მიპასუხეს, ეს ბინძური სიტყვები „ფეისბუქიდან“ აღებულ ამონარიდებშიაო. როცა საგანგებოდ დავითვალე ეს ბინძური სიტყვები, აღმოჩნდა, რომ 67 უბინძურესი სიტყვიდან 29 იყო „ფეისბუქიდან“ აღებული, ხოლო 38 ამ გაზეთის მიერ მომზადებულ სტატიებში ეწერა.

მასმედიამ, უპირველესად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემებზე, საზოგადოებაში პატრიოტიზმისა და ეროვნული გრძნობების კონკრეტულ გამოხატვაზე უნდა გააკეთოს აქცენტები. რატომ არ შეიძლება ეროვნულ მოძრაობად, ერის გადარჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად გამოვაცხადოთ ლოზუნგი: **„თუ პატრიოტი ხარ, ერი გიყვარს და მის მომავალზე პასუხისმგებლობას გრძნობ, შენს უპირველეს მოვალეობად, სულის ძახილად ჩათვალე, ერთი შვილით მეტი იყოლიო. აღასრულე ეს და გადაარჩენ საქართველოს!“** ერის ტკივილი ფერტილურ ასაკში მყოფთა ნახევარმაც რომ მიიტანოს გულთან, დიდი ალბათობით, ეს დაახლოებით 100-200 ათასი ქართველის დაბადებას ნიშნავს, შესაბამისად — ერის გადარჩენას.

ფართო საზოგადოების სათანადო ინფორმირებისა და მათი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს წამყვანი ტელეარხების მიერ ამ თემაზე კარგად ორგანიზებული და რეგულარული გადაცემების მოწყობას პროფესიონალების, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენელთა და ახალგაზრდობის მონაწილეობით.

**P.S. ქართველებო, დროა, გამოვფხიზლდეთ, თუნდაც ერთი შვილით მეტი გავაჩინოთ და გადავარჩინოთ საქართველო. თუ ასე არ მოვიქცევით, ისტორია და უფალი არ გვაპატიებს. ნუ დავუტოვებთ ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ქვეყანას უცხოტომელებს, რომლებმაც უკვე შემოდგეს ფეხი ჩვენს მიწაზე.**

**მარად გვახსოვდეს:**

**„სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!“**

**„სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა!“**

**„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!“**



**ვაჟა გურგენიძე,**
პროფესორი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტების ექსპერტ-კონსულტანტი



# «ვიზაქორწინება» ქართულად

**სამწუხაროდ, გამართლდა ზოგიერთი ექსპერტის პროგნოზი, რომ დიდი ძალისხმევით მიღებული ევროპაში თავისუფალი მიმოსვლის უფლება ბევრი არასასიამოვნო ფაქტის წინაშე დააყენებდა ქართულ სახელმწიფოს.**

მიზეზი უამრავია და მათ ჩამოთვლას არ დავიწყებ, ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ პროცესის ერთ მარტივ, „თანამედროვე“ სქემაზე, რომელიც მშვენივრად იქნა „აღმოჩენილი“ და რეალიზებული ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის მიერ, რომელთა ქმედებებმა ლიბერალიზაციიდან ერთი წლის თავზე შოკში ჩააგდო ევროპის ბევრი ქვეყანა.

თავის დროზე, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრები გაიხსნა, პირველი ქვეყანა, რომელმაც ქართველი „მოგზაურების“ ტალღა მიიღო, თურქეთი იყო. ვინც იყვნენ ეს „მოგზაურები“, მოგეხსენებათ.... ბოდიში და, ქართველი მეძავები(!), ამიტომაც მოგვეკერა ეს სამარცხვინო იარლიყი ქართველებს და დღემდე ისე გვიყურებენ თურქები, როგორც გარყვნილ ერს. **თავისუფალი სავიზო რეჟიმის შემოღებიდან ერთი წლის თავზე ევროპაში კიდევ დავიმსახურეთ მორიგი ეპითეტები — ქურდი და ნარკომანი. საინტერესოა, ვინ არიან ახალი სტილის „ევრომოგზაურები“ და როგორ ხვდებიან დაუბრკოლებლად და რამდენჯერმე ევროკავშირის ტერიტორიაზე სავიზო რეჟიმის დარღვევის გამო უკან დაბრუნების ან სულაც დეპორტაციის მიუხედავად.**

ამ „მოგზაურების“ (რამდენი პროცენტი იქნება, ჩვენი ფანტაზიით წარმოვიდგინოთ) ნაწილი ევროკავშირის ქვეყნებში საქურდავად და ამ გზით ფულის შოვნის მიზნით ჩადიან, ნაწილი პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით გარკვეული პერიოდის განმავლობაში იღებს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად დარჩენის უფლებას. მართალია, ახალი ევროკანონმდებლობით ეს პერიოდი ძალიან შეზღუდულია, მაგრამ „ჩვენები“ მშვენივრად ასწრებენ ქურდობას და სხვა უამრავ სამარცხვინო ქმედებას.

„ევრომოგზაურების“ მეორე, უფრო დიდი ნაწილი, არალეგალურად „საქმიანობს“ პოლიტიკური დევნილისა და გულდამწვარი მამულიშვილის ნიღბის გარეშე. საპასპორტო რეჟიმის დარღვევა დიდად არ ანაღვლებთ და გეტყვით რატომ: მათ ჩვენი კანონმდებლობა იცავს და ახალისებს. ძაღლის თავი დამარხულია სწორედ ამ საკანონმდებლო ლაფსუსში, რომელიც არ გამოეპარათ ჩვენს მოხერხებულ მოქალაქეებს.

ყველას მოეხსენება, როგორ არის გამარტივებული ჩვენთან ქორწინების რეგისტრაცია. მისასალმებელია ბედნიერი კავშირების ელვის უსწრაფესი რეგისტრაცია, მაგრამ „უბედურების“, ანუ გაყრის სასწრაფოდ დარეგისტრირებას ვინ გვაჩქარებს?

ამ გამარტივებული პროცედურიდან იწყება ყველაფერი. „გადეპორტებული“ და „ცხოვრების ახალი ფურცლიდან“ დაწყების მსურველი თანამემამულეები დაუბრკოლებლად, უმოკლეს ვადაში ახერხებენ მორიგი ფიქტიური გაყრა-დაქორწინების აქტების რეგისტრაციას. მცირე საფასურის სანაცვლოდ, „ოჯახს მონატრებული“ საქართველოს მოქალაქე ქალები სიამოვნებით მიდიან ასეთ კავშირზე. შემდგომ ეტაპზე „მამრი“, ასევე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, უსწრაფესად იღებს საყვარელი „მდედრის“ გვარს და.... ახალი პასპორტით „ახალი ევროპული სიმაღლეების დასაძლევად“ მზად არის.

**ბოროტი ენები ამბობენ, რომ ამ სქემით ბევრი უცხოელიც სარგებლობს ახლო და „შორეული“ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. სწორედ ამით აიხსნება ამ კატეგორიის ვიზიტორებისა და პოტენციური „სასიძოების“ გაძლიერებული სურვილი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახვედრად.**

მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ჩვენი მოქალაქეების საქციელით ერისთვის „ევროპაში თავის მოჭრა“ (ცხონებული დოდო აბაშიძის გმირი მახსენდება „რაჭა ჩემი სიყვარული“-დან) ახალი არ არის. ეს პროცესები სათავეს 1990-იანი წლებიდან იღებს, ქართველების მიერ „ხელახლა აღმოჩენილი ბებერი კონტინენტის“ აქტიური „კოლონიზაციის“ შემდგომ, თუმცა იმხანად ევროპაში შედარებით შეზღუდული კონტინგენტი „მოგზაურობდა“, „საქმიანობის“ და თავისმოჭრის მასშტაბებიც შედარებით მოკრძალებული იყო.

არ ვიცი, რა ვუწოდო ქვეყანაში არსებულ ერთი „სარკმლის თუ ფანჯრის“ ქორწინებას. საზოგადოდ, მისასალმებელია ქართული კანონმდებლობის მიერ ამ უმნიშვნელოვანესი აქტის ხელშეწყობა — კი, ბატონო, „გააბედნიერეთ“ და გაამრავლეთ საკუთარი მოქალაქეები, მაგრამ ცოტა გონივრულად. „ანტიბედნიერების“, ანუ ქორწინების გაუქმების საკანონმდებლო მართვა მაინც მოხდეს, თორემ მართლა მოგვეჭრა თავი და არა მხოლოდ ევროპაში.

**დავით აბულაძე**

# თურქეთის მოსახლეობის რაოდენობამ 80 მლნ-ს გადააჭარბა, უკრაინელების რაოდენობა კი სწრაფად მცირდება

**თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2017 წელს თურქეთის მოქალაქეთა რაოდენობამ 995 ათასით მოიმატა და 80,8 მლნ შეადგინა. მოსახლეობის 50,2% მამაკაცია (40,54 მლნ), 49,8% — ქალი (40,3 მლნ).**




უკრაინა კი, გაეროს მონაცემებით, შედის ჩამონათვალში იმ 5 ქვეყნისა, რომელთა მოსახლეობაც სწრაფად მცირდება. მიზეზები: სამოქალაქო ომი, ცხოვრების დაბალი დონე და უსაფრთხოების შემცირება. შედეგად იზრდება მოკვდავობა და მცირდება შობადობა, ამას ერთვის ემიგრაცია.

ექსპერტთა აზრით, თუ ასე გაგრძელდა, 2050 წლისთვის უკრაინაში 36 მლნ ადამიანი იცხოვრებს, 17%-ით ნაკლები, დღევანდელ რაოდენობასთან შედარებით.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გოგონების დედამ ნება დართო 34 წლის არნოლდ პერის, დარჩენილიყო მათ სახლში, რადგან ახალგაზრდა კაცს ბინა არ ჰქონდა. მან კი ბოროტად გამოიყენა ოჯახის ნდობა — მასპინძლისგან ფარულად აუპატიურებდა მის გოგონებს. 2015 და 2016 წლებში ბავშვები დაორსულდნენ.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით



## გაქალებული ვინს-ვიქტორია

**ჟოკეი ვინს სმიტმა, რომელმაც თავისი კარიერის განმავლობაში 250 დოლი მოიგო, ქალად გარდაქმნა და ქალთა ტურნირებში მონაწილეობა მოინდომა.**

ხუთი წლიდან თავს თურმე გოგოდ მიიჩნევდა, მაგრამ ეშინოდა და მშობლებს ვერ უმხელდა, ეჭვობდა, რომ თავისი პროფესიიდანაც მოიძულებდნენ, რადგან საცხენოსნო სპორტში კაცები ჭარბობენ. ვინს სმიტმა მხოლოდ 50 წლის შემდეგ გაამხილა თავისი საიდუმლო. დღეს მას ვიქტორია ჰქვია.

მას შემდეგ, რაც კოლეგებმა და ახლობლებმა მხარი დაუჭირეს, ვიქტორიამ გადაწყვიტა, კვლავ ჩაებას მარულაში, მაგრამ ამჯერად, როგორც ქალთა სქესის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, და ამ ამპლუაში დაამთავროს კარიერა.

## ბიჭად გაასაღა თავი



**ჩრდილოეთ უელსში მცხოვრებმა ქალიშვილმა ჯორდანა დევიდსონმა ერთი წლის წინათ ორი არასრულწლოვანი გოგონა შეაცდინა და მათთან სექსუალური კავშირი დაამყარა. ის 19 წლისა იყო, გოგონები — 13 წლის მოსწავლეები. ახლახან კი მან ანალოგიური რამ 15 თუ 16 წლის გოგონასთან გაიმეორა.**

სასამართლოზე დევიდსონმა ხუთი წარდგენილი ბრალდებიდან ოთხი აღიარა. მას 2,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მსხვერპლთაგან ერთ-ერთმა განაცხადა, რომ „ფეისბუქით" დევიდსონთან მიმოწერისას, დარწმუნებული იყო, ბიჭი ეკონტაქტებოდა.

## ქრისტიან მშობლებს შვილებს ართმევენ



**კანადის ონტარიოს პროვინციის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც შეიძლება შვილები წაართვან იმ მშობლებს, რომლებიც აკრიტიკებენ არატრადიციულ ქორწინებას და გენდერულ იდეოლოგიას.**

კანადის ქრისტიანულმა ოჯახებმა ახალ კანონს „ბილი 89"-ს უწოდეს ტოტალიტარული, რომელიც ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, შეუტიოს ჰომოსექსუალობის საყოველთაო გავრცელების მოწინააღმდეგე ოჯახებს. მეტიც, ამ კანონით „ტრადიციულ ოჯახებს" აეკრძალათ ბავშვების შვილება და აღზრდა, რადგან ეს შეზღუდვები თურმე მიმართულია ბავშვების უფლებათა დასაცავად.

**„კანადელები „ბილი 89"-ის მიღებით იდეოლოგიური ტოტალიტარიზმის ეპოქაში შევიდნენ, რომელიც აქამდე წარმოუდგენელი იყო კანადის ისტორიაში",** — აცხადებს კოალიცია „კამპანია ცხოვრებისთვის" მთავარი პოლიტიკური სტრატეგი **ჯეკ ფონსეკა.** ამერიკული გამოცემა ასევე ამტკიცებს, რომ ეს ახალი კანონი სერიოზული საფრთხის შემცველია ქრისტიანისთვის და საერთოდ, მორწმუნე ადამიანისთვის, რომელსაც ჰყავს შვილები ან აპირებს ბავშვის შვილად აყვანას.

## დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელო ლგბტ-ის რეალიათა გათვალისწინებით



**სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემლობამ ახლახან განაცხადა, რომ განზრახული აქვს, დასტამბოს დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელო ლგბტ-ის რეალიათა გათვალისწინებით.**

მასწავლებელთა ცნობარში „სასწავლო პროგრამის შედგენა ლგბტ-ის მოთხოვნების გათვალისწინებით" მოსწავლეებისთვის შეტანილი იქნება ისეთი დავალებები, რომლებშიც ლაპარაკია ერთი და იმავე სქესის ადამიანთა სქესობრივ ურთიერთობაზე, წარმოდგენილია ახალი ლექსიკა; სახელმძღვანელოში რეკომენდაციები შეეხება ასევე სხვადასხვა დისციპლინას, მათ შორის, მათემატიკასაც.

რა უნდა გააკეთოს ორმა ქალმა, თუ სურთ, იყოლიონ საერთო შვილი? ექიმი მათ ურჩევს, გამოიყენონ განაყოფიერების in vitro-ს მეთოდი.

„თანამედროვე ბრიტანეთში ცხოვრებისთვის ახალგაზრდების მოსამზადებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სასწავლო პროგრამაში აისახოს არსებული გარემოს მრავალფეროვნება", — ასე ახსნა აღნიშნული „სიახლე" ორგანიზაცია Stonewall-ის დირექტორმა **რუთ ჰანტმა.** მისი აზრით, დამხმარე სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს მოსწავლეების განვითარებას, მათში სიამაყის გრძნობის გაჩენას იმის გამო, რომ სხვებისგან განსხვავებული არიან, ასევე ლოიალურ მიდგომას მათდამი, ვინც მათგან განსხვავებულია.

## საზიზღარი დებიუტი: «უსქესო ფოტომოდელი» ჟურნალის ყდაზე





**„ისტორიაში პირველად ჟურნალის ყდა დაამშვენა ნეიტრალური სქესის ფოტომოდელმა. ამ ნაბიჯის გადადგმა იკისრა ჟურნალმა „დივამ", — წერს ბრიტანეთის მედია.**

**რეინ დავს** სურს, რომ ის საშუალო სქესს მიეკუთვნებოდეს, კერძოდ, მისი სქესი განისაზღვროს, როგორც **„სოციალური კონსტრუქტორი".**

დავი თვითკმაყოფილების ტალღებზე ნანაობს და იმედოვნებს, რომ საყვარელი ჟურნალის ყდაზე მისი მსგავსი სხვა ადამიანებიც იქნებიან გამოსახულნი. დავმა გადაიღო ფოტოები ჟურნალებისთვის: Vogue, Elle და Cosmopolitan, რომელთა გვერდებზე რეკლამას უწევდა, როგორც ქალის, ასევე კაცის საცვლებს.

## აშშ-ში 27 წელიწადი მიუსაჯეს პედოფილს, რომელმაც სამი და დააორსულა

**ტყუპთაგან ერთისთვის აბორტის გაკეთება მოასწრეს, ორმა კი, რადგან მათი ორსულობა ძალიან გვიან გაირკვა, ბავშვები გააჩინა.**

ეს მოხდა ოჰაიოს შტატში.

გამოცემის მიერ გავრცელებული ცნობით, გოგონების დედამ ნება დართო 34 წლის **არნოლდ პერის**, დარჩენილიყო მათ სახლში, რადგან ახალგაზრდა კაცს ბინა არ ჰქონდა. მან კი ბოროტად გამოიყენა ოჯახის ნდობა — მასპინძლისგან ფარულად აუპატიურებდა მის გოგონებს. 2015 და 2016 წლებში ბავშვები დაორსულდნენ.

იუსტიციის წარმომადგენლის, **ჯენიფერ მაკლონის,** განცხადებით, პერიმ დანაშაული აღიარა.

გოგონების დედამ განაცხადა, რომ ამჟამად იგი ზრდის ორ შვილიშვილს, პერის ოჯახი კი არაფრით ეხმარება.



## მასწავლებელს სასტუმროში გოგონასთან წაასწრეს



**ამერიკის ქალაქ სან-ანტონიოში (ტეხასის შტატი) დააპატიმრეს სკოლის მასწავლებელი ქალი მოსწავლე გოგონასთან გარყვნილი ქმედების ბრალდებით. სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში მას თავს დაადგნენ იმ მომენტში, როცა იგი მოსწავლეს „უზნეობის გაკვეთილს" უტარებდა.**

**კრისტალ ნიკოლ როდრიგესმა** პოლიციაში აღიარა, რომ მას გოგონასთან, რომელიც მისი ყოფილი მოსწავლე იყო, სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა.

როდრიგესი 20 ათასი ამერიკული დოლარის გირაოს საფასურად გაათავისუფლეს.

გამოძიება გრძელდება.

გვერდი მომზადდა MIRROR-ის, DAILY STAR-ის, THE TELEGRAPH-ის, NY POST-ის, HXM-ისა და AP-ის მასალების მიხედვით

ცნობიერების მანიპულაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საშუალება (ნიშანი) პროექტის მიჩუმათებაა. პროექტს ჩაანაცვლებენ პოლიტიკური მითით... პოლიტიკოსი, რომელიც აპირებს, სათავეში ჩაუდგეს მოქალაქეებს, თავს არიდებს თავის „პროექტზე“ საუბარს — როგორი პერსპექტივა ელოდება მათ და ქვეყანას იმ შემთხვევაში, თუ იგი თანამემამულეთა ხმების (ან მოქმედების) წყალობით სახელმწიფოს სათავეში დამკვიდრდება. მთელი მისი პროპაგანდა მოწინააღმდეგის მხილებით იფარგლება, უმთავრესად მისი (მოწინააღმდეგის) „საერთოსაკაცობრიო“ ნაკლოვანებათა მხილებით: გათელავს თავისუფლებას, აქეზებს უსამართლობას, ატყუებს ხალხს, ემსახურება მტრულ ძალებს და ა.შ.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნარინჯისფერი ნაღმი

**ახალი მსოფლწესრიგის დოქტრინიდან გამომდინარე იშლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მარიონეტული მთავრობები ჩაენაცვლება. ამისთვის გამოყენებული პოლიტტექნოლოგიები „ფერადი“ რევოლუციების სახელით არის ცნობილი.**
**წიგნში, რომლის ადაპტირებულ თარგმანს გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიოს“, მიმოხილულია „ფერადი რევოლუციების“ წარმოქმნისა და განვითარების დოქტრინის ისტორია და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის უსუსრობის მიზეზები. ნაშრომი ნათელს ჰფენს „ვარდების“ რევოლუციის სახელით საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების იმ სიღრმისეულ საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენთან დუმილს ამჯობინებენ.**



სერგეი ყარა-მურზა




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-7 (425-431)

**ლებონი** არაერთხელ უბრუნდება ქცევის დაპროგრამებაში სახეების როლის საკითხს: **„ბრბო სახეებით აზროვნებს** და მის წარმოსახვაში წარმოქმნილი სახე, თავის მხრივ, იწვევს სხვა, პირველთან ლოგიკურად დაუკავშირებელი სახეების წარმოქმნას... ბრბოს მხოლოდ სახეებით აზროვნების უნარი აქვს, აღიქვამს მხოლოდ სახეებს. მხოლოდ სახეებს შეუძლია მისი ატაცება ან დაშინება, მხოლოდ სახეებია მისი ქცევის აღმძვრელი მექანიზმი“.

ამიტომაა, რომ **ცნობიერების მანიპულაციის უმნიშვნელოვანეს ობიექტად მიიჩნევენ წარმოსახვას** — რეალობის წარმოდგენას რომელიმე ნაწილაკის სახედ, რომელსაც ადამიანის ცნობიერება (ფანტაზია) ქმნის. წიგნში „ბრბოს სული“ ლებონი წერს: „გამარჯვებულთა ძლიერება და სახელმწიფოთა ძალაც კი სახალხო წარმოდგენაზეა დამყარებული. ბრბოს გაძღოლა უმთავრესად მისი (ბრბოს) წარმოსახვის საშუალებით ხდება... ფაქტები კი არ წარმოქმნის სახალხო წარმოსახვას, არამედ ის, როგორ გაანაწილებენ მათ და წარუდგენენ ბრბოს. აუცილებელია... რომ ამ ფაქტებმა მიიღოს ისეთი განსაცვიფრებელი სახე, რომელიც სრულად დაიპყრობს ბრბოს გრძნობა-გონებას.

**ვინც ფლობს ბრბოზე შთაბეჭდილების მოხდენის ხელოვნებას, იგი ფლობს მისი მართვის ხელოვნებასაც“.**

„ხავერდოვანი“ და „ფერადი რევოლუციების“ ორატორების სიტყვებს თუ წაიკითხავთ, აუცილებლად შევნიშნავთ, რომ ისინი რაციონალური პრინციპით კი არ არის აგებული, არამედ სახეების კატეგორიების საძირკველზეა აშენებული, ხოლო **ორი „მოქნილი“ სამყარო — წარმოსახვა და გრძნობები — მაქსიმალურად მოძრავი და მოწყვლადია.** მიიჩნევენ, რომ ემოციები ფსიქიკური სამყაროს ძირითადი დეტალებია, სახეები კი — ემოციების საშენი მასალა. **კარლ გუსტავ იუნგი** წერს: **„წარმოსახვით შექმნილი სახეები შეიძლება იყოს ისეთივე რეალური და, შესაბამისად, ისეთივე მავნე და საშიში, როგორიც ფიზიკური გარემოება.** ფსიქიკური საშიშროება ეპიდემიებსა და მიწისძვრებზე გაცილებით საშიში მოვლენაა.

გრძნობათა განსაკუთრებით ძლიერი კომბინაცია წარმოიქმნება გონებაზე **სისხლისა** და **ადამიანების, განსაკუთრებით, უდანაშაულო ადამიანების, დაღუპვის ხატების წარმოსახვით.** ამასთანავე, სისხლი გონებაზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა იგი **ინტერპრეტირებული** იმ საინფორმაციო წყაროების მიერ, რომლებიც მასების ყურადღების ცენტრში არის მოქცეული“.

„რევოლუციის“ წინა პლანზე გამოდიან მოვლენების ინტერპრეტაციის ცენტრები. შეძლებენ თუ არა „რევოლუციონერები“, ხელთ იგდონ ეს ცენტრები, ამაზე დიდად არის დამოკიდებული „ხავერდოვანი რევოლუციის“ წარმატება. უკრაინაში, მაგალითად, ოპოზიციამ ხელისუფლებასთან ჭიდილში სწორედ ამ უპირატესობის გამოყენებით გაიმარჯვა და დაეუფლა „სიმბოლურ ხელისუფლებას“. **რ. შაიხუტდინოვი** წერს: **„სიმბოლური ხელისუფლება, ანუ ინტერპრეტაციის ძალაუფლება არის გაკონტროლება იმისა, როგორ ესმით და როგორ აღიქვამენ ადამიანები მოვლენებსა და სიტუაციებს კომუნიკაციების მექანიზმების გამოყენებით.** ხელისუფლება წარმართავს და უკარნახებს: რა არის მნიშვნელოვანი, რა — არა, რას მიაქციონ ყურადღება, რას — არა, რა არსებობს, რისი არსებობის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ამ ჭრილში მოქმედი ხელისუფლება ნებას არ დართავდა, მთელი უკრაინისთვის ეჩვენებინათ იუშჩენკოს მიერ ბიბლიაზე უკრაინელი ხალხის ერთგულების ფიცის დადების ცერემონია.

ზემოთ ითქვა, რომ „ხავერდოვანი რევოლუციები“ მოქმედებს **სპექტაკლის საზოგადოების** სივრცეში, რომლის წინაპირობაც არის მოქალაქეთა გადაქცევა მაყურებლების ბრბოდ, მაგრამ ცნობიერების მანიპულაციაში თეატრალიზაცია პირდაპირი მნიშვნელობითაც მოქმედებს სოციალური თეატრალური ეფექტებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ლებონი დიდ ყურადღებას უთმობდა თეატრის ბრბოზე ზემოქმედების საკითხს. იგი წერდა: **„თეატრალური წარმოდგენები, რომლებშიც სახეებს ბრბოს წარუდგენენ მკაფიო ფორმით, ყოველთვის გამოირჩევა უდიდესი ზეგავლენით. ყველა კატეგორიის ბრბოს წარმოსახვაზე არაფერი ისე არ მოქმედებს, როგორც თეატრალური წარმოდგენები“.**

თეატრისთვის დამახასიათებელი ტექსტისა და სახის კოოპერაციული ეფექტი უკავშირდება აღქმის ორ, განსხვავებულ ტიპს, რომლებიც



„ნარინჯისფერი რევოლუცია“, კიევი, მაიდანი, 2014 წლის თებერვალი

ერთმანეთთან რეზონირებს და ადგილიდან ძრავს ურთიერთს. ამ დროს წარმოიქმნება **სემანტიკური** და **ესთეტიკური** ეფექტი. ინფორმაციის ყველაზე ეფექტიანი საშუალებები ყოველთვის ეფუძნება კონტრაპუნქტს, მრავალხმიანობის ჰარმონიას, აზრისა და ესთეტიკის მთლიანობას. ისინი ერთდროულად იპყრობს გონებასაც და მხატვრულ გრძნობასაც (ამბობენ, რომ „სემანტიკა გვარწმუნებს, ესთეტიკა გვხიბლავს“).

ამას ეფუძნება თეატრის ზემოქმედება (ტექსტის, ხმის ჟღერადობის, ფერის, პლასტიკური მომზადების) და, განსაკუთრებით, — ოპერის. ამ გზით მიწოდებული ინფორმაცია დიდხანს რჩება ადამიანის ინტერესის საგანი. ამ სისტემის ნიშნების ერთობლიობა თეატრში სავსებით ახალ ხარისხს წარმოშობს, რომლის წყალობითაც **მაყურებელთა დარბაზი** გარდაიქმნება სპეციფიკურ „მოხიბლულ“ ბრბოდ.

**ვ. ოსიპოვი** ასე აღწერს „მაიდნის“ სიტუაციას: „სცენები ყველა სტრატეგიულ პუნქტში იდგა: მთავრობის შენობასთან, რადასთან, მოედნებზე შოუ, სიმღერები — „ნარინჯისფერები“ მუსიკოსებს რევოლუციის იარაღად იყენებდნენ“.

**„ყველა დამკვირვებელი, რომლებმაც „ნარინჯისფერი რევოლუცია“ შეისწავლეს, აღნიშნავდა მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ჭკვიანურად განხორციელების ფაქტს, რომლის გასაძლიერებლად გამოყენებული იყო თანამედროვე სპეცეფექტები: „იუშჩენკო მაიდანზე წამოისვრის ლოზუნგს და მყისიერად მისი გამოსახულება ლაზერით შენობათა ფასადებზე აისახება. ბრბო სკანდირებს შეძახილებს, ქვალად — ლაზერული გრაფიკა. „რევოლუციონერები“ ტექნიკურად შესანიშნავად იყვნენ აღჭურვილნი“.**

„ხავერდოვანი რევოლუციების“ დროს განსაკუთრებული ენა იყო გამოყენებული — მოკლე (ზოგჯერ ერთსიტყვიანი) ლოზუნგები, რომლებსაც განუწყვეტლივ იმეორებდნენ, როგორც გრაფიკულად გამოსახულს, ასევე, „ბელადების“ გამოსვლებსა თუ ბრბოს სკანდირებაში. **ადამიანს ყოველთვის დამაჯერებლად მიაჩნია ის, რაც დაიხსომა, მაშინაც კი, როცა დახსომება მექანიკური გამეორებით ილექება ბრბოს ცალკეული წევრების ცნობიერებაში. ილექება და მოქმედებს, მიუხედავად იმისა, ჭეშმარიტია იგი თუ ცრუ და ყალბი.** „ამ პრინციპზეა აგებული მთელი პროპაგანდისტული საქმიანობა და პრესის მიერ საზოგადოების აზრის დამუშავების პრაქტიკა“, — აღნიშნავს ა. მოლი. გაცილებით ადრე კი ეს დებულება გამოუთქვამს გებელსს: „მუდმივი გამეორება მთელი პროპაგანდის ძირითადი პრინციპია“.

გამარტივება აადვილებს მთავარი აზრის გადმოცემას, რომელიც აუდიტორიას უნდა შთავაგონოთ „მოკლე, ენერგიული და შთამბეჭდავი ფორმით“, — მტკიცებითი ფორმით (როგორიც ჰიპნოზიორის ბრძანებაა, ბრძანება შეპასუხების გარეშე). „მტკიცება ნებისმიერ გამოსვლაში (სიტყვაში) ნიშნავს განხილვაზე უარის თქმას, რადგან ადამიანის ან იდეის ძალაუფლება, რომელიც, განხილვის საგანი თუ გახდება, „კარგავს ყოველგვარ დამაჯერებლობას“, — წერს ს. მოსკოვიჩი.

**ბოლო ათწლეულების განმავლობაში მასმედია ამგვარი ტიპის აზროვნების მნიშვნელოვან ფაქტორად ჩამოყალიბდა. მან ადამიანი სტერეოტიპებით აზროვნებას მიაჩვია და გავრცელებული ცნობების ინტელექტუალური დონე იმდენად დააკნინა, რომ გამოთაყვანების იარაღად გარდაიქმნა.** ამას ხელი შეუწყო ცნობიერებაში საჭირო სტერეოტიპების ჩანერგვის მთავარი მეთოდის მასობრივად გამოყენებამ — **მუდმივმა გამეორებამ.**

გამეორება ერთ-ერთია იმ „ფსიქოლოგიურ მეთოდებს შორის, რომლებიც აჩლუნგებს გონებას და მოქმედებს ქვეცნობიერ მექანიზმებზე. ამ ილეთის ინტენსიური გამეორებით სტერეოტიპები მდგრად ცრურწმენად ყალიბდება, ადამიანი ჩლუნგდება. გამეორება მტკიცებულებას დამატებით წონას სძენს. გამეორება, როგორც თავსმოხვეული იდეა, განსხვავებული ან საწინააღმდეგო მოსაზრებების წინაშე აღმართულ წინაღობად ყალიბდება. გამეორების დახმარებით აზრი სცილდება ავტორს და ისეთ სიცხადედ იქცევა, რომელიც არც დროზე, არც ადგილზე, არც პიროვნებაზე აღარაა დამოკიდებული. გამეორებას მოსაზრებათა დამაკავშირებელი ფუნქციაც აკისრია: „ზოგჯერ განსხვავებული თვალსაზრისისა და იდეების მოჩვენებითი ლოგიკური ჯაჭვის წარმომსახველიც კი ხდება“.

„ამ მოჩვენებითობის წარმოქმნისთანავე იოლდება ინტელიგენტური აუდიტორიის დაპყრობა. ამ შემთხვევაში ინტელიგენტი სინდისის ქენჯნის გარეშე იჯერებს ნებისმიერ აბსურდს, იმიტომ, რომ ცნობიერებაში გაქრა გამპროტესტებელი ლოგიკა — „ინტელიგენციის ზნეობის პოლიცია“.

**ცნობიერების მანიპულაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საშუალება (ნიშანი) პროექტის მიჩუმათებაა. პროექტს ჩაანაცვლებენ პოლიტიკური მითით...** პოლიტიკოსი, რომელიც აპირებს, სათავეში ჩაუდგეს მოქალაქეებს, თავს არიდებს თავის „პროექტზე“ საუბარს — როგორი პერსპექტივა ელოდება მათ და ქვეყანას იმ შემთხვევაში, თუ იგი თანამემამულეთა ხმების (ან მოქმედების) წყალობით სახელმწიფოს სათავეში დამკვიდრდება. **მთელი მისი პროპაგანდა მოწინააღმდეგის მხილებით იფარგლება,** უმთავრესად მისი (მოწინააღმდეგის) „საკაცობრიო“ ნაკლოვანებათა მხილებით: გათელავს თავისუფლებას, აქეზებს უსამართლობას, ატყუებს ხალხს, ემსახურება მტრულ ძალებს და ა.შ. ყველა ამ მხილებიდან გამომდინარეობს, რომ ახალი რეჟიმის პირობებში აღკვეთილი იქნება ყველა ეს საზიზღრობა და დამყარდება თავისუფლება, სამართლიანობა, ზნეობრიობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი და ა.შ.

**ასეთი პროპაგანდის პირველი აღიარებული ოსტატები იყვნენ იაკობინელები საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. მაშინ წარმოთქმული სიტყვებისა და გამოქვეყნებული ტექსტების შესწავლის შედეგად მხოლოდ ერთ დასკვნამდე მიდიან: აბსოლუტურად შეუძლებელია ცხოვრების მოწყობის პროექტის „გამოთვლა“, რომელიც არსებული რეჟიმის უარყოფის შედეგად უნდა დამყარებულიყო საფრანგეთში. საქმე ის კი არ იყო, რომ რევოლუციას ყოველთვის იქ არ შევყავართ, სადაც რევოლუციონერები გვპირდებიან. იაკობინელები შეგნებულად მალავდნენ თავიანთ განზრახვას.**

ყველა „ხავერდოვანი რევოლუცია“, ამ სისტემის ბირთვის — **გორბაჩოვის** „პერესტროიკის“ ჩათვლით, ხასიათდება იმით, რომ საზოგადოების დროებითი გაერთიანება, რომელიც წინამორბედი სახელმწიფოებრიობის დასანგრევად გამოიყენებოდა, მიღწეული იყო **წარსულის მითოლოგიზაციის** მეშვეობით. არ მიმდინარეობდა დიალოგი მომავალი ცხოვრების წესის პრობლემებზე, ერთადერთი და მთავარი მიზანი წარსულის დემონტაჟი იყო, რადგან „ასე ცხოვრება არ შეიძლება!“ გორბაჩოვი აღიარებდა: „ხშირად გვეკითხებიან, პერესტროიკით რისი მიღწევა გვსურს, მაგრამ ამ შეკითხვაზე შეუძლებელია დეტალური, პედანტური პასუხის გაცემა“.

ეს იყო ტყუილი, რადგან არავინ ითხოვდა პედანტურ პასუხს, ეკითხებოდნენ საერთო მიზანზე. **ამ რევოლუციების რიტორიკა შეუთავსებელია რაციონალიზმის ნორმებთან და ჯანსაღ აზრთან, პოლიტიკოსების განცხადებებში არც ლოგიკა იყო, არც რაიმე გონიერი.**

გაგრძელება მომდევნო ნომერში

წყევლაკრულვიანი საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დატუსაღებული ადამიანი უბედურადა გრძნობს თავსა: ვერა ჰსვამს და სჭამს თავის ნებაზე, ვერ ადგება, ვერც დაწვება ისე, როგორც თვითონ უნდა; ვერც ტანთ იცვამს, რაც მოსწონს იმას; ვერა ჰხედავს იმას, ვინც უყვარს, ვერ აკეთებს იმას, რის გაკეთებაც სულით და გულით სწყურია; თავის ნებაზე ვერ დაილაპარაკებს, თავისუფლად ფეხს ვერ გადასდგამს. უბედურ ყოფაშია ტუსაღი ჩავარდნილი. გვესმის ჩვენც მისი მდგომარეობა და გვებრალება. რაღა უნდა ვსთქვათ, როცა დატუსაღებულია მთელი საზოგადოება, ერი, სახელმწიფო?“

# «არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა... ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით «სიკვდილი ან სიცოცხლე» (ე.ი. თავისუფლება)?!»

ჩვენი ერთგული მკითხველი დაგვეთანხმება, რომ თავისუფლება არ ნიშნავს, რაც გნებავს, ის აკეთო, ილაპარაკო ან წერო.... ადამიანი მხოლოდ მაშინ არის თავისუფალიც და ბედნიერიც, როცა ყოველ მის სიტყვასა და ქმედებას საზოგადო ბედნიერება უდევს სარჩულად. „თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეაო“, — ასე მიაჩნია ვაჟა-ფშაველასაც, რომელიც არა მხოლოდ მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორია, არამედ ისეთი პუბლიცისტური წერილებისაც, რომლებშიც ქართველი ერის სატკივარზე, საფიქრალსა და რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნის გზებზეა საუბარი. ამ მხრივ საინტერესოა მისი წერილები: „რას ჰქვიან თავისუფლება?“ და „რა არის თავისუფლება“.

მათში დასმული საკითხები დღესაც აქტუალურია:

„რას ითხოვს თავისუფლება ადამიანისაგან?“

„როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი?“

„იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნალვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნებადაურთველად სხვა რომ ისაკუთრებს?“

„საცა ნავარდობენ მგლები, საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?“...

„თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რადღა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას?“...

განსაკუთრებით საინტერესოა ვაჟა-ფშაველას დამაჯერებელი პასუხები და მოსაზრებები. მისი აზრით, „არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლე“ (ე.ი. თავისუფლება)?!“

განა ეს არ არის დღესაც ჩვენი წყევლაკრულვიანი საკითხავი?



«ხარს ვგევარ ნაიალაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ: ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! — მძინარიც ამას ვდუდუნებ»

## რას ჰქვიან თავისუფლება?
### (1906 წელი)

როცა ჩვენს ნაცნობს ან ნათესავს ატუსაღებენ, დაუყოვნებლივ მივესწრაფებით მის სანახავად ისე, როგორც სნეულისა. თან ვნანობთ: „ახ, რა ცუდი საქმე მოუვიდაო!“ რადა? რისთვის? იმისთვის, რომ კაცს წაართვეს თავისუფლება, წაართვეს ისეთი რამ, რითაც ადამიანი შეაწუხეს, წაართვეს სიხარული და მისცეს ვაება-ტანჯვა. **თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა. დატუსაღებული ადამიანი უბედურადა გრძნობს თავსა: ვერა ჰსვამს და სჭამს თავის ნებაზე, ვერ ადგება, ვერც დაწვება ისე, როგორც თვითონ უნდა; ვერც ტანთ იცვამს, რაც მოსწონს იმას; ვერა ჰხედავს იმას, ვინც უყვარს, ვერ აკეთებს იმას, რის გაკეთებაც სულით და გულით სწყურია; თავის ნებაზე ვერ დაილაპარაკებს, თავისუფლად ფეხს ვერ გადასდგამს. უბედურ ყოფაშია ტუსაღი ჩავარდნილი. გვესმის ჩვენც მისი მდგომარეობა და გვებრალება. რაღა უნდა ვსთქვათ, როცა დატუსაღებულია მთელი საზოგადოება, ერი, სახელმწიფო?**

ადამიანი თავისუფალი იბადება. უცქირეთ ბავშვს როგორ თავისუფლად მოქმედობს, როცა შეიძლებს მოძრაობას, ეპოტინება ყველაფერს, რასაც თვალი დ ყური მიუწვდება; იქნევს ხელებს და ფეხებს, როცა აკვანში აწვენს დედა და ხელებზე არტახებს უჭირებს. მხოლოდ დიდების მოსაზრება, დაშლა, დაშინება ჰკვეცავს ფრთებს ბავშვის თავისუფალ მოქმედებას, რომელიც უსამზღვრო თავისუფლებისაკენ მიისწრაფის...

გაიზრდება, მოვა გონებაზე და მაშინ ხომ შინაურ უფროსებთან ერთად უჩნდება გარეთ სხვა უფროსი – საზოგადოება აუარებელი ზნე-ჩვეულებით, აზრებით, წესებით, რომელთა შორის მრავალი უვარგისი და პირდაპირ დამღუპველია ადამიანისა, შემბოჭველი იმის თავისუფლებისა, სალის მსჯელობისა. **მშობლები, საზოგადოება და უხეირო სკოლები აჩვევენ ყრმას ისეთს აზროვნებას, რაც უხშავს მას გონებას, უნერგავს ცხოვრებისათვის მავნე აზრებს, აჩვევს გონებას მორჩილებას, მოთმენას, უკლავს სიყვარულს თავისუფლებისადმი.** ასე: ადამიანი მოსისხლე მტერი ხდება ბუნებისა; იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს და განავითაროს ეს ძვირფასი განძი — თავისუფალი გრძნობა, მისცეს მას გონივრული მიმართულება, ცდილობს დაახშოს, მოსპოს იგი, სრულიად ამოაგდოს ძირიანფოჩვიანად ადამიანის გულიდან. ამ დროს საზოგადოება ვერა გრძნობს რამდენად მოსისხლე მტერი ხდება იგი თავის თავისა. რატომ? მიტომ, რომ ხეს ტოტებს აჭრის, ქერქს აცლის გარშემო ტანზე, რის გამო იგი ხელს უწყობს შტოების გახმობას, რასაც ადრე თუ გვიან თვით ხის გახმობაც მოსდევს. **დიაღ, გამხმარია, ხმელია ის საზოგადოება, რომელთა წევრებიც მონურად, ყეყეჩ-ჩერჩეტად არიან აღზრდილნი და არ უყვარსთ თავისუფლება, ჰხდება თავის თავის მტერი, სთელავს ფეხით თავისივე ბედნიერებას. ამისთანა საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუდეა ყოველნაირს უსამართლობისა, ადვილად ჩნდებიან დაჩაგრულნი და მჩაგვრელნი, გაცარცულნი და მცარცველნი და იმართება მათ შორის ბრძოლა. დღეს ჩვენა ვართ მოწამე და მონაწილენი ამისთანა ბრძოლისა. ბედნიერებაწართმეული ნაწილი საზოგადოებისა (კლასი) ებრძვის მეორეს, რომელმაც მისი ბედნიერება მიითვისა, მისი თავისუფლება და ქონება.**

მჩაგვრელნი დღევანდლამდის თავისუფლად იქცეოდენ: ფული, მიწა, ფაბრიკები, ქარხნები, სახლები იმათ ხელშია. ეს სულ მოტყუილებით, მტარვალობით, სხვისთვის თავისუფლების ჩამორთმევით მოიპოვეს. დღეს დაჩაგრულმა ნაწილმა იგრძნო ეს უსამართლობა, აახილა თვალები, გაიღვიძა მის გულში დაძინებულმა თავისუფლების სიყვარულმა, დღეს იგი ამბობს: დამიბრუნეთ წართმეული ბედნიერებაო!

თავისუფლება მტარვალთაგან (უმცირესობა) ხალხისათვის (უმრავლესობა) წართმეული ბედნიერებაა. **თუ ერთს ადამიანს სტანჯავს, სჩაგრავს ტუსაღობა, თავისუფლების წართმევა, ფრინველს და ცხოველსა ჰკლავს, რა თქმა უნდა ხეირს არ დააყრის არც საზოგადოებას,** რომელიც ადამიანთა კრებულია. როცა დამონებაში იმყოფება ქვეყანა, თავისუფლებას მოკლებული, იგი დამწყვდეულია ციხეში.

## რა არის თავისუფლება?

ძმობა, ერთობა, თავისუფლება — ამ სიტყვებით გაიჟღენთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-5 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე.ი. რას ჰქვიან თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან **ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას**; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?... თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რადღა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავითავს, შაერთდენ, მოიფიქრონ როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა სავალი... მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გაალმასებული კბილები, გაათავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს. ეგრეთვე თუ ცხვარი-ცხვარს.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, — ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა...

**დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით.** ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა, მიგვემართნა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შაგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამოძმენი მოსისხლე მხეცებს... ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალმომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათან სრულიადაც მოვსპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომამისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელება ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. **თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.**

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნალვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნებადაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდუღს და გადმოდის. მინდა ვისწავლო და ნება არ მეძლევა; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დავაარსო უნივერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვ. და სხვ...

არ მინდა ვილოცო ის მშვენივრად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! — სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და **უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნება მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება** ▶

**«გამხმარია, ხმელია ის საზოგადოება, რომელთა წევრებიც მონურად, ყეყეჩ-ჩერჩეტად არიან აღზრდილნი და არ უყვარსთ თავისუფლება, ჰხდება თავის თავის მტერი, სთელავს ფეხით თავისივე ბედნიერებას. ამისთანა საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუდეა ყოველნაირს უსამართლობისა, ადვილად ჩნდებიან დაჩაგრულნი და მჩაგვრელნი, გაცარცულნი და მცარცველნი და იმართება მათ შორის ბრძოლა»**

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა აქტიური იყო და ფეოდალური საქართველოს პროგრესის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის საქმეს ემსახურებოდა.

**როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ!..**

**არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლე“ (ე.ი. თავისუფლება)?!** – იტყვის და ამბობს კიდევაც, ამას ჩვენის თვალით ვხედავთ. აშკარად ვგრძნობთ ყველანი... მაშასადამე, სჩანს მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება, თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ, ვიმეორებ: **ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა.** ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად.. **და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედურების მეტი?** — არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტახანს, რადგან ცხოვრების ლოღიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას, აშკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბედნიერება — წამრთმეველი დღეს ტირის, ხოლო გაცარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პოულობს. წართმეულს იბრუნებს. **თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჟამი? — სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, — სძულს ისინი უსაზღვროდ; სწორედ მაშინ ცდილობს, შემუსროს თავის დამმონებელნი.**

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? — თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს, ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, — არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის. ყველა ჩვენგანი ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამნაღველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეტაკა და რქები შემოიმტვრია.

მაშასადამე, **თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი.** ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებობისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

# საქართველო და მისი მეზობლები




საქართველო დავით აღმაშენებლის მმართველობის დასასრულს, 1125 წელი

**დასასრული. დასაწყისი იხ. №4, 6, 7**

**დავითის აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ ბიზანტიასთან ურთიერთობის პრობლემებიც მოიცვა. XI საუკუნის განმავლობაში საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ 1071 წლის აგვისტოში მანასკერტის ბრძოლაში მძიმე მარცხის შემდეგ ბიზანტიის იმპერიის როლი და გავლენა თანდათან კლებულობს. განუხორციელებელი დარჩა ამიერკავკასიაში შესვლისა და საქართველოზე თავისი უზენაესობის განმტკიცების გეგმაც. ხოლო ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსანთა წარმატებებმა დავითის პოლიტიკის გატარებას შეუწყო ხელი.**

## ურთიერთობა ბიზანტიასთან

1071 წლის 19 აგვისტოს მანასკერტის ბრძოლაში მძიმე მარცხის შემდეგ ბიზანტიის იმპერიის როლი და გავლენა თანდათან კლებულობს. ეს იყო ბრძოლა თურქ-სელჩუკებსა და ბიზანტიელებს შორის. თურქებმა, ალფ-არსლანის ხელმძღვანელობით, დაამარცხეს ბიზანტიელები და ტყვედ ჩაიგდეს იმპერატორი რომანოზ IV. თურქების გამარჯვებამ დააჩქარა სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება მცირე აზიაში. ტყვედ ჩავარდნილმა იმპერატორმა რომანოზ IV-მ საკუთარი სიცოცხლე ბიზანტიის მიწების საფასურად იყიდა.

ასე რომ, ბიზანტიას განუხორციელებელი დარჩა ამიერკავკასიაში შესვლისა და საქართველოზე თავისი უზენაესობის განმტკიცების გეგმაც.

ნიშანდობლივია, რომ XI საუკუნის საქართველოს ყველა მეფე ატარებდა კურაპალატის, ნოველისიმოსის, სევასტოსის, მაგისტროსის თუ კესაროსის ტიტულებს. **დავითი ერთიანი საქართველოს მეფეთაგან პირველი იყო, რომელმაც უარყო ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები.** როგორც ერთ-ერთი საბუთიდან ჩანს, დავითი ჯერ კიდევ გამეფებამდე ატარებდა სევასტოსის ტიტულს. იგი ერთ საბუთში „პანიპერსევასტოსადათაც“ იწოდება. ფაქტია, რომ დავითმა, გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებების მიღწევის შემდეგ, უარყო ბიზანტიური ტიტულები. სწორედ ამიტომ XI საუკუნის 90-იანი წლებიდან მოკიდებული იგი არც ერთ წყაროში ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულით აღარ მოიხსენიება. ეს სრულიად გარკვევით მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ საქართველო ამიერიდან თავს ბიზანტიის თანასწორ ქვეყნად თვლიდა.

**დავითი, რომელიც სელჩუკთა ამიერკავკასიიდან განდევნისთვის იბრძოდა, კარგად გრძნობდა, რომ ბიზანტიასთან ურთიერთობა თანაბარ ვითარებაში აუცილებელი იყო.** სწორედ ბიზანტიასთან ურთიერთობის განმტკიცების ინტერესებმა გადაადგმევინა საქართველოს მეფეს ნაბიჯი დინასტიური ქორწინებისაკენ, როცა თავისი ქალიშვილი კატა 1116 წელს „გაგზავნა საბერძნეთს სძალად ბერძენთა მეფისად“. დავითის ასული კატა დაქორწინდა ბიზანტიის იმპერატორ **ალექსი I კომნენოსის** უმცროს ვაჟზე — **ისაკზე.** ასეთი დამოყვრების შემდეგ დავითის ისტორიკოსს ჰქონდა სრული უფლება, განეცხადებინა, რომ საქართველოს მეფისთვის „მეფე ბერძენთა“ იყოო „ვითარცა სახლეული თვისი“. ბიზანტიასთან ურთიერთობის კეთილმეზობლური პოლიტიკა არ შეცვლილა დავითის მეფობის ბოლო წლებამდე (დავითი არ ჩარეულა მისი სიძის — ისაკისა და ალექსი კომნინოსის უფროსი ვაჟის — იოანეს შორის ატეხილ უთანხმოებაში, რითაც საქართველოს სამეფომ უზრუნველყო სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უსაფრთხოება).

## ურთიერთობა ჯვაროსნებთან

ნიშანდობლივია დავითის ისტორიკოსის სიტყვები:

„ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია და შეწევნითა ღვთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს.“

„ფრანგნი“-თ დავითის ისტორიკოსი ევროპელ ჯვაროსნებს აღნიშნავს. იგი ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიც სელჩუკებისთვის ხარკის შეწყვეტა და ქვეყნის გაძლიერება იყო, იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებას უკავშირებს.

**ჯვაროსანთა გამოჩენამ, მათმა წარმატებებმა ახლო აღმოსავლეთში დავითის პოლიტიკის გატარებას შეუწყო ხელი. თავის მხრივ, საქართველოს მეფის წარმატებული ბრძოლა სელჩუკებთან ჯვაროსნების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამიტომ იყო, რომ ჯვაროსნების მიერ ახლადაარსებული სამთავროები სელჩუკთა განდევნისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს თავიანთ მეგობრად თვლიდნენ.**

წყაროებიდან აშკარაა, რომ დავითი მეტად პოპულარული იყო ჯვაროსანთა შორის. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცულია ცნობა, რომ იერუსალიმის მეფე ბოლდუინ II-ს გარკვეული კავშირი ჰქონდა დავით აღმაშენებელთან. ისინი საიდუმლოდაც ხვდებოდნენ ერთმანეთს.

დავით აღმაშენებელი და მისი დროის საქართველო კასპიის კარის დამცველად და თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯვაროსანთა „წინაბურჯად“ მოიხსენიებოდა. საქართველო ჯვაროსანთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა.

საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობას მეტად საინტერესოდ გამოხატავს ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისადმი. **ჯვაროსნების მიერ 1099 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ დაარსდა დასავლეთევროპული ტიპის მსხვილი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც იერუსალიმის სამეფო ეწოდებოდა. ამ დროიდან მოკიდებული, სამეფოს ტერიტორიაზე მდებარე მართლმადიდებლური ტაძრები ლათინებმა დაისაკუთრეს, მაგრამ ქართველთა ჯვრის მონასტერს ხელი არ ახლეს. ჯვაროსანთა ეს მოქმედება განაპირობა იმ სამხედრო-პოლიტიკურმა ურთიერთობამ, რომელიც ქართველებსა და ჯვაროსნებს შორის იყო. ჯვაროსნები თურმე დიდ სიმდიდრეს სწირავდნენ ქართულ მონასტრებს, რის გამოც ისინი საგანგებოდ მოიხსენიებიან აღაპებში.**

დიდგორის ბრძოლისას დავით აღმაშენებლის ლაშქარში ჯვაროსნების („ფრანგების“) ყოფნა ასევე მიგვანიშნებს საქართველოს კონტაქტებზე ევროპის ქვეყნებთან.

ასე რომ, დავითის დროის საქართველოს ფართო მასშტაბის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიისა (ოსები, ყივჩაყები, დაღესტნის ხალხები) და სხვა ხალხებთან, ძველ რუსეთთან, სომხეთთან, შირვანთან, ბიზანტიასა და ჯვაროსნებთან.

**დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა აქტიური იყო და ფეოდალური საქართველოს პროგრესის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის საქმეს ემსახურებოდა.**

**დავითი ერთიანი საქართველოს მეფეთაგან პირველი იყო, რომელმაც უარყო ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები. სწორედ ამიტომ XI საუკუნის 90-იანი წლებიდან მოკიდებული იგი არც ერთ წყაროში ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულით აღარ მოიხსენიება. ეს სრულიად გარკვევით მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ საქართველო ამიერიდან თავს ბიზანტიის თანასწორ ქვეყნად თვლიდა**



# გაეროს «ცისფერი ჩაფხუტები» — მოძალადეები?

**ასობით ქალი და გოგონა გააუპატიურეს სირიაში ტერორისტებმა, ათობით კიდევ — საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ეს ყოველივე BBC-ის ჟურნალისტებმა დაადგინეს. საერთაშორისო საქველმოქმედო მისიებმა კი უარყვეს — ასეთ ფაქტები არ მომხდარაო.**

მაგრამ არა მხოლოდ სირიელი ქალები ყვებიან ამ საშინელ ისტორიებს. ჯერ კიდევ 2015 წელს ალაპარაკდნენ ამაზე იორდანიელი ქალები. მაშინ გადარჩენის საერთაშორისო კომიტეტმა არაბული ქვეყნის 190 ქალი დაჰკითხა. 40-მა პროცენტმა განაცხადა, რომ ჰუმანიტარული დახმარების სანაცვლოდ სექსუალური ურთიერთობის დამყარებას აიძულებდნენ წლების განმავლობაში. იგივე ხდებოდა ჰაიტიზე, ნიგერიაში, სომალისა და სუდანში.

მოძალადეები იყვნენ გაეროს „ცისფერი ჩაფხუტები“, ისინი, ვისაც უნდა დაეცვა უმწეო ქალები.

უფლებადამცველებმა არაერთხელ გაასაჯაროეს ამგვარი „მისიების“ ამორალური ქმედებები — ფილმების დემონსტრაციით, ტელეგადაცემებითა და პუბლიკაციებით ბეჭდურ მედიაში, მაგრამ მათ მცდელობას რეაქცია არ მოჰყოლია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. პასუხი ყოველთვის ერთი იყო: დამნაშავენი გაეროს სიებში არ არიან(?!).



# უკრაინელები ვეგეტარიანელებად აქციეს: ხორცი და «სალო» ძალიან გაძვირდა

**იანვრის ბოლოს უკრაინაში ე.წ. ხორცის კალათის ღირებულებამ საშუალოდ 529 გრივნას (19,5 აშშ დოლარს) მიაღწია, რაც შარშანდელზე 40 პროცენტით მეტია. სავაჭრო ქსელების მიმწოდებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ალექსეი დოროშჩენკომ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა შემდეგი მონაცემები:**

„ერთი წლის განმავლობაში ხორცის ყველა სახეობა 29-დან 80 პროცენტამდე გაძვირდა: კერძოდ, „სალო“ (დამუშავებული ქონი) — 80 პროცენტით, ღორის ხორცი — 55 პროცენტით, მოხარშული ძეხვი — 34 პროცენტით, ქათამი — 31 პროცენტით, ქათმის ფილე — 30 პროცენტით, საქონლის ხორცი — 29 პროცენტით“.

მანვე აღნიშნა, რომ 2017 წელთან შედარებით ერთი კილოგრამი ღორის ხორცის ფასი 39 გრივნით გაიზარდა (1,44 დოლარით), „სალოს“ — 32 გრივნით (1,18 დოლარით), საქონლის ხორცის — 26 გრივნით (0,98 დოლარით), მოხარშული ძეხვისა და ქათმის ფილესი — 21-21 გრივნით (0,78 დოლარით), ქათმის — 13 გრივნით (0,48 დოლარით).

დოროშჩენკოს აზრით, გაძვირების ტენდენცია მიმდინარე წლის ბოლომდე შენარჩუნდება.

# დონალდ ტრამპს ურჩევენ, რაც შეიძლება სწრაფად გაიყვანოს ჯარები სირიიდან

**პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უნდა გამოაცხადოს, რომ სირიაში გაიმარჯვა, და სასწრაფოდ დააბრუნოს აშშ-ის ჯარები შინ, — მოუწოდებს პრეზიდენტს კატონის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, რონალდ რეიგანის ყოფილი თანაშემწე — დუგ ბენდოუ წერილში, რომელიც The National Interest-მა გამოაქვეყნა.**



ავტორი აღნიშნავს, რომ აშშ სირიაში დადგა ძალიან ბევრი ამოცანის გადაწყვეტის წინაშე, რომელთაგან ზოგიერთს, იმთავითვე აშკარა იყო, თავს ვერ გაართმევდა. მათ შორის იყო „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლა, თურქეთის ამბიციების დაოკება, დემოკრატიული ოპოზიციის მხარდაჭერა, ქურთებთან თანამშრომლობა, ბრძოლა ბაშარ ასადის რეჟიმთან, ერთმანეთის წინააღმდეგ საომრად დაპირისპირებული მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ფორმირებების ურთიერთობის მოგვარება.

და, თუ აშშ-მა როგორღაც მოახერხა, თავის მხარეს გადაეყვანა ქურთები და გაენადგურებინა „ისლამური სახელმწიფოს“ რაზმები, დანარჩენ პრობლემებს თავი ვერ გაართვა: **ბაშარ ასადი ხელისუფლების სათავეში დარჩა, სირიაში გრძელდება სამოქალაქო ომი, მეზობელმა ქვეყნებმა კი უარი არ თქვეს თავიანთ გეოპოლიტიკურ ინტერესებზე.**

ანალიტიკოსი, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდში აშშ ვერ წყვეტდა მასშტაბურ ამოცანებს და სრულად ვერ აღწევდა დასახულ მიზნებს. დუგ ბენდოუ ასახელებს ამერიკელების ჩარევას აზიის, ბალკანეთის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეებში. ის ხაზს უსვამს, რომ აშშ-ს არ უნდა ეშინოდეს სირიაში რუსეთის ყოფნის. მოსკოვისა და დამასკოს თანამშრომლობა გაცილებით აქტიური იყო „ცივი ომის“ პერიოდში, მაგრამ ეს არ დამუქრებია აშშ-ის ინტერესებს.

„ამიტომ, — ასკვნის ბენდოუ, — **აშშ-მა უნდა თქვას, რომ სირიაში დაამარცხა „ისლამური სახელმწიფო“, სხვა ამოცანები ამ რეგიონში დასახული არ ჰქონდა და ახლო აღმოსავლეთის ამ ქვეყნიდან გაიყვანოს თავისი სამხედროები“.**

უფრო ადრე პენტაგონმა გაავრცელა მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რუსეთის ყოფნამ სირიაში მოსკოვი ერთ ძირითად მოთამაშედ აქცია, თან — დიდი ხნით.



# ამერიკელმა მზვერავებმა 60 მილიარდი დოლარი მოითხოვეს

**2019 წელს თავიანთი საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით ამერიკის მზვერავებს 59,9 მილიარდი დოლარი დასჭირდებათ. ასეთი მოთხოვნა კონგრესს წარედგინა.**

ეროვნული დაზვერვის დირექტორის — **დენიელ ქოუტსის** აპარატში აღნიშნეს, რომ მოთხოვნილი თანხის რაოდენობაში შედის საზღვარგარეთ ჩასატარებელი ოპერაციების დაფინანსება. სხვა ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ არ გამოქვეყნდება, რადგან ამან შეიძლება დააზარალოს აშშ-ის უშიშროება. მედიაში აღნიშნავენ, რომ გამოქვეყნებულ ბიუჯეტში არ შედის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამსახურისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ხარჯი, რომელიც, სავარაუდოდ, 21,2 დოლარს უდრის. ამრიგად, საერთო ხარჯი 81,1 მილიარდი დოლარის ტოლია. 2016 წელს დაზვერვისთვის აშშ-მა 70,7 მილიარდი დოლარი დახარჯა, 2017 წელს — 73 მილიარდი.

# რუსებმა შური იძიეს

**მეხუთე თაობის უახლესმა რუსულმა ავიაგამანადგურებელმა Су-57-მა აღმოსავლეთ გუთაში „ბოევიკების“ მოსამზადებელ საწვრთნელ ბანაკს შეუტია, — იუწყება ადგილობრივი მედია.**



რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების შეტევის შედეგად დაიხოცნენ არა მხოლოდ მოთარეშეები, არამედ მათი ამერიკელი ინსტრუქტორებიც. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ყველა დარტყმა ხორციელდება მხოლოდ დაზვერვის მიერ დაზუსტებული მონაცემების შემდგომ, რათა თავიდან აირიდონ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა: **ავიადარტყმა განხორციელდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზვერვამ დამასკოს აღმოსავლეთ გარეუბანში აღმოაჩინა იმ ტერორისტების საწვრთნელი ბაზა, რომლებსაც მხარს უჭერს აშშ.**

ეს შეტევა მოულოდნელი არავისთვის უნდა იყოს, რადგან ამ რაიონში მდგომარეობა ახლახან სერიოზულად გამწვავდა, სირიის მასმედიას ეჭვი არ ეპარება, რომ რუსეთის სამხედრო-კოსმოსურმა ძალებმა ამ შეტევით შური იძიეს კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ მოხალისეების დაღუპვის გამო, რომელიც ამერიკელების მიერ იყო ორგანიზებული 7 და 8 თებერვალს სირიის დეირ-ეზ-ზორის პროვინციაში.

მოხალისეების დაღუპვამ აჟიოტაჟი გამოიწვია. მასმედიაში ქვეყნდებოდა ცნობები, თითქოს იქ ასობით ადამიანი დაიღუპა, გამოქვეყნდა კიდეც დაღუპული რუსების სიები, მაგრამ ყველა ყალბი აღმოჩნდა.

ტრაგედიიდან ორ დღეში დაღუპულთა შესახებ რეალური მონაცემები გამოაქვეყნა „სამხედრო კონფლიქტების ვეტერანების ლიგის“ თავმჯდომარემ **ანდრეი ტროშევმა.** მისი განცხადებით, დაიღუპა 14 რუსი მოხალისე, ხოლო გავრცელებული ხმები ასობით მსხვერპლის შესახებ სიცრუეა.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი


საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894